გაზეთი დაარსებულია 1918 წელს,

**ოთხშაბათი, 1 ივნისი, 2005 წელი.**

№128 (5161)

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ცრუილობით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

# საქართველოს რესპუბლიკა

ელექტრონული ფოსტა: sakresp@gol.ge | ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika | ჩვენს გაზეთს კითხულობენ აშშ-ში, გერმანიაში, რუსეთში, ჰოლანდიაში, საფრანგეთში, უკრაინაში, ისრაელსა და სხვა ქვეყნებში. **ფასი 50 თეთრი.**

## 1 ივნისი ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეა

გაუმარჯოს სიწმინდესთან თქვენს შიშნარევ ზიარებას, საქართველოს სასახელოდ ზრდას და გაქრისტიანებას!

ვილენ მარდალეიშვილი.

ჯემალ კასრაძის ფოტო.



### ◉ საეკლესიო კალენდარი

## წმიდა მოციქულთა სწორის ნინოს შემოსვლა საქართველოში



**ქართველთა** განმანათლებლის, წმიდა მოციქულთა სწორის ნინოს ხსენებას საქართველოს სამოციქულო ეკლესია ორჯერ აღნიშნავს — 27 იანვარს და 1 ივნისს.

კაბადოკიელი ქალწული წმიდა ნინო დიდმოწამე გიორგის ახლო ნათესავი იყო. ის გულმხურვალედ ლოცულობდა და ევედრებოდა ყოვლადწმიდა ღვთისმშობელს, რომ საქართველოს ნახვისა და იმ პერანგის თაყვანისცემის ღირსი გაეხადა, რომელიც თავად ღვთისმშობელმა მოუქსოვა საყვარელ შვილს.

ყოვლადწმიდა ღვთისმშობელმა შეისმინა მისი ვედრება, გამოეცხადა მას, მისცა ვაზის ჯვარი და საქართველოში გამოაგზავნა საქადაგებლად.

ნინო ჯავახეთის მთებით საქართველოში შემოვიდა. „ვარდი და ნუში ყუაოდა მას ჟამსა“, „მთანი ჩრდილოსანი“ კი, მიუხედავად ვარდობისთვისა, „სავსენი ჩნდეს თოვლითა და ჰაერითა სასტიკითა“.

ფარავნის ტბასთან მან გაიცნო მცხეთელი მწყემსები, მათთან ერთად ჯერ ურბნისში, ხოლო შემდეგ მცხეთაში ჩავიდა.

წმიდა ნინო სამეფო ბაღის მცველის სახლში დასახლდა. აქ უშვილო ოჯახს მისი ლოცვით ღმერთმა მიჰმადლა შვილი. ამით გახარებულმა ცოლ-ქმარმა აღიარა ქრისტე და დაემოწაფა წმიდანს.

მალე ნანა დედოფალმაც აღიარა, მოგვიანებით კი თვით მირიან მეფემაც თაყვანი სცა ქრისტეს.

წმიდა ნინოს ირგვლივ თანდათან იკრიბებოდნენ ქრისტეს რჯულის თაყვანისმცემლები, საქართველოში მტკიცდებოდა ახალი რელიგია.

მოამზადა **გიული ლიპარტიამ.**

### ◉ პრეზიდენტი

## კიდევ ერთი შეხვედრა

**ცნობილი ფინანსისტი ჯორჯ სოროსი 31 მაისს სახელმწიფო კანცელარიაში საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს კიდევ ერთხელ შეხვდა.** შეხვედრა ჟურნალისტებისთვის დახურული იყო. შესაბამისად, რაზე ისაუბრეს პრეზიდენტმა და ამერიკელმა ფინანსისტმა, მედიისთვის უცნობია.

### ◉ პრესკონფერენცია

## ჯორჯ სოროსის აზრით...

**საქართველოში ვიზიტად მყოფი ცნობილი ფინანსისტი ჯორჯ სოროსი თბილისს კმაყოფილი ტოვებს. სოროსს მიაჩნია, რომ საქართველოს ახალი ხელისუფლება დაკისრებულ მოვალეობას წარმატებულად ართმევს თავს, ქვეყნის დემოკრატიზაციის პროცესი წინ მიიწევს, სამოქალაქო საზოგადოება ვითარდება და ყველა საჭირო რეფორმა ხორციელდება.** ამის შესახებ სოროსმა საქართველოდან გამგზავრების წინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა. მისი თქმით, „მართალია, საქართველოში ყველაფერი სრულყოფილად არ არის და ამ სრულყოფილების მისაღწევად კიდევ ბევრია გასაკეთებელი, მაგრამ მთავრობა სწორ ნაბიჯებს დგამს“. სოროსმა წარმატებულად შეაფასა პოლიციის, განათლების და საგადასახადო სისტემებში გატარებული რეფორმები, ასევე დადებითად შეაფასა საბიუჯეტო შემოსავლების ზრდის ტენდენცია, თუმცა აქვე აღნიშნა, რომ გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია. მისი აზრით, პირველ რიგში, უნდა გაუქმდეს ის წესები, რომლებიც გარკვეულ პირებს გამოძალვის და ქრთამის აღების შესაძლებლობას აძლევს, ასევე უნდა დაიხვეწოს სასამართლო სისტემა. სოროსის განცხადებით, მის მიერ დაფუძნებული ფონდი „ღია საზოგადოება“ ქვეყანას ამ მხრივ დახმარებას გაუწევს. „საქართველოს მთავრობა და ფონდი ერთ ტალღაზე მოქმედებენ და არის ინტერესთა თანხვედრა. პრეზიდენტ სააკაშვილთან შეხვედრისას გამოვთქვი მზადყოფნა, ხელისუფლებას საქართველოში ანტიკორუფციული პროგრამების განხორციელებაში დავეხმარო“, — აღნიშნა სოროსმა.

რეფორმებზე საუბრისას მან ექს-პრეზიდენტ შევარდნაძის პერიოდიც გაიხსენა. სოროსის განცხადებით, იგი ხშირად მიმართავდა ყოფილ პრეზიდენტს ანტიკორუფციული პროგრამების განხორციელების ინიციატივით, მაგრამ ედუარდ შევარდნაძემ „ვერ შეძლო, კორუფციას შებრძოლებოდა“. — შევარდნაძე კორუფციას ვერ დაუპირისპირდა შს სამინისტროში — იმ უწყებაში, რომლის მუშაობაზეც პრეზიდენტის სიცოცხლე იყო დამოკიდებული, — დასძინა მან.

### ◉ ინფორმაცია

## ნათლობა სამებაში

**თბილისის ბავშვთა და სარეაბილიტაციო სახლების 21 მოზარდი და ერთი მრავალშვილიანი დედა გუშინ სამების საპატრიარქო ტაძარში მონათლეს. აღსაზრდელების მოსანათლად ბავშვთა უფლებების დაცვის ცენტრს სამების ტაძრის ერთ-ერთმა მღვდელ-მონაზონმა მამა ადამ მახარაძემ მიმართა და ბავშვების შეკრება სთხოვა.**

როგორც ბავშვთა უფლებების დაცვის საქალაქო ცენტრის ხელმძღვანელმა ბელა სარიამ განაცხადა, მათ ბავშვები სხვადასხვა სარეაბილიტაციო ცენტრებიდან შეარჩიეს. ჯვრები და ნათლობისთვის საჭირო სხვა ნივთები მამა ადამ მახარაძემ შეიძინა.

## მსხვერპლი სვანეთში

**სვანეთში მომხდარ ავტოკატასტროფას 11 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა.** როგორც გუშინ შს სამინისტროს პრესცენტრის უფროსმა გურამ დონაძემ განაცხადა, ავტოკატასტროფა მესტიის რაიონში მოხდა. 30 მეტრის სიმაღლიდან ხეობაში მიკროავტობუსი გადავარდა. წინასწარი ინფორმაციით, დაღუპულია 11 ადამიანი. სხვა დაშავებულთა შესახებ ინფორმაცია ზუსტდება.

## გაერთიანებას ურჩევს

**ჯორჯ სოროსი მხარს უჭერს საქართველოში მედიის თავისუფლებას და ქართველ ჟურნალისტებს ამ მიმართულებით კონსოლიდაციას და ერთიანი სტანდარტების ჩამოყალიბებას ურჩევს, თუმცა, ამავდროულად, მხარდაჭერას უცხადებს საქართველოს ხელისუფლებას.**

მასმედიის დამოუკიდებულობის ხარისხი და „ხელისუფლების მხრიდან მასზე მომატებული კონტროლი“ იყო 31 მაისს საქართველოში მყოფ ცნობილ ფინანსისტთან ჯორჯ სოროსთან გამართული შეხვედრის ძირითადი თემა. ყველა იმ პრობლემასთან დაკავშირებით რომელიც ამ მიმართულებით ახალი ხელისუფლების პირობებში არსებობს, გუშინ სოროსს დახურულ კარს მიღმა არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები და დამოუკიდებელი მედიის წარმომადგენლები ესაუბრნენ.

შეხვედრის დასრულების შემდეგ ჯორჯ სოროსმა განაცხადა, რომ მხარს უჭერს საქართველოში მედიის თავისუფლებას და ამ მიმართულებით ქართველ ჟურნალისტებს გაერთიანებას და ერთიანი სტანდარტების ჩამოყალიბებას ურჩევს.

## არა მხოლოდ საკუთარ თავზე ფიქრით...

**აჭარის უმაღლესი საბჭოს პლენარული სხდომა 31 მაისს ხმაურის ფონზე მიმდინარეობდა. ამის მიზეზი დეპუტატების პენსიებით უზრუნველყოფის საკითხი გახდა. დეპუტატების პენსიით უზრუნველყოფის საკითხზე აჭარის უმაღლეს საბჭოში სპეციალური კომისია უკვე 6 თვეა მუშაობს.**

გუშინდელ სხდომაზე აჭარის საკანონმდებლო ორგანოს იურიდიულმა კომიტეტმა წარმოადგინა პროექტი, რომელიც პენსიების დანიშვნას მხოლოდ 2004 წლის მოწვევის დეპუტატებისთვის ითვალისწინებს.

უმრავლესობის წარმომადგენელმა ბექან გობაძემ პროტესტის ნიშნად სხდომათა დარბაზი დატოვა. მისი თქმით, არასწორია, პენსიები მხოლოდ საკუთარ თავს დაუნიშნო და არა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 1991 წლის მოწვევის დეპუტატებს, რომლებიც ასლან აბაშიძის რეჟიმს უპირისპირდებოდნენ და პროტესტის ნიშნად მაშინდელი უზენაესი საბჭო დატოვეს.

## ჟვანიას ოჯახის წევრები ეჭვობენ...

**საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრის ზურაბ ჟვანიას ოჯახის წევრებმა პრემიერის გარდაცვალების ფაქტის გამოძიების საქმეში უცხოელი ექსპერტების ჩართვისთვის საჭირო ინფორმაციის შეგროვება დაიწყეს.** ამის შესახებ ზურაბ ჟვანიას ძმამ გიორგი ჟვანიამ განაცხადა. მისი თქმით, ჯერჯერობით მიმდინარეობს მსჯელობა, თუ რა ტიპის საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართვა იქნება უმჯობესი გამოძიებაში.

— საქართველოს გენერალურ პროკურატურაში ჩემს მიერ დამატებითი ჩვენების მიცემაზე ჯერჯერობით საუბარი არ ყოფილა. გარდაცვალების ფაქტის კვლევისას ახალი დეტალები მაშინ გამოიკვეთება, როცა გამოძიების პროცესი აქტიურად წარიმართება, ეს კი მაშინ მოხდება, როცა პროცესებში უცხოელი ექსპერტები ჩაერთვებიან, — განაცხადა გიორგი ჟვანიამ.

### ◉ „პატრიოტი“

## მოზარდებს ლამაზი ზაფხული ელით

**ახალგაზრდულ-პატრიოტული ბანაკების — „პატრიოტის“ წევრთა პირველი ნაკადი თბილისის რესპუბლიკის მოედნიდან რეგიონში 31 მაისს გაემგზავრა. როგორც ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ირაკლი ნადირაძემ განაცხადა, პირველი ნაკადი, რომელიც 165 თბილისელი მოზარდით არის დაკომპლექტებული, წყალტუბოში დაბინავდება.**

საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მცხოვრები 1250 მოზარდი სხვადასხვა ბანაკებში გადანაწილდება და იქ ათ დღეს დაჰყოფს. ბანაკები ბაზალეთის, ლაგოდეხის, ბაკურიანის, ვარციხისა და წყალტუბოს კურორტებზე მოქმედებს.

— 16-20 წლის ასაკის სოციალურად დაუცველი 15 ათასი მოზარდი მთელი ზაფხულის განმავლობაში თანამედროვე სტილის ბანაკებში დაისვენებს. მოზარდები უზრუნველყოფილნი იქნებიან კვებით, ბანაკების ტერიტორიაზე დამონტაჟებულია საშხაპეები, შექმნილია პირობები ვარჯიშისა და გართობისთვის. პროგრამის მონაწილეები გაივლიან წვრთნებს სამოქალაქო თავდაცვაშიც. მოეწყობა გასართობი და გამაჯანსაღებელი ღონისძიებები, — აღნიშნა ნადირაძემ.

ბანაკები ოფიციალურად დღეს გაიხსნება. ბაღდათში ბანაკის პრეზენტაციას საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილიც დაესწრება. რომლის ბრძანებულებით, პროექტისთვის მილიონ ცხრაასი ათასი ლარი გამოიყო. პროექტს ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი ახორციელებს.

### ◉ განცხადება

## ნაკისრი ვალდებულება არ უნდა დაირღვეს

**საქართველოს თავდაცვის მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი რუსეთის სამხედრო ბაზების საქართველოდან გაყვანის შესახებ მიღწეულ შეთანხმებას ისტორიულს უწოდებს,** თუმცა აცხადებს, რომ ქართული მხარე ყურადღებას არ მოადუნებს, რათა „ვალდებულებების რაიმე დარღვევას ადგილი არ ჰქონდეს“.

როგორც მან ჟურნალისტებს განუცხადა, მხარეთა შეთანხმება „მხოლოდ ქაღალდს წარმოადგენს“, ამიტომ, საქართველო ყურადღებით იქნება, რომ ნაკისრი ვალდებულებები არ დაირღვეს.

### ◉ საწარმო

## 1. „აზოტმა“ თვალებში გამოიხედა

**ხვალინდელი დღე უფრო ნაყოფიერი და წარმატებული იქნება**



**საზეიმო განწყობით, უკეთესი მომავლის იმედით შეხვდნენ აზოტელები პროფესიულ დღესასწაულს — ქიმიკოსის დღეს, რომელიც 28 მაისს ტრადიციულად სოფელ მანავის თავზე შეფენილ მოშრიალე ტყის მასივში, სს „აზოტის“უმშვენიერეს პანსიონატში აღინიშნა. დღევანდელ უმწეო ყოფაში, როცა უმუშევრად დარჩენილ ადამიანებს პროფესიული დღესასწაული კი არა, ლამის თავიც დაავიწყდათ, რუსთაველ ქიმიკოსთა ეს ზეიმი მართლაც შთამბეჭდავი და გამორჩეული იყო.**

იხ. მე-3 გვ.

### ◉ კანონმდებლები

## ეჭვები, ბრალდება და „პოლიტიკური სპეკულაცია“

**გუშინ პარლამენტის პლენარულ სხდომას ორი თემა გასდევდა — რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანა და ზურაბ ჟვანიას დაღუპვის საქმის გამოძიება.**

პარლამენტის თავჯდომარემ დეპუტატებს მიულოცა რუსეთთან მოლაპარაკების წარმატებულად დასრულება, რაც, მისი თქმით, ისტორიული მოვლენაა. ქალბატონმა ნინო ბურჯანაძემ კმაყოფილება გამოთქვა რუსეთის მხარის კონსტრუქციული თანამშრომლობის გამო, მით უფრო, რომ ჩვენი დიდი მეზობლისთვის ეს რთული გადაწყვეტილება იყო (ამავე დროს, სწორი და სამართლიანი).

— მოლაპარაკებების წარმატება განაპირობა იმან, რომ საქართველოს ხელისუფლება საკუთარი კანონიერი მიზნების მისაღწევად თანამიმდევრულ პოლიტიკას ახორციელებდა. როგორც საქართველოს პრეზიდენტმა არაერთხელ აღნიშნა, ამ საკითხში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლებების ერთიან პოზიციას. ამასთან, მოსახლეობაც ერთსულოვნად მოითხოვდა საქართველოდან რუსული სამხედრო ბაზების გაყვანას, — აღნიშნა სპიკერმა.

სამხედრო ბაზებმა უკვე დაიწყეს გაყვანის რეჟიმში ფუნქციონირება. მათ 2008 წლის ბოლომდე უნდა დატოვონ საქართველოს ტერიტორია. ამდენად, ამასთან დაკავშირებით ჩვენი უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს მიერ მიღებული დადგენილება შეჩერდება.

იხ. მე-2 გვ.

### ◉ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

## ექსპერტები: რუსეთის ბაზების გამოტანა საქართველოდან სააკაშვილის დამარცხებაა

РосБизнесКонсалтинг

**საინფორმაციო სააგენტო, 31 მაისი.**

**30 მაისს მიღწეული მორიგებების თანახმად, საქართველოში აღარ არის რუსეთის სამხედრო ბაზები. რუს ექსპერტებს ეს მიაჩნიათ მიხეილ სააკაშვილის დიდ დამარცხებად, იმის მიუხედავადაც კი, რომ ამით სააკაშვილმა მიაღწია საწადელს. ექსპერტთა აზრით, თვით სააკაშვილის ასეთი სურვილი იყო პოლიტიკური შეცდომა, რომელსაც საქართველოსთვის სახელმწიფო მნიშვნელობა ენიჭება.**

მაგალითად, სამხედრო-პოლიტიკური ანალიზის ინსტიტუტის დირექტორს, პოლკოვნიკ ალექსანდრე შარავინს მიაჩნია, რომ სამხედრო თვალსაზრისით, არც მე-12 და არც 62-ე ბაზას არ ჰქონდა სტრატეგიული მნიშვნელობა, თითოეული მათგანი ჩამოყალიბებული იყო არასრულად დაკომპლექტებული მოტომსროლელი დივიზიის საფუძველზე, თანაც, იქ მუშაობდნენ და მსახურობდნენ საქართველოს მოქალაქეებიც. ამ ორი ბაზის ერთ ბაზად გაერთიანების შემთხვევაშიც კი, ვერ მივიღებდით სრულად დაკომპლექტებულ მოტომსროლელ დივიზიას. ამ ბაზებს მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა. ა. შარავინი აცხადებს, რომ „ახლა მიღწეულია რუსეთისთვის სავსებით გონივრული კომპრომისი შექმნილ ვითარებაში — როგორც ბაზების გატანის, ისე მატერიალური კომპენსაციის თვალსაზრისით. სამხედრო ყოფნა კავკასიაში რუსეთს არ დაუკარგავს. არ არის დაკარგული კოსმოსური ობიექტები აზერბაიჯანში, სომხეთშიც რჩებიან რუსეთის ჯარები, საიდანაც არავინ არ მოისურვებს მათ გაძევებას“. ჩვენი სამხედრო ბაზების ყოფნა საქართველოს მხარისთვის უფრო ხელსაყრელი იყო, მიაჩნია პოლკოვნიკს. საქართველოს ხელისუფლებას შეეძლო ეთხოვა ჩვენი სპეციალისტებისთვის ქართული არმიის პირადი შემადგენლობის მომზადება, იარაღის მიყიდვა და ისინი უფრო მეტს მიიღებდნენ, ვიდრე ახლა აქვთ. ექსპერტის აზრით, არ ენიჭება არც იმას დიდი მნიშვნელობა, თუ რა რაოდენობის ჯარები იყო იქ დისლოცირებული. ა. შარავინს მიაჩნია, რომ სააკაშვილი ცუდი დიპლომატი გამოდგა.

იხ. მე-2 გვ.

## ინტერპანორამა

**კანადის წითელმა ჯვარმა აღიარა, რომ არიგებდა დასნეულებულ სისხლს. 1980-იან წლებში კანადური წითელი ჯვრის მიერ დაავადებული სისხლის გავრცელების შედეგად ათასობით კაცი დასნეულდა ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსით და ჰეპატიტით. ამ საქველმოქმედო ორგანიზაციამ ოფიციალურად აღიარა თავის ბრალეულობა და მას დაეკისრა სიმბოლური ჯარიმის გადახდა.**



**ჩინეთი მზად არის შეიყვანოს ჯარები ყირგიზეთში მართლწესრიგის დასაცავად. ყირგიზეთის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა ბაკიევმა განაცხადა, რომ უზბეკეთში მომხდარ [illegible] და-კავშირებით [illegible] ახმაა რესპუბლიკის [illegible] ზე განალაგოს შ[illegible] თანამშრომლობის ორგანიზაციის ჯარები, მათ შორის, ჩინელი სამხედროებიც.**



**ამერიკის ილინოისის შტატში მცხოვრები მამაკაცი იძულებული გახდა ცეცხლი წაეკიდებინა თავისი საცხოვრებელი სახლისთვის, რადგან სხვაგვარად ვერ მოიშორა თავიდან აბეზარი სტუმრები. მართალია, ხანძრის შედეგად, არც ერთი სტუმარი არ დაშავებულა, მაგრამ მასპინძელს მაინც წაუყენეს ბრალდება.**



◎ კანონმდებლები

# ეჭვები, ბრალდება და „პოლიტიკური სპეკულაცია“

(პირველი გვერდიდან)

რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანას საპარლამენტო ოპოზიციაც ერთსულოვნად უჭერდა მხარს. გუშინ „მემარჯვენეთა“ ერთ-ერთმა ლიდერმა ფიქრია ჩიხრაძემ გაიზიარა ნინო ბურჯანაძის პათოსი. ამასთანავე, მან პარლამენტს გაუზიარა თავისი შიშიც – რუსული სამხედრო ბაზები არანაკლებ სახიფათო ანტიტერორისტული ცენტრებით არ ჩაანაცვლონო. მისი თქმით, პარლამენტმა ყველაფერი უნდა იღონოს ამ ჩანაცვლების თავიდან ასარიდებლად.



ამ საფრთხეს დავით ბერძენიშვილიც ხედავს და საკანონმდებლო ორგანოსთან მიღებული დადგენილების სულისკვეთების ერთგულებას მოითხოვს:

– პარლამენტმა აღმასრულებელ ხელისუფლებას კარგად უნდა მიუთითოს, რის მანდატს აძლევს და რისას – არა. რუსული სამხედრო ბაზების გაყვანის საკითხი „საარჩევნო ჭრილში“ რომ გადაიყვანეს, ეს პრეზიდენტის პრობლემაა. თუ მოვახერხეთ ქვეყნიდან სამხედრო ბაზების გაყვანა და ამის შემდეგ თუ კიდევ რუსული სპეცსამსახურები დაგვრჩება, ეს მე სერიოზულ წარმატებად ვერ წარმომიდგენია, – საერთო პათოსში გარკვეული დისონანსი მაინც შეიტანა ოპოზიციამ.

მეორე საკითხი, რომელმაც გუშინ პარლამენტი ააფორიაქა, ტელეკომპანია „202“ის ეთერში გასული დოკუმენტური ფილმი იყო. ზურაბ ჟვანიას დაღუპვასთან დაკავშირებით საზოგადოება ისედაც ბევრ კითხვას სვამდა და ეჭვს გამოთქვამდა. თუმცა ტრაგედიის პირველივე წუთებიდან ერთ პასუხს იგებდა – ეს უბედური შემთხვევა იყო.

ზურაბ ჟვანიას სიკვდილის მიზეზების დასადგენად დეპუტატმა ბექან გუნავამ პარლამენტში სამთავრობო საათზე შს მინისტრისა და გენერალური პროკურორის მოწვევა მოითხოვა. მას მხარი ოპოზიციის სხვა წარმომადგენლებმაც დაუჭირეს. ნინო ბურჯანაძის განცხადებით, გენერალური პროკურორი გამოძიების დასრულებამდე ვერ უპასუხებს შეკითხვებს.

– ჩვენ გვაინტერესებს არა გამოძიების დახურული, საიდუმლო მასალები, არამედ ფედერალური ბიუროს მიერ უკვე გახმაურებული გარემოებები. კერძოდ, გენერალურ პროკურორს უნდა ვკითხო, ვინ გააყალბა ფედერალური ბიუროს დასკვნის თარგმანი, ამასთან დაკავშირებით ჩატარდა თუ არა სამსახურებრივი მოკვლევა. ეს ის საკითხებია, რომლებიც საზოგადოებამ გამოძიების მიმდინარეობის პროცესში უნდა იცოდეს, – თქვა კობა დავითაშვილმა.

გოჩა ჯოჯუა მოქმედი გენერალური პროკურორის, შინაგან საქმეთა მინისტრისა და პრეზიდენტის მომავლით დაინტერესდა, ისევე, როგორც გამოძიების, და საერთოდ, ქვეყნის გეზით.

დეპუტატმა ბექან გუნავამ ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების მიზეზების დასადგენად პარლამენტში დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნა მოითხოვა. პარლამენტის თავმჯდომარემ ეს წინადადება ბრალდებად მიიჩნია, ამის საფუძველი კი, ქალბატონ ნინოს თქმით, ჯერჯერობით არ არსებობს. დროებითი საგამოძიებო კომისია ამ ეტაპზე თუნდაც იმიტომ ვერ შეიქმნება, რომ გამოძიება არ დასრულებულა.

ოპოზიციის განცხადებებმა ძალიან გააღიზიანა ვიცე-სპიკერი. მიხეილ მაჭავარიანმა ხაზი გაუსვა მის და ზურაბ ჟვანიას მეგობრობას, რის გამოც მას ბევრ დეპუტატზე მეტად შესტკივა გული ჟვანიაზე. მაშინ, როცა საპარლამენტო ოპოზიცია პრემიერ-მინისტრის გარდაცვალების თემას „სხვა მიზნებისთვის“ იყენებს (თუმცა, ამ მიზნებს ვერ განახორციელებს), ჟვანიას თანაგუნდელები ნამდვილად არიან მოწადინებულნი, ყველაფერი გაირკვეს.

მაჭავარიანი ოპოზიციონერებს აწყნარებდა – დამშვიდდით, გამოძიება ობიექტურად ჩატარდებაო. თუმცა, მათ ამის მაინცდამაინც არ სჯეროდათ.

პოლიტიკური სპეკულაციის თემა ხათუნა გოგორიშვილმა განაგრძო:

– მე ძალიან მიჭირს ამაზე ლაპარაკი. ზოგიერთი პარტიისთვის ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების თემა გარკვეული ბიზნეს-პროექტია, ზოგისთვის – პოლიტიკური პროექტი. შოუ არ არის ის ფორმა, რომელიც გამოძიებას შეუწყობს ხელს. დღეს პარლამენტში დადგმულ შოუს წერტილი უნდა დაესვას.

ცოტა ხნის შემდეგ დეპუტატებმა დღის წესრიგის თანახმად განაგრძეს მუშაობა. პარლამენტის თავმჯდომარემ დარბაზი დატოვა – ნაშუადღევის პირველის ნახევარზე ჯორჯ სოროსს უნდა შეხვედროდა.

ნახევარსაათიანი ლოდინის შემდეგ გავიგეთ, რომ ბატონმა სოროსმა ორი საათისთვის გადადო შეხვედრა. პარლამენტის თავმჯდომარეს ამდენ ხანს რომ ალოდინებს, რა წესიაო, – ერთ-ერთი ჟურნალისტის ამ საყვედურს მეორემ იმ ფრაზით უპასუხა, ბოლო დროს ხშირად რომ გაისმის ჩვენს ქვეყანაში: – რა ენაღვლება, მთელი საქართველო მისი არ არის თავის პარლამენტიანად?!

ბურჯანაძესთან შეხვედრის წინ ჯორჯ სოროსმა ჟურნალისტებს თავი აგვარიდა. შემდეგ კი მოკლე კომენტარით შემოიფარგლა. მისი თქმით, შეხვედრაზე გარკვეულ დამფინანსებლებზე დამოკიდებული მედიის მდგომარეობა განიხილეს. ქართული მედიისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები კვლავაც სოროსისგან მოელიან დამოუკიდებელი მედიის განვითარებას.

**რუსუდან გახარია.**

◎ ოპოზიცია

# ცენტრალური საარჩევნო კომისია სახელმწიფო მოხელეებით დაკომპლექტდება

**საქართველოს პრეზიდენტმა ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრობისა და თავმჯდომარეობის კანდიდატები პარლამენტს უკვე წარუდგინა. ცსკოს წევრობის კანდიდატთა უმრავლესობას პარლამენტარები არ იცნობენ, მათი გვარების გაჟღერებამ კი, როგორც მოსალოდნელი იყო, ოპოზიცია გააღიზიანა.**

თავმჯდომარეობის კანდიდატი გია ქავთარაძე იუსტიციის საბჭოს მდივანი გახლდათ.

კონსერვატორ კობა დავიაშვილისთვის არსებითი მნიშვნელობა არ აქვს ქავთარაძე-ნოღაიდელის ბიზნესპარტნიორობას. თავმჯდომარეობის კანდიდატის შერჩევისას ამ გარემოების გამორჩენას დავითაშვილი ხელისუფლების შეცდომას უწოდებს, რაც, მისივე აზრით, საზოგადოებას ნათლად დაანახებს ქავთარაძის დამოუკიდებლობის დაბალ ხარისხს.

წარდგენილ კანდიდატთა შეუსაბამობის დასამტკიცებლად ოპოზიციას დიდი ენერგია არ დაუხარჯავს, უპირველეს არგუმენტად მათი პროფესია მოჰყავს, სადაც ქიმიკოსს, ინჟინერს, ფიზიკოსს და გეოლოგსაც შეხვდებით.

დავითაშვილი იხსენებს, რომ შესარჩევ კომისიას ზეპარტიულს, დამოუკიდებელს და პროფესიულს უწოდებდნენ, თუმცა, მას შემდეგ, რაც 12 კანდიდატიდან მხოლოდ სამია იურისტი და ისინიც სახელმწიფო მოხელე, დავითაშვილს კომისიის პროფესიონალიზმში ეჭვი ეპარება.

კობა დავითაშვილი ცსკოს წევრობის კანდიდატის, პროფესიით ინჟინრის გიზო მჭედლიძის გასულ საარჩევნო კომისიაში მოღვაწეობას იხსენებს და მიიჩნევს, რომ ის დაკვეთების ერთგული შემსრულებელი იყო, როგორც ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში, ისე აჭარის არჩევნების დროსაც.

კონსერვატორი სხვა კანდიდატებზეც საუბრობს, რომელთა ცსკოში მოხვედრა მისთვის მიუღებელია, ესენი არიან: იუსტიციის სამინისტროს სამმართველოს მრჩეველი ავთანდილ ბერიშვილი (მათემატიკოსი); პარლამენტის აპარატის სპეციალისტი ლუხუმ ბურჯალიანი (სამართალმცოდნე); შინაგან საქმეთა სამინისტროს საკადრო და ორგანიზაციული უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე გურამ პაპიაშვილი (იურისტი) და საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე ემზარ ფაჟავა (ისტორიკოსი). ამ ხალხის დამოუკიდებლობა დავითაშვილისთვის უბრალოდ სასაცილოა. ფაჟავას და პაპიაშვილს ამ თანამდებობაზე წარდგენას კი საერთოდ უკანონოს უწოდებს, რადგან საარჩევნო კოდექსში წერია, კომისიის წევრად მმართველობის ორგანოს ხელმძღვანელის წარდგენა არ შეიძლებაო. მათ წარდგენას დავითაშვილი კოდექსის დარღვევას უწოდებს და ამბობს: – პრეზიდენტისგან არ მიკვირს ამგვარი ქმედება, ის კანონის სისტემატური დამრღვევია, მათ შორის საარჩევნო კოდექსისაც. ყველას შევახსენებ აჭარისა და დიდუბის დამოუკიდებელი დეპუტატის არჩევნებს, როდესაც პრეზიდენტი დადიოდა და კონკრეტული კანდიდატების სასარგებლოდ აგიტაციას ეწეოდა, რაც საარჩევნო კოდექსის თანახმად აკრძალულია.

დავითაშვილი მიიჩნევს, რომ შემრჩევი კომისია არაპარტიული, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებით, ექსპერტებით უნდა შევსებულიყო, პრეზიდენტმა კი შემრჩევი კომისია კანცელარიის თანამშრომლებით დააკომპლექტა, კანდიდატებიც სწორედ მათ შეარჩიესო.

ოპოზიცია ხელისუფლებას ალტერნატიულ ვარიანტს სთავაზობს, რადგან, როგორც დავითაშვილი მიიჩნევს, ასეთი კომისია ქვეყანაში დესტაბილიზაციას გამოიწვევს: – ჩვენ ვთავაზობთ არჩევნების ნორმალურად, კანონიერად ჩატარებას, სხვა გზით გამარჯვება მათ არ უნდა აძლევდეთ ხელს, მაგრამ არჩევნების გაყალბების ჩვეულება ახალ ხელისუფლებას არაერთ ცნობილ ფიგურასთან ერთად გადმოჰყვა.

ცსკოს წევრობის კანდიდატურებს კომიტეტები დღეს განიხილავენ.

**ლელა ხვადაგიანი.**

◎ კონფლიქტის ზონა

# შეჩერდით, კმარა!

**თხუთმეტ წელიწადს გაიწელა ქართულ-ოსური კონფლიქტი. ორიოდე დღის წინათაც ხუთი ვაჟკაცის სიცოცხლე იმსხვერპლა ომის ღმერთმა – ერთი ქართველის, ოთხი ოსის. არიან დაჭრილებიც.**

ვის კისერზეა ამდენი სისხლი? ვინ ისროლა თუნდაც გუშინწინ პირველი ტყვია?

გუშინ გვიჩვენეს მამა ოცდახუთი წლის მოკლული ქართველი პოლიციელის ხეთაგაშვილისა. ცრემლგამშრალი, ჯერ ისევ ახალგაზრდა კაცი ნაწყვეტ-ნაწყვეტად ამბობდა: – მითხრეს, დაჭრილიაო... გავედი ქურთას საავადმყოფოში... ხალხი ეხვია... უკვე მკვდარი იყო ბავშვი...

გლოვის ზარი ირეკება ოთხი მოკლული ოსის ოჯახშიც...

რადაო? რისთვის?

მთელ ღამეს თვალი არ მომახუჭინა სახელმწიფო მინისტრის გოგა ხაინდრავას ამ სიტყვებმა: – ვიყავი სამძიმარზე ხეთაგაშვილებთან. უნდა ყოფილიყვნენ იქ მასმედიის წარმომადგენლები, რათა მოესმინათ, თუ რას ამბობდნენ მოკლულის ახლობლები, ყველა მშვიდობას ნატრობდა, ყველა გვთხოვდა, რომ აღარ დაგვეშვა ტრაგედიის გაგრძელება, რომ ამ ხალხს მეტის ატანა აღარ შეუძლია, რომ ისინი უთანაგრძნობენ დაღუპული ოსი ბიჭების ოჯახებსაც...

ძნელია, სანუგეშო სიტყვა უთხრა ჭირისუფალს. ქართველმა, „ვეფხისა და მოყმის“ ბალადის შემქმნელმა კარგად იცის თანაგრძნობის ფასი:

„წავიდე, მეც იქ მივიდე,
სამძიმარ ვუთხრა
ჭირისა,
ისიც მიამბობს ამბავსა,
მეც ვუთხრა ჩემი
შვილისა...“

იმედი გააჩინა ისევ გოგა ხაინდრავას სიტყვებმა: – ეს ტრაგედია უნდა იქცეს დასაწყისად კონფლიქტის დასასრულისა!.. სასწრაფოდ უნდა დაიწყოს რეგიონის დემილიტარიზაციის პროცესი!..

უნდა დაიწყოს ბრძოლა მშვიდობისათვის, თორემ მიყურადებამ სისხლის კალოდ აქცია მიწის ეს პატარა ნაგლეჯი. დროა, ვისაც ეს შეუძლია და აქვს უფლება, კატეგორიულად უთხრას დაპირისპირებულ მხარეებს:

– შეჩერდით! კმარა!

**ლია ჭილლაძე.**

◎ პარტიებსა და მოძრაობებში

# „მადლობა ღმერთს, გია მაისაშვილი არსებობს“...

**„უცოდინართა მთავრობავ, გზა დაუთმე „მომავლის მთავრობას!“ – ეს და სხვა ლოზუნგები მრავლად გამოეფინათ ვერის პარკში მდებარე კალათბურთის სასახლეში, სადაც „მომავლის მთავრობის“ მორიგი შეკრება გაიმართა.**

საზეიმო განწყობილება თავიდანვე შექმნეს საესტრადო მელოდიებმა, რომელთაც ქართული ხალხური სიმღერები მოჰყვა. სცენაზე აღმართულიყო „მომავლის მთავრობის“ ემბლემა – გადაშლილი წიგნი და მახვილი. ტრიბუნაზე ჯვარი გამოესახათ, იქვე – კანდელი ენთო.

პირთამდე სავსე სასახლე მამა იაკობმა დალოცა.

ამაღელვებელი იყო მწერლისა და პუბლიცისტის ზაალ კასრელიშვილის გამოსვლა, მან ამ შეხვედრას უწოდა „პირველი ნაბიჯები ერთმანეთის გულებისაკენ“. ეს დღე იქნება საქართველოს მომავალზე დაფიქრება, რათა გამოინახოს უკეთესი გზა ქვეყნის ასაშენებლადო.

ზაალ კასრელიშვილმა „ვარდების რევოლუციას“ ყველაზე დიდი პოლიტიკური ბლეფი უწოდა, გააკრიტიკა საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლება, როგორც მოქკავშირის წარმომადგენლები:

„ისინი მოვიდნენ კორუფციასთან ბრძოლის ლოზუნგით. დაიჭირეს ყველა, ვინც პიროვნულად მათ ეწინააღმდეგებოდა და მათი ქონება გადაინაწილეს. კორუფციული სისტემის შემქმნელი ოლიგარქები დღეს ისევ ხელისუფლებაში არიან“...

„აბდუშაჰილივით ჩამოიყვანეს სოროსი და თბილისში დააბრძანებენ, ამით რა, ჩვენი შეშინება უნდათ? მაინცდამაინც სექსუალური უმცირესობების წარმომადგენლებს რომ შეახვედრეს იგი, ჯანმრთელ კაცებს რატომ არ ალაპარაკებენ, განა ჩვენ სოროსისთვის არაფერი გვაქვს სათქმელი?..“

ზაალ კასრელიშვილის თქმით, ამ ხელისუფლების წარმომადგენლებმა საზღვარგარეთ მთელი ქართველი ერი ლანძღეს, მას ბნელი, კონსერვატორი, არარეფორმატორი, სექსუალური და ნაციონალური უმცირესობების დამთრგუნველი ეძახეს, რითაც მთელი საერთაშორისო საზოგადოება დააკომპლექსეს. მადლობა ღმერთს, გია მაისაშვილი ცოცხალია, გია ქართველია. ამან მოგვიხსნა ეს კომპლექსიო“.

გამომსვლელის თქმით, მართალია 1992 წლიდან დღემდე ღირსეულ ადამიანებს დევნიდნენ, მაგრამ „ჩვენ გმირობის სიმაღლეზე ვატარეთ“ საქართველოს დროშა: ჩამოვედით და ახლა ხელისუფლებას ვეუბნებით: დაგვიბრუნეთ დაკარგული წლები, დანგრეული ოცნებები, დაკარგული სიყვარული...

საერთაშორისო საზოგადოება ცივილიზებული, გონიერი, ღონიერი ქართველების ნაბიჯებს ელოდება“...

ზაალ კასრელიშვილმა შეკრებილთ აცნობა, რომ კავკასიის ფარგლებს გარეთ არსებული 26 ქვეყნიდან აღუთქვეს მათ დახმარება და მხარდაჭერა.

შეხვედრაზე საზოგადოებრივი მოძრაობა „სახალხო ფორუმის“ სახელით გამოსული გუბაზ სანიკიძის თქმით, პრობლემა ის კი არ არის, რამდენ ხანს გასტანს ეს ხელისუფლება, არამედ ის, თუ რა იქნება მერე. არა – ვინ იქნება, არამედ – რადგან ბელადების, გმირების, ლეგენდების დრო დამთავრდა და 21-ე საუკუნეში წინ უნდა წამოიწიოს პრაგმატულობამ. მთავარია, როგორ ქვეყანას ავაშენებთ...

შეხვედრის მონაწილეებს მიესალმა „სახალხო ფრონტის“ თავმჯდომარე ნოდარ ნათაძეც.

შეკრებილნი ოვაციებით შეხვდნენ „მომავლის მთავრობის“ ლიდერის გია მაისაშვილის გამოსვლას. მან, ძირითადად, ილაპარაკა როგორი უნდა იყოს მომავლის საქართველო. თურმე ეკონომიკური კვლევების ჯგუფის მონაცემების მიხედვით, თავისი განვითარების თვალსაზრისით, 111 ქვეყანა გამოვლინდა. ყველაზე საუკეთესო ქვეყანა რამდენიმე პარამეტრს უნდა აკმაყოფილებდეს: ერთ სულ მოსახლეზე შემოსავალს, თავისუფლების დონეს ქვეყანაში და პოლიტიკურ პროცესებს, აგრეთვე, ტრადიციებს, საზოგადოების ერთიანობას, სოციალურ კაპიტალს, ჯანმრთელობის დაცვას, უსაფრთხოებას, ქალის როლს, ოჯახის ფუნქციას.

ამ პარამეტრების მიხედვით, ყველაზე კარგი ქვეყანა ირლანდია აღმოჩნდა, რომელიც თურმე 1990 წლამდე აგრარულ ქვეყნად მოიაზრებოდა.

„მათ კარგი ბალანსი დაამყარეს მოდერნიზაციასა, თანამედროვე ეკონომიკასა და ძველ ტრადიციას შორის, პრიორიტეტი ოჯახს და ეროვნულ ყოფიერებას მიანიჭეს. ამის გამო ირლანდია პირველ ადგილზე გავიდა“, – ამბობს გია მაისაშვილი.

მისი თქმით, მომავალი ეკუთვნის შესაძლებლობების, პასუხისმგებლობისა და სოციალური სოლიდარობის საზოგადოებას. სოციალური საზოგადოება გულისხმობს ჯანსაღ ეკონომიკას, საზოგადოებასა და პოლიტიკურ პროცესს. ანუ „მომავლის მთავრობის“ საფუძველთა საფუძველი იქნება სოციალური საზოგადოებრივი სოლიდარობა, ილიას სიტყვებით რომ გადმოვცეთ, „შენ სხვისთვის და სხვა კი – შენთვის“.

„მომავლის მთავრობას“ აქვს საკუთარი პროგრამა, რითაც მრავალი საინტერესო ჩანაფიქრის განხორციელებას აპირებს. „მადლობა ღმერთს, რომ გია მაისაშვილი არსებობს“, – ასეთი იყო საკალათბურთო სასახლეში შეკრებილთა განწყობა.

**თამარ შაიშმელაშვილი.**

◎ რუსული პრესის ფურცლებზე

# საქართველოს ახალგაზრდა ლიდერის და თავისი ყოფილი სტიპენდიატის მხარდასაჭერად თბილისში ჯორჯ სოროსი ჩამოვიდა

**მიხეილ სააკაშვილი არ გამორიცხავს, რომ შესაძლოა, ვადამდეც გადადგეს პრეზიდენტის პოსტიდან. როგორც მან აღიარა, ასეთი გადადგომის კატალიზატორი შეიძლება გახდეს საქართველოს მოსახლეობის უკმაყოფილება ახალი მთავრობის მიერ განხორციელებული რეფორმების და მათ შორის, „შოკური თერაპიის“ გამო. ანალიტიკოსთა აზრით, საქართველოს პრეზიდენტს ასეთი განცხადების გაკეთების მიზეზი მისცა მისი რეიტინგის უპრეცედენტო დაცემამ, აგრეთვე, ქვეყანაში არსებულმა ეკონომიკურმა და სოციალურმა დაძაბულობამ. ამასთან დაკავშირებით, სააკაშვილმა დასავლეთს მიმართა პოლიტიკური და ეკონომიკური მხარდაჭერისთვის. თბილისის ამ მოწოდებას გამოეხმაურა მსოფლიოში ცნობილი ფინანსისტი ჯორჯ სოროსი, რომელიც ეწვია საქართველოს დედაქალაქს. სწორედ იმაზე, მიიჩნევს თუ არა სოროსი საქართველოს მიმზიდველ ქვეყნად ინვესტიციების დაბანდების თვალსაზრისით, გადამწყვეტწილად იქნება კიდეც დამოკიდებული საქართველოსადმი დასავლელი ინვესტორების ურთიერთობა.**

საქართველოს პრეზიდენტის პესიმისტური განწყობილება აისახება მის სტატიაში, რომელიც ამ დღეებში გამოაქვეყნა ბრიტანულმა გაზეთმა „ფაინენშნლ ტაიმსმა“. სტატიაში სააკაშვილი განმარტავს, თუ რა სარგებლობის მოტანა შეუძლია მის მიერ განხორციელებულ რეფორმებს ხანგრძლივი პერსპექტივისთვის, აგრეთვე, აყალიბებს თანამედროვე სამყაროში მისი აზრით, რეფორმატორობის ძირითად პრინციპებს. მაგრამ, მთავარი, რამაც მიიპყრო ანალიტიკოსთა ყურადღება, არის სააკაშვილის ასეთი ფრაზა: რეფორმატორი უნდა შეურიგდეს იმას, რომ ადრე თუ გვიან, ამომრჩეველს გაუცრუვდება მასზე დამყარებული იმედები, და მას მოუწევს დატოვოს თავისი პოსტი. ეს სიტყვები ბევრმა მიიჩნია როგორც ავტორის მინიშნება თავის პოლიტიკურ პერსპექტივებზე. ამით საქართველოს ახალგაზრდა პრეზიდენტმა თავისი წლინახევრიანი მმართველობის განმავლობაში, პირველად დაუშვა იმის შესაძლებლობა, რომ შეიძლება დამარცხდეს არჩევნებში ან თვით ნებაყოფლობითაც კი გადადგეს პოსტიდან.

მართლაც, ამ ბოლო ხანებში სააკაშვილის პოზიციები სერიოზულად შეირყა. მისი მმართველობით საქართველოში ახლა სულ უფრო მეტ იმედგაცრუებულ ადამიანს შეხვდებით. საქართველოს სოციოლოგიური ფონდის „გორბის“ მონაცემების თანახმად, მიმდინარე წლის დამდეგიდან პრეზიდენტის რეიტინგი 82 პროცენტიდან 60 პროცენტამდე დაეცა, ხოლო მმართველი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ – 64 პროცენტიდან 28 პროცენტამდე. თუმცა, საქართველოს ლიდერი ასეთი კოლიზიისთვის მომზადებული უნდა ყოფილიყო. ჯერ კიდევ იანვარში, „ნეზავისიმაია გაზეტასთვის“ მიცემულ ინტერვიუში სააკაშვილი აცხადებდა: მე მზად ვარ იმისთვის, რომ პრეზიდენტად გახდომის შემდეგ შეიძლება დავკარგო პოპულარობა. ასეთია თითქმის ყველა იმ პოლიტიკოსის ხვედრი, რომლებიც ხელისუფლების სათავეში მოვიდნენ ელექტორატის თითქმის ასპროცენტიანი ნდობის ტალღაზე. ყოველდღიურად იმედგაცრუებულთა რიცხვი გაიზრდება, ისევე როგორც უკმაყოფილო ადამიანების, რაც, ბუნებრივია, გავლენას მოახდენს რეიტინგზე მისი შემცირების თვალსაზრისით.

მეთვალყურეთა შეფასებით, სააკაშვილისთვის ძირითადი საფრთხე შეიძლება გახდეს მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პირობები. ამ მიმართულებით საქართველოს ახალმა ხელისუფლებამ ბევრის გაკეთება ვერ შეძლო. მართალია, მან მოაგვარა საბიუჯეტო ორგანიზაციების თანამშრომელთა ხელფასების და პენსიების დროული გაცემა, საპენსიო მინიმუმი გაზარდა ერთიორად – 14 ლარიდან 28 ლარამდე, მაგრამ ვერ შეძლო შეეკავებინა ფასების ტოტალური ზრდა, ამიტომ, პენსიების გაზრდამ დიდად ვერ შეამსუბუქა მოსახლეობის სუსტად დაცული ფენების მდგომარეობა. კიდევ უფრო რთული სიტუაციაა საბიუჯეტო ორგანიზაციების მუშაკებთან დაკავშირებით: მათი ხელფასი საშუალოდ გაიზარდა 115 ლარამდე, მაგრამ ხელფასების გადიდება, მრავალ შემთხვევაში, შესაძლებელი გახდა მხოლოდ მასობრივი შემცირებების ხარჯზე. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ უმუშევართა არმია საგრძნობლად გაიზარდა. სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებით, საქართველოში უმუშევრობის დონემ თითქმის 20 პროცენტს მიაღწია. მაგრამ როგორც სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტში აღიარეს, ეს მთლად რეალური მაჩვენებელი არ არის, რადგან შრომის ბირჟაზე რეგისტრირებას უმუშევრები თანხმდებიან მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში, რადგან ეს პროცედურა მათ დამამცირებლად მიაჩნიათ. მეორე მაჩვენებელს – ეკონომიკის თითქმის 8,5-პროცენტიან აღმავლობას – ასევე, გარკვეულწილად, პირობითი ხასიათი აქვს და განპირობებულია არა მრეწველობის ან სოფლის მეურნეობის განვითარებით, არამედ, ძირითადად, ჩრდილოვანი ეკონომიკის ლეგალიზაციით.

ამჟამინდელი ხელისუფლების პოპულარობის შემცირების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მიზეზია აშკარა სტაგნაცია აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან მოლაპარაკების პროცესში. ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შესახებ გამოთქმული დაპირებები ჯერჯერობით მხოლოდ დაპირებებად რჩება. დიალოგი სოხუმთან საერთოდ არ გამოდის, ცხინვალის მთავრობის წარმომადგენლებთან გამართული რეგულარული შეხვედრები კი იმის საშუალებას იძლევა, რომ თანდათანობით შენელდეს დაძაბულობა, რომელიც გამოიწვია გასული წლის ზაფხულში თბილისის მცდელობამ, ერთი ხელის დაკვრით მოეგვარებინა სამხრეთ ოსეთის პრობლემა.

კავკასიის მშვიდობის, განვითარებისა და დემოკრატიის ინსტიტუტის წამყვანმა ექსპერტმა პაატა ზაქარეიშვილმა ბრიტანულ გაზეთში დაბეჭდილი სააკაშვილის წერილი მიიჩნია, როგორც საზღვარგარეთის აუდიტორიისთვის გათვლილი პრეზიდენტის მორიგი წარმატებული სვლა. „დასავლეთში სააკაშვილს ისე არ ეკიდებიან, როგორც საქართველოში. მისი ნებაყოფლობითი ვადამდელი გადადგომა ახლა სიზმარშიც კი არ შეიძლება წარმოვიდგინოთ, რადგან იგი ძალზე მტკიცედ არის დარწმუნებული თავის სიმართლეში. თანაც, არც პრეზიდენტის გადადგომისთვის არსებობს ამჟამად რაიმე წანამძღვარი. უდიდესი საშინაო პრობლემების მიუხედავად, სააკაშვილის პოპულარობა კვლავ დიდია. მაგრამ საქართველოში ჯერჯერობით არ მომწიფებულა უკმაყოფილო ფენების ეგრეთ წოდებული კრიტიკული მასა, რომელსაც შეუძლია შექმნას ისეთი სერიოზული ოპოზიცია, ხელისუფლებასთან შეჭიდებას რომ შეძლებს. ასეთი ოპოზიცია ერთი ხელის დაკვრით ვერ შეიქმნება. თუ, რა თქმა უნდა, პრეზიდენტი თვითონ არ დაუშვებს დიდ შეცდომას – ვთქვათ, არ გააჩაღებს ომს აფხაზეთში ან ჩრდილოეთ ოსეთში, ან არ მოხდება რაიმე ისეთი მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც გამოიწვევს მძლავრ საზოგადოებრივ აფეთქებას“, – თქვა პაატა ზაქარეიშვილმა.

ამავე დროს, რუს პოლიტოლოგს, „მერკატორის“ ანალიტიკური ჯგუფის ხელმძღვანელს დიმიტრი ორეშკინს მიაჩნია, რომ სააკაშვილის სტატია ბრიტანულ გაზეთში არის, უწინარეს ყოვლისა, მისი მიმართვა დასავლეთისადმი პოლიტიკური და ეკონომიკური დახმარების მიზნით. „საქართველოს ეკონომიკის ფეხზე დაყენება, პრაქტიკულად, შეუძლებელია, კერძო ბიზნესი არ ენდობა პრეზიდენტს, მსხვილი სამრეწველო ჯგუფები კი ცდილობენ, რომ იგი მათზე დამოკიდებული გახადონ. გარდა ამისა, სააკაშვილის მიერ გადადგმული ნაბიჯებიც ყოველთვის როდია გონივრული: მან გააუარესა ურთიერთობა რუსეთთან, რის გამოც, ამერიკელთა მხრიდან მსუბუქი საყვედურები გამოიწვია. საქართველოს პრეზიდენტის იმიჯი დასავლეთში ეცემა. ამიტომ, ჩემი აზრით, სტატია, უწინარეს ყოვლისა, მიზნად ისახავს მისი იმიჯის განმტკიცებას, და დასავლეთის დარწმუნებას იმაში, რომ საქართველოს ხელმძღვანელობა ერთგულობს დემოკრატიულ პრინციპებს“, – თქვა პოლიტოლოგმა.

საქართველოს პრეზიდენტის სვლა შედეგიანი გამოდგა: თბილისს ესტუმრა ჯორჯ სოროსი, ადამიანი, რომლის მიერ გამოყოფილმა გრანტებმაც, თავის დროზე მნიშვნელოვანი დახმარება გაუწია სააკაშვილს და საქართველოს ხელმძღვანელობაში ამჟამად მყოფ მრავალ ადამიანს იმაში, რომ ისინი მოსულიყვნენ დიდ პოლიტიკაში.

**იური სიმონიანი,**
**ნელი ორლოვა,**
**თბილისი-მოსკოვი.**
**„ნეზავისიმაია გაზეტა“, 31 მაისი.**

НЕЗАВИСИМАЯ

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# ექსპერტები: რუსეთის ბაზების გამოტანა საქართველოდან სააკაშვილის დამარცხებაა

(პირველი გვერდიდან)

მაგრამ რუსეთს არაფერი წაუგია, და მისთვის სავსებით გონივრული ნაბიჯი იყო გადაწყვეტილების მიღება ბაზების გამოტანის შესახებ. „რა თქმა უნდა, სამწუხაროა, რომ ვერც ვერაფერი მოვიგეთ, არადა, შეგვეძლო მოგება როგორც ჩვენ, ისე საქართველოს მხარეს. სხვათა შორის, ჩვენი ბაზების სასწრაფო გამოტანა არც ამერიკელთა ინტერესებს შეესაბამება. რუსული და ამერიკული სამხედრო-საჰაერო ბაზები ყირგიზეთში ერთმანეთის გვერდიგვერდაა განლაგებული. ისინი ერთიანი ფრონტით გამოდიან საერთო მოწინააღმდეგესთან საბრძოლველად. ხოლო როცა იწყება კონფრონტაცია, ამით მოგებული არავინ არ რჩება. ახლა სააკაშვილს სურს, რომ რომის პაპზე მეტი კათოლიკე იყოს, ცდილობს, ყველანაირად ასიამოვნოს ვაშინგტონს. მაგრამ, საბოლოო ანგარიშით, ასეთი თვითმოქმედება ამერიკელთა გაღიზიანებას გამოიწვევს“, – დარწმუნებულია ექსპერტი.



ეროვნული უშიშროებისა და სტრატეგიული კვლევის ინსტიტუტის ვიცე-პრეზიდენტმა ვლადიმერ კუმაჩოვმა დასძინა, რომ ის მოტივები, რომლებიც ამოძრავებდა საქართველოს ხელმძღვანელობას რუსეთის ბაზების ქვეყნის ტერიტორიიდან, რაც შეიძლება სწრაფად გატანის საკითხში, სამწუხაროდ, უკავშირდება იმას, რომ საქართველოს ხელმძღვანელობას სურს რაც შეიძლება სწრაფად შეერწყას შეერთებულ შტატებს, ნატოს და ევროკავშირს. ამისთვის კი, ვ. კუმაჩოვის აზრით, საქართველოს ხელისუფლებამ გადაწყვიტა, რაც შეიძლება სწრაფად გაწყვიტოს პარტნიორული ურთიერთობა რუსეთთან. ამასთან, ამერიკელებს საქართველო სჭირდებათ მხოლოდ იმისთვის, რომ გამოიყენონ მისი ტერიტორია როგორც ასაფრენ-დასაჯდომი მოედანი აღმოსავლეთში სამხედრო ოპერაციების განხორციელებისთვის, რაც გარდუვალიც იქნება, თუ ქვეყანას ჰყავს უნებისყოფო და მორჩილი ხელმძღვანელობა. საქართველო, როგორც ასეთი, დასავლეთს არ სჭირდება, მტკიცედ სწამს ვლადიმერ კუმაჩოვს. „ამის შემდეგ, სააკაშვილი, როგორც პოლიტიკოსი, ალბათ, დიდხანს ვეღარ დარჩება ასპარეზზე. სააკაშვილს იმედი აქვს, რომ მიიღებს რაღაცას, კომპენსაციის სახით. მაგრამ საქართველოში ძალზე ბევრი რამ არის შესაცვლელი იმისთვის, რომ დასავლეთმა იგი მიიღოს თავის რიგებში, და ქვეყნის ამჟამინდელი ადმინისტრაციის ძალებით ამის გაკეთება ვერ მოხერხდება. მაშასადამე, საჭირო იქნება მისი შეცვლა. მაგრამ ვინ მოვა? ჯერჯერობით ძნელი სავარაუდოა. მე საქართველოში არ მეგულება ისეთი ადამიანები, სერიოზული პოლიტიკური ძალები, რომლებიც მოისურვებენ გახდნენ დასავლეთის ინტერესების გამტარებლები, თუ, რა თქმა უნდა, არ ჩავთვლით სააკაშვილის დაჯგუფებას“, – აღნიშნა ვ. კუმაჩოვმა. ოღონდ, პრობლემაა ის, რომ განწყობილება ორიენტაციის შეცვლისთვის საქართველოში საკმარისი არ არის. როგორც ექსპერტი ვარაუდობს, ასეთი არამდგრადი სახელმწიფოს პირობებში სააკაშვილს სურს მიიღოს რაღაც არა საქართველოსთვის, არამედ საკუთარი კეთილდღეობის მიზნით. „თავისი ქვეყნის წინაშე არსებული რეალური პრობლემების გადაჭრა სააკაშვილმა ვერ შეძლო, მაგრამ, სამაგიეროდ, მას შეუძლია დარჩეს უვნებელი, მოიპოვოს საკმაო ფული, და არც საქმეებს ჩამოშორდეს. იგი, ალბათ, გრძნობს, რომ ან დაამხობენ, ან თვითონ მოუწევს წასვლა. უკვე აშკარაა, რომ ეს ადამიანი არის ლიდერი მცირე ხნით. და მას პოლიტიკური დღეგრძელობა არ უწერია“, – აცხადებს ვ. კუმაჩოვი. მას მიაჩნია, რომ ასეთ სიტუაციაში დამარცხებულია მხოლოდ ქართველი ხალხი. „ხომ შეიძლებოდა რუსეთთან დაემყარებინათ პარტნიორული ურთიერთობის სისტემა, და რუსეთიც იქნებოდა საიმედო პარტნიორი, მნიშვნელოვანი პოლიტიკური „ფარი“, ახლა კი საქართველო პირისპირ რჩება იმათთან, ვისაც უკვე კარგა ხანია სურს, თავს მოახვიოს მას თავისი პირობები. საქმე ეხება არა მარტო სამხედრო, არამედ ნებისმიერ სხვა საფრთხეს – მაგალითად, პოლიტიკური ზემოქმედების საფრთხეს. პარადოქსულია, მაგრამ ამ საფრთხისმომტან ძალებს არ მიეკუთვნება შეერთებული შტატები, რომელმაც უკვე ყველაფერი მიიღო საქართველოსგან, რაც სჭირდებოდა. ასე რომ, ამერიკელთათვის აღარ აქვს აზრი დიდი სახსრების გაღებას პოლიტიკურად დამოუკიდებელი ქვეყნის დასახმარებლად, რომელსაც ნამდვილად არ გაუმართლა ლიდერთან დაკავშირებით“, დაასკვნის სპეციალისტი.

**„როსბიზნესკონსალტინგ“.**
**საინფორმაციო სააგენტო,**
**31 მაისი.**

◎ თანამშრომლობა

# უდისციპლინო მძღოლი ისეთივე დამნაშავეა, როგორც კაცისმკვლელი

**გუშინ დიუმას სახელობის ფრანგული კულტურის ცენტრში საგზაო უსაფრთხოების პროგრამასთან დაკავშირებით სამდღიანი სემინარი გაიმართა, საფრანგეთისა და საქართველოს პოლიციათა ორმხრივი თანამშრომლობის პროგრამით.**

**პოლიციის საერთაშორისო ტექნიკური თანამშრომლობის სამსახური კადრების მომზადებაში დახმარებს უწევს სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს.**

**სემინარზე საგზაო უსაფრთხოების საკითხებზე ისაუბრა საფრანგეთის ელჩმა ფილიპ ლე ფორმა.**

**– ქვეყნის უსაფრთხოების საკითხები მხოლოდ სისხლის სამართლის სფეროში ჩადენილ ან სხვა სახის დანაშაულობებს არ ითვალისწინებს. უსაფრთხოებაში აგრეთვე არამოქალაქეობრივ დამოკიდებულებასაც ვგულისხმობ: როდესაც მეტროში ფეხმძიმე ქალს ან მოხუცებულს ადგილს არ დაუთმობენ, ბოდიშს არ მოუხდიან ადამიანს, რომელსაც ქუჩაში შეეჯახებიან. საფრანგეთს მრავალი წელი დასჭირდა იმისთვის, რომ საგზაო უსაფრთხოების საკითხი ისეთივე მნიშვნელოვანი გამხდარიყო, როგორც ნარკოტიკებით უკანონო ვაჭრობის ან ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა. იმის გაცნობიერებასაც დიდი დრო დასჭირდა, რომ უდისციპლინო მძღოლი ისეთივე დამნაშავე და სახიფათოა საზოგადოებისათვის, როგორც ბოროტმოქმედი, რომელიც შეგნებულად კლავს ადამიანს. უკანასკნელი 20 წლის მანძილზე საფრანგეთში საგზაო შემთხვევების შედეგად 12 ათასიდან 6 ათასამდე შემცირდა გარდაცვლილთა რიცხვი. ეს კარგი მუშაობის შედეგია, – აღნიშნა საფრანგეთის ელჩმა.**

**შეხვედრაზე პარიზის პოლიციის პრეფექტურის მთავარმა კომისარმა ჟაკ გიომარმა ილაპარაკა საფრანგეთის საგზაო პოლიციის მუშაობის გამოცდილებაზე.**

**ღონისძიებას საქართველოს საპატრულო პოლიციის სამსახურის წარმომადგენლები დაესწრნენ. გაიმართება დებატები.**

**ღონისძიების ორგანიზატორი იყო საფრანგეთის საელჩოს პოლიციის ატაშე უსაფრთხოების საკითხებში ქალბატონი ვალერი მულერა მაიე.**

**უჩვენეს ვიდეოფილმი საგზაო უსაფრთხოების შესახებ.**

**სემინარი ხვალ დამთავრდება.**

**ნანა სულავა.**

№ 128, ოთხშაბათი, 1 ივნისი, 2005 წელი.

◉ საწარმო

# 1. „აზოტმა" თვალებში გამოიხედა

## ხვალინდელი დღე უფრო ნაყოფიერი და წარმატებული იქნება

(პირველი გვერდიდან)

პანსიონატის სტადიონზე დღილადავ გამართა სპორტული ასპარეზობანი ფრენბურთში, კალათბურთში, ფეხბურთში, ჭადრაკში, სიმძიმეების აწევაში... გამარჯვებულებს გადაეცათ პრიზები, საჩუქრის მოწონებული კი — ფასიანი საჩუქრები. საერთოდ, დღესასწაულთან დაკავშირებით შემზადა პრემიებისთვის გამოიყო 75 ათასი ლარი, რომელიც გადაეცათ აზოტელებს. მათ სიგეველ საწარმოს ვეტერანებს გენერალური დირექტორის ახლრივ პარტნიორები, რომლებიც მოშვებულან თაოსანი და საგრთომოგოს კომპანია „იტერის" ხელმძღვანელობამ საზეიმოდ შეურიდა დღესასწაული, უსურვა წინსვლა, გამარჯვებები და წარმატებები.

ამ წარმატებათა გასაღები კი, საწარმოს მრავალათასიან კოლექტივსულ აზოტელებს — დახმარებას.

თუმცა მაინც ის გახლავთ, რომ „აზოტმა" უკვე დაძლია კრიზისული წლები, მოხდა დიდი გარდატეხა, როგორც საწარმოო პროცესების სრულყოფის, ისე ფინანსურ-ეკონომიკური მაჩვენებლების გაუმჯობესების მხრივ. ამის დასტურად თუნდაც ასეთი ციფრი: თუ 2000 წელს „აზოტმა" გამოუშვა 44,6 მილიონი ლარის პროდუქცია, 2004 წლის მონაცემებით მისი სიდიდე 77,9 მილიონი ლარით შეადგინა, რაც, დაგეგმილთან შედარებით, გაცილებით მეტია.

ამის მიუხედავად, რომ ქარხანამ ამონიუმის გვარჯილის საამქროში მომხდარი ხანძრის გამო სერიოზული ზარალი ნახა, შარშან აქ აწარმოეს 283,6 ათასი ტონა გვარჯილა. გაცილებით უკეთესი მაჩვენებლებია მიმდინარე წელს.

[illegible]



თან ერთად, თავად სს „აზოტის" ხელმძღვანელობის ხელმა, რომელმაც ბოლო პერიოდში ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ საწარმოს კრიზისიდან დაეღწია და ფეხზე დამდგარიყო.

მაინც რა გააკეთა ასეთი? მოკლედ ვიტყვით.

საერთაშორისო კომპანია „იტერა" სს „აზოტმა" 2003 წლის მარტიდან მოდიანეშია. პირველ რიგში კომპანიის საწარმოს რეაბილიტაციის პროგრამა, დაიწყო პირველ ეტაპის სამუშაოები, რაც ითვალისწინებდა ქარხნის გაჯანსაღებს რეჟიმიდან რეაბილიტაციის რეჟიმში გადასვლას. ეს პრობლემა წარმატებით გადაწყდა. „აზოტი" შეუფერხებლად მუშაობს, ხდება ლარიალ-ვალურ პროდუქციის, ისტორიულ მაჩვენებელზე გვარჯილა.

[illegible]

ოთარ ხუციშვილი.

◉ ინფორმაცია

### ლეიბორისტების აქცია არ მოეწონათ

პარლამენტარი ელდარ შენგელაია „ლეიბორისტების" წინააღმდეგ სამართალდამცველების რეაგირებას ითხოვს. როგორც გუშინ პარლამენტის პლენარულ სხდომაზე შენგელაიამ განაცხადა, ჯორჯ სოროსის საქართველოში სტუმრობასთან დაკავშირებით „ლეიბორისტების" მიერ ჩატარებული საპროტესტო აქცია „ხულიგნობის ელემენტებს შეიცავდა, ამიტომ სამართალდამცველებმა „ლეიბორისტების" ამ ქმედებაზე შესაბამისი რეაგირება უნდა მოახდინონ".

### თუკი ტულუში სკამს არ მოსცილდება...

საქართველოს პროფკავშირების გაერთიანება უახლოეს მომავალში შესაძლოა, მომსახურების სფეროს პროფკავშირებს დაჰყოს. ამის შესახებ გუშინ გამართულ ბრიფინგზე საქართველოს მომსახურების სფეროს პროფკავშირების თავმჯდომარემ დაჰყოს.

[illegible]

### „თბილგაზი" — ფინანსური მარწუხების გარეშე

[illegible]

რამ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება ვერ მივიღეთ, — განაცხადეს „თბილგაზში". უახლოეს დღეებში შეიკრიბება პრემიერ-მინისტრთან არსებული ენერგეტიკული საბჭო, სადაც „თბილგაზის" ფინანსური პრობლემების საკითხს განიხილავენ.

ინტერპრესი.

◉ აქტუალური თემა

# ვიცე-სპიკერი „სოროსელობას" ნატრობს

**საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა პარლამენტს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისა და წევრობის კანდიდატები წარუდგინა. ცესკოს თავმჯდომარის კანდიდატურად იუსტიციის საბჭოს აპარატის ყოფილი თანამშრომელი გია ქავთარაძე სახელდება. ცესკოს წევრის ერთ ვაკანტურ თანამდებობაზე წარდგენილია ორი კანდიდატურა.**

პრაუზვიანეს 14 დღისა, საქართველოს პარლამენტი სახელობით კენჭისყრით ცესკოს თავმჯდომარეს და წევრებს აირჩევს. ყოველ კანდიდატს კენჭი ცალკე ეყრება. ცესკოს თავმჯდომარე არჩეულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს პარლამენტის სიითი შემადგენლობის უმრავლესობა. თუ ამ პირთა რაოდენობა ასარჩევ რაოდენობაზე მეტი აღმოჩნდა, არჩეულად მათ შორის ექვსი საუკეთესო შედეგის მქონე კანდიდატი ჩაითვლება.

არჩეულ პირთა სია ცესკოს წევრებისა და თავმჯდომარის არჩევიდან სამი დღის ვადაში ქვეყნდება. საქართველოს პრეზიდენტი ცესკოს პირველ სხდომას მისი წევრების არჩევიდან 10 დღის ვადაში იწვევს.

**მიხეილ მაჩავარიანი, პარლამენტის ვიცე-სპიკერი.**

— პრეზიდენტმა ფრაქციასთან შეხვედრისას ბრძანა, რომ მან იფიქრა და რამდენიმე კანდიდატს შორის, ალბათ გია ქავთარაძის კანდიდატურას შემოიტანს. შემიძლია გითხრათ, რომ გია ქავთარაძე ცესკოს თავმჯდომარეობისთვის მორგებული კანდიდატურაა.

**— „მორგებულობა" რაში გამოიხატება?**

— ამ პიროვნებას საკმაოდ დადებითად ვახასიათებ. პოლიტიკურად ანგაჟირებული არ არის, მგონი არც ერთი პარტიის წევრი არ ყოფილა. ამ მხრივ მიუკერძოებელი ადამიანია. ცესკოს მთავარი ფუნქციაა არჩევნები პატიოსნად დაითვალოს. მჯერა, რომ გია ქავთარაძე ამას ასეც გააკეთებს, იმიტომ რომ, პატიოსანი კაცია. სადაც კი უმუშავია, სახელმწიფო სამსახურში თუ კერძო სექტორში, ყველგან წესიერებით გამოირჩეოდა.

**— ცესკოს წევრობის კანდიდატურებზე რას იტყვით?**

— ჯერჯერობით ვერაფერს გეტყვით. მათზე დეტალური საუბარი არ ყოფილა. პრეზიდენტმა ბრძანა, რომ სჯობს ჯერ ფრაქციის შიგნით შევიკრიბოთ, მივიღოთ გადაწყვეტილება თუ ვის ვირჩევთ.

თუ გვექნება რამე განსხვავებული მოსაზრება, ანუ, ჩავთვლით, რომ პრეზიდენტთან კონსულტაციებია საჭირო, მასთან კვლავ შევიკრიბებით. ასე რომ, დანარჩენ კანდიდატებზე ვერ ვილაპარაკებ. ყოველ შემთხვევაში, ფრაქციის სხდომაზე ჯერ მხოლოდ ის შემიძლია გითხრათ, რომ ცესკოს თავმჯდომარის პოსტზე გია ქავთარაძის კანდიდატურა, ერთ-ერთი საუკეთესო ვარიანტია. ჟურნალისტები ჩვეულებისამებრ ალბათ შეეცდებიან რაიმე ამოუქექონ. დარწმუნებული ვარ, გია ქავთარაძეს თავისი ცხოვრების მანძილზე არაფერი სასირცხვილო არ გაუკეთებია. ეს დაბეჯითებით შემიძლია გითხრათ.

**— ბატონო მიხეილ, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ჯორჯ სოროსთან შეხვედრაზე მიდიხართ. კონკრეტულად რა საკითხებზე ისაუბრებთ?**

— მე მიღებაზე მივდივარ. შეხვედრაზე არ ვიქნები, ჩემდა სამწუხაროდ, „სოროსელად" არ ვითვლები. თუმცა, მიმაჩნია, რომ არაფერი ცუდი არ იქნებოდა, თუ რომელიმე პროგრამის განხორციელებაში სხვებთან ერთად მონაწილეობას მეც მივიღებდი.

**— სოროსელი რომ არ ყოფილხართ, ეს ასე გაწუხებთ?**

— მე ვხედავ ერთ რამეს: ეს ფონდი კრებს ყველაზე კომპეტენტურ ადამიანებს და პროგრამებს აფინანსებს. უმაღლესი განათლების რეფორმა იქნება, თუ ხსვა ნებისმიერი საკითხი, ეს ხალხი საქმეს აკეთებს. ზოგიერთებს კი ისე წარმოუდგენიათ, თითქოს სოროსი დადის და ფულს პირდაპირი სახით არიგებს. ასეთ ხმებს ის პარტიები ავრცელებენ, რომლებიც ყურადღების მიპყრობას ცდილობენ. უნდათ, რომ სოროსმა პროგრამები კი არა, მათი პარტიები დააფინანსოს. ვიმეორებ, სოროსი ფულს ტყუილად არ არიგებს.

**მზია გელენავა.**

P.S. *ცნობისათვის: საარჩევნო კოდექსის მე-18 მუხლის შესაბამისად, ცესკოს საუბნო და საოლქო კომისიების წევრად შეიძლება აირჩეს ამომრჩეველი, გარდა ვ) ადგილობრივი და თვითმმართველობის ორგანოთა ხელმძღვანელებისა და მათი მოადგილეებისა ზ) საქართველოს თავდაცვისა და შს სამინისტროების, სახელმწიფო დაცვის სპეციალური დაცვის თანამშრომლებისა.*

*წყაროს ცნობით, წარმოდგენილი თორმეტი კანდიდატიდან ორი კანდიდატი საარჩევნო კოდექსის დასახელებული მუხლის დარღვევით არის წარმოდგენილი: კერძოდ, ერთ-ერთი მათგანი გახლავთ საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე, ხოლო მეორე შსს საკადრო და უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე.*

*ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ საარჩევნო კოდექსის 28-ე მუხლით პრიორიტეტული იყო, კანდიდატი უნდა ყოფილიყო ის ადამიანი, ვისაც საარჩევნო კომისიაში მუშაობის გამოცდილება აქვს. იმავე წყაროს ცნობით, წარმოდგენილი 12 კანდიდატიდან სათანადო გამოცდილების მქონე მხოლოდ სამია.*

მ. გ.

◉ მხარე

# ჰუმანური აქცია სენაკში

**ახლახან, სამეგრელო-ზემო სვანეთის შინაგან საქმეთა სამხარეო მთავარი სამმართველოს ინიციატივით, მხარის გუბერნატორის და სენაკის რაიონის გამგეობის ერთობლივი ძალისხმევით, სენაკის აკაკი ხორავას სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში გაიმართა ნარკომანიის წინააღმდეგ მიმართული აქცია, მას რაიონის ახალგაზრდობა და პედაგოგები დაესწრნენ.**

სხდომაზე სიტყვით გამოვიდა წმინდა გიორგის ეკლესიის წინამძღვარი, დეკანოზი ავგუსტინე, რომელმაც დამსწრეთ გააცნო სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის მიმართვა ქართველი ხალხისადმი, სადაც ნათქვამია, რომ „ნარკომანია კლავს ადამიანს არა მარტო ფიზიკურად, არამედ სულიერადაც. ამ მავნე ჩვევისგან ხსნა სულიერებაში, ლოცვაში და ტაძრისკენ მიმავალ გზაზე შედგომაშია, რომელიც ყოველთვის ქართველთა მხსნელი იყო".

სხდომაზე ასევე სიტყვით გამოვიდნენ სამეგრელო-ზემო სვანეთის შინაგან საქმეთა სამხარეო მთავარი სამმართველოს უფროსი მერაბ გერგაია, სენაკის მე-2 საშუალო სკოლის მასწავლებელი ნანა თავართქილაძე და სხვ.

გამომსვლელებმა აღნიშნეს, რომ ნარკომანიას უნდა ებრძოლოს არა მარტო პოლიცია, არამედ მთელი საზოგადოება.

აქციას საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებული სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში კახა არდია, ქალაქ ფოთის მერი და მეზობელი რაიონების გამგებლებიც დაესწრნენ.

**იოსებ გოგეჩია,**
**„სრ" საკ. კორ.**

◉ ინფორმაცია

### იქნებ შუღლს ბოლო მოეღოს...

**ცხინვალში** შერეული ოთხმხრივი საკონტროლო კომისიის საგანგებო სხდომა 31 მაისს განახლდა.

საქართველოს მხრიდან შეხვედრაში კონფლიქტების დარეგულირების საკითხებში სახელმწიფო მინისტრი გოგა ხაინდარვა, შიდა ქართლის რეგიონში პრეზიდენტის რწმუნებულის მოადგილე გელა ზოზიაშვილი და საქართველოს ძალოვანი უწყების წარმომადგენლები მონაწილეობენ. მათ გარდა, სხდომაში საქართველოში ეუთოს მისიის წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ.

სხდომის დღის წესრიგში სამი ძირითადი საკითხი იყო: მათ შორის პირველი, 29 მაისს კეხვსა და თამარაშენში მომხდარი ინციდენტის ოპერატიულად და ობიექტურად გამოძიებაა. გუშინდელ შეხვედრაზე მიღწეული შეთანხმების შედეგად, გამოძიებას ქართული და ოსური მხარეები ერთობლივად აწარმოებენ.

მეორე საკითხი იყო კონფლიქტის ზონაში დემილიტარიზაციის პროცესის დაჩქარება. მესამე კი ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში ინფრასტრუქტურის აღდგენისა და სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის რამდენიმე ათეული მილიონი ევროს ოდენობის გრანტის მიღებისა და განაწილების საკითხი.

### ბაღაფშის „ლაჟვარდოვანი" ოცნებები

**აფხაზეთის** დე ფაქტო ხელისუფლება, უახლოესი 3-4 წლის განმავლობაში, თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ეკონომიკის განვითარებას საკურორტო ინფრასტრუქტურის პრივატიზაციიდან შემოსული თანხებით გეგმავს. ამის შესახებ აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტმა სერგეი ბაღაფშმა სოხუმში გამართულ პრეს-კონფერენციაზე განაცხადა.

მისი თქმით, აფხაზეთის ახალი ხელისუფლება აფხაზეთის ეკონომიკის რეფორმირებისთვის თანხების მოზიდვას გაგრისა და გუდაუთის რაიონებში არსებული საკურორტო ინფრასტრუქტურის პრივატიზაციით აპირებს.

ბაღაფშის მტკიცებით, ხელისუფლება მზადაა მნიშვნელოვანი საკურორტო ობიექტების პრივატიზაციის პროცესი „ღიად და გამჭვირვალედ ჩაატაროს". დე ფაქტო პრეზიდენტის განცხადებით, საპრივატიზაციო ფონდში შესული თანხების ნაწილი ომის შედეგად დანგრეული ეკონომიკური ობიექტების აღდგენას მოხმარდება.

### რუმინელი ექსპერტების დახმარებით

**საქართველოში** ორდღიან ოფიციალურ ვიზიტად მყოფმა რუმინეთის თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო მდივანმა და ევროატლანტიკური ინტეგრაციის დეპარტამენტის დირექტორმა იონ მირჩა პლანგუმ გუშინ პირველი შეხვედრები თავდაცვის სამინისტროში გამართა.

რუმინელი მაღალჩინოსანი საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილემ დავით სიხარულიძემ მიიღო. როგორც დახურული შეხვედრის დასრულების შემდეგ იონ მირჩა პლანგუმ განაცხადა, საუბრის მთავარი თემა თავდაცვის სისტემის დაგეგმარება იყო. გარდა ამისა, დავით სიხარულიძის თქმით, მხარეებმა ნატოში საქართველოს გაწევრიანების პერსპექტივებზე ისაუბრეს. კერძოდ, რუმინეთის მხარე მზადაა ქართულს ექსპერტების დონეზე დაეხმაროს.

### მრგვალი მაგიდა მერიაში

**ბინის** მესაკუთრეთა ამხანაგობების შესახებ კანონპროექტის კონცეპტუალური დებულებების განსახილველად თბილისის მერიაში გუშინ მრგვალი მაგიდა გაიმართა.

განხილვაში დედაქალაქის მერი ზურაბ ჭიაბერაშვილი, არასამთავრობო სექტორისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. მერიის საქალაქო სამსახური „თბილისის კორპუსი" ბინის მესაკუთრეთა შესახებ კანონის მიღებას დიდ მნიშვნელობას ანიჭებს.

— კანონი ხელს შეუწყობს ამხანაგობების ჩამოყალიბებას მთელი ქვეყნის მასშტაბით. მისი მეშვეობით შესაძლებელი გახდება იძულების მექანიზმის შემუშავება და წამახალისებელი ღონისძიებების ხელშეწყობა, — აცხადებენ „თბილისის კორპუსში".

ინტერ-პრესი.

◉ ახალი პოლიტიკური ლექსიკონი

# REVOLUTION

**რევოლუცია ფრანგული სიტყვაა და ქართულად „ძირფესვიან გარდატეხას", „ერთი ხარისხობრივი მდგომარეობიდან სხვა ხარისხობრივ მდგომარეობაში ნახტომისებურ გადასვლას" ნიშნავს. ეს სიტყვა, უპირველეს ყოვლისა, საფრანგეთის დიდ რევოლუციას, რუსეთის რევოლუციებს, სამოქალაქო ომებს, ტერორსა და რეპრესიებს, გმირებსა და ბელადებს გვახსენებს.**

რევოლუციებს თავისი მკვლევარ-თეორეტიკოსები ჰყავს. საკმარისია გავიხსენოთ მარატის „უსასრულო რევოლუციის" თეორია, მარქსის — „მსოფლიო რევოლუცია", ლენინის — „ლოკალური რევოლუცია" (სოციალური რევოლუციის ერთ ქვეყანაში გამარჯვების შესაძლებლობა), ერნესტო ჩე გევარას — „რევოლუციის ექსპორტი" და ა.შ. ბოლო პერიოდში ამას დაემატა ე.წ. უსისხლო, ანუ ხავერდოვანი რევოლუციის თეორია, რომელმაც საქართველოს სინამდვილეში „ვარდების რევოლუციის" სახელი მიიღო.

**ისტორიულად, ქვეყნის მმართველებს მოსწონთ რევოლუციის დარქმევა იმ მოვლენებისათვის, რომელთა წყალობითაც ისინი ხელისუფლების სათავეში მოვიდნენ.** ჩვენთანაც ასეა — რევოლუციად მოინათლა შევარდნაძის გადადგომა და ხელისუფლების სათავეში ახალი ტრიუმვირატის (სააკაშვილი — ჟვანია — ბურჯანაძე), აღზევება 2003 წლის 23 ნოემბერს.

მოდით, ვენდოთ „რევოლუციის" ენციკლოპედიურ განმარტებას და ვაღიაროთ, რომ ეს არის საზოგადოების ერთი ხარისხობრივი მდგომარეობიდან მეორეში ნახტომისებური გადასვლა. ნებისმიერ დაპირისპირებას ხალხის მონაწილეობით (ან უმისოდ) მხოლოდ მაშინ შეიძლება ვუწოდოთ რევოლუცია, თუ შედეგად მივიღეთ ძველისგან რადიკალურად განსხვავებული საკანონმდებლო, მმართველობითი სისტემური ცვლილებები. ანუ, ქვეყანაში განვითარებულ მოვლენებს, სისხლიანს თუ ხავერდოვანს, სახელი უნდა დაარქვას ისტორიამ, თანაც, ამ მოვლენებიდან კარგა ხნის შემდეგ.

ისტორია, საერთოდ, კარგი მასწავლებელია ნიჭიერი და დაინტერესებული მოწაფისთვის. მაგალითად, ისტორია გვამცნობს, რომ მაქსიმილიან რობესპიერი, არასელი ადვოკატი, 34 წლისა იაკობინური მოძრაობის დიდი ლიდერი გახდა, 35 წლისა — საფრანგეთის დიდი რევოლუციის სულისჩამდგმელი და იაკობინური ხელისუფლების მეთაური. გამარჯვებული ხალხის კერპი და ამავე ხალხის აბსოლუტური უმრავლესობის მხარდაჭერით გულმოცემული რობესპიერი, ფრანგი ხალხის სახელით, ფრანგი ხალხის საკეთილდღეოდ და ფრანგი ხალხის მოთხოვნით (დაუკვირდით!) ყოველდღე ასობით ადამიანს გზავნიდა გილიოტინაზე. სხვათა შორის, იაკობინელთა რევოლუციური ტრიბუნალის მსხვერპლად იქცნენ არა მარტო მათი იდეური მოწინააღმდეგე ჟირონდისტები, არამედ გუშინდელი მოკავშირე „ცოფიანებიც" — უკიდურესი მემარცხენეები, ფრანგი მშრომელი ხალხის ინტერესებისთვის თავგადაკლული მებრძოლები.

იაკობინელთა ლტოლვა ცვლილებებისადმი ისე დიდი იყო, რომ მათ წელთაღრიცხვაც კი თავიდან დაიწყეს, მაგრამ მეორე წლის 9 თერმიდორს (1794 წლის 27 ივლისს) ფრანგმა ხალხმა იაკობინელთა დიქტატურა დაამხო.

**მაქსიმილიან და ოგიუსტ რობესპიერებმა, სენ-ჟიუსტმა, კუტონმა, დემულენმა, დანტონმა და ხალხის რჩეულმა ბევრმა სხვა ლიდერმა (ორი კვირით ადრე ლოგინს მიჯაჭვული „უსასრულო რევოლუციის" თეორეტიკოსი მარატი დაქირავებულმა მკვლელმა, შარლოტა კორდემ ხანჯლით აჩეხა) სიცოცხლე გილიოტინაზე დაამთავრეს.**

**იურისტ მაქსიმილიან რობესპიერს იმ წლის მაისში 36 წელი შეუსრულდა.**

ხალხის სახელით განხორციელებულ უსასტიკეს რეპრესიებს ლოგიკური დასასრული მოჰყვა — საფრანგეთის ხელისუფლების სათავეში ტრიუმფით მოვიდა ახალგაზრდა, ამბიციური კორსიკელი არტილერიის გენერალი, უნიჭიერესი ნაპოლეონ ბონაპარტე, რომელმაც სულ მალე თავი იმპერატორად გამოაცხადა. ფრანგმა ხალხმა, ვინც მანამდე უყოყმანოდ უჭერდა მხარს ჟირონდისტებს, ცოფიანებს, თუ იაკობინელებს, ახალ ბელადად ნაპოლეონი აირჩია და რევოლუციიდან ათი წლის თავზე სათაყვანო რესპუბლიკას იმპერია ამჯობინა. ხოლო კიდევ ათიოდე წლის შემდეგ, ერთ დროს ღმერთად შერაცხული ნაპოლეონი სამშობლოდან განდევნა და საფრანგეთი კვლავ ბურბონთა [illegible] ჩააბარა.

საბჭოთა ისტორიოგრაფიამ საფრანგეთის დიდი რევოლუცია გააფეტიშა და [illegible] ბურუსში გაახვია. ამის მიზეზი ძალიან უბრალოა — ბოლშევიკ თეორეტიკოსებს საკუთარი თავი იაკობინელთა იდეურ მემკვიდრეებად მიაჩნდათ. ხალხის მოთხოვნით მათაც შექმნეს უზარმაზარი რეპრესიული აპარატი, მათაც დაამყარეს უსასტიკესი წითელი (რევოლუციური) ტერორი, საკუთარ ქვეყანაში მათაც სისხლის მდინარეები ადინეს და დიდ-პატარა ბელადების მთელი გალერეა შექმნეს.

სინამდვილეში, „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია" ბუნებაში არასოდეს არსებულა. ეს იყო ყოვლად ჩვეულებრივი სახელმწიფო გადატრიალება, როცა 1917 წლის თებერვლის რევოლუციიდან რამდენიმე თვეში, სოციალ-დემოკრატთა ერთმა ნაწილმა („ბოლშევიკები") დაამხო თანაპარტიელების („მენშევიკები") ხელი- [illegible] და დედამიწის თითქმის ნახევარზე ისტორიის კანონზომიერი განვითარება მრავალი ათეული წლით შეაფერხა.

თუ სასტიკმა, მაგრამ მაინც გულუბრყვილო იაკობინელებმა წელთაღრიცხვა 1793 წლიდან დაიწყეს, უფრო რაფინირებულმა კომუნისტმა არამზადებმა სავალდებულო რელიგია შექმნეს ლენინიზმის სახით. ისინი შეეცადნენ ადამიანის გონებიდან და სულიდან განედევნათ უფლის ხატება და მის ადგილას ჩაენერგათ ლენინი — ახალი სამყაროს შემოქმედი. მათ ეს ნაწილობრივ შეძლეს კიდეც.

იმასაც ნუ დავივიწყებთ, რომ იოსებ სტალინი, რუსული რევოლუციის პირმშო, მსოფლიო ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე სასტიკი დიქტატორი, ხალხის უსაზღვრო ნდობით სარგებლობდა. მას, უბრალოდ, აღმერთებდნენ. ეს ძალიან მნიშვნელოვანია.

სხვათა შორის, საბჭოთა ისტორიოგრაფია მთლად რევოლუციურად თუ არა, რევოლუციის წინაპრად მაინც მიიჩნევდა მონების აჯანყებას სპარტაკის, ხოლო გლეხთა აჯანყებას ემელიანე პუგაჩოვის მეთაურობით. ქართულ საბჭოთა ისტორიოგ- [illegible]





ვუბრუნდეთ, როცა ხალხი ხელებს უკოცნიდა „ღვთისგან მოვლენილ" ზვიად გამსახურდიას — მესიას, მხსნელს, გმირს, ბელადს, წინამძღოლს. სულ რაღაც ერთი წლის შემდეგ, იგივე ხალხი ტყვიას უშენდა გუშინდელ სათაყვანო გმირს.

მუხლებზე დაჩოქილმა ხალხმა თავის დროზე შენდობა თხოვა „მსოფლიო პოლიტიკის ლიდერს" ედუარდ შევარდნაძეს და საპრეზიდენტო არჩევნებში მას უზარმაზარი უპირატესობით გაამარჯვებინა.

ვარდებით შეიარაღებულმა იმავე ხალხმა დაამხო შევარდნაძის ხელისუფლება და თავისი ხმები ახალ გმირს, მიხეილ სააკაშვილს გადაულოცა...

**„მიხეილი, მიშა სააკაშვილი შეიყვარა საქართველომ ისე ძლიერად, როგორც დიდი ხანია მას არავინ არ ყვარებია. ეროვნული გმირი ენატრებოდა საქართველოს, გამარჯვებების მომტანი გმირი ენატრებოდა საქართველოს და მან მიიღო იგი..."**

**„მასში თავმოყრილია ქართველისთვის დამახასიათებელი საუკეთესო თვისებები — პატრიოტიზმი, თავგანწირვა, ვაჟკაცობა, სიყვარული და გმირობა. ამ თვისებების აფიშირება მოხდა ხავერდოვანი რევოლუციის დროს. ამიტომ შეიყვარა ის მთელმა საქართველომ, არ მეგულება საქართველოში მეორე პოლიტიკოსი, რომელიც ხალხს ასე ეყვარება".**

**„მიხეილ სააკაშვილი ვაჟკაცური ბუნების და მებრძოლი სულის მქონე ადამიანია. განათლებული, ერუდირებული, სწორუპოვარი პოლიტიკოსია".**

**„ენერგიულ, განათლებულ, თავგანწირულ მიხეილ სააკაშვილში ერმა ნამდვილი გმირი და წინამძღოლი დაინახა. წინამძღოლები კი იშვიათად იბადებიან".**

**„მიხეილ სააკაშვილი ჯერ საქართველოს, შემდეგ კი ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი გახდება... მასში შერწყმულია სტალინის, შევარდნაძის და გამსახურდიას ფენომენები..."**

ეს გამონათქვამები 2003 წლის მიწურულის ქართული გაზეთებიდანაა ამოღებული და ისინი საკმარისზე მეტად ცნობილ ადამიანებს ეკუთვნის. ანუ, ეს არის ხალხის ხმა. იმ ხალხისა, ვინც ეძებდა და იპოვა კიდეც გმირი, ვინც ხუთჯვრიანი დროშით გაიყოლებს ერს საოცნებო ბედნიერი მომავლისაკენ!

ეს ციტატები მხოლოდ გმირზე და ბელადზე სალაპარაკოდ არ მომიტანია. საქმე ის გახლავთ, რომ ზუსტად ეს სიტყვები, ზუსტად ამ პატივცემული მოქალაქეების პირიდან და ზუსტად ამ საინფორმაციო საშუალებებიდან უკვე ითქვა სხვა „სწორუპოვარი პოლიტიკოსის, ევროპული ენების უბადლო მცოდნის, თვით უფლის მიერ მირონცხებული გმირის (ბელადის)" მისამართით. მისი სახელი იყო ზვიად გამსახურდია. სწორედ ის გამსახურდია, ვის ტანჯულ სხეულსაც დევნილობაში, სამეგრელოს შორეულ სოფელში დაეწია მკვლელის ტყვია.

ცოტა უფრო შორსაც თუ გავიხედავთ, მშობელი ხალხისგან ასეთი და კიდევ უფრო გულისამაჩუყებელი ეპითეტები მიღებული აქვთ ვლადიმერ ლენინს, იოსებ სტალინს, ლავრენტი ბერიას, ადოლფ ჰიტლერს, ფიდელ კასტროს, სადამ ჰუსეინს, მუამარ კადაფს და მრავალ სხვას. ხოლო როგორ „ემსახურებოდნენ" და „ემსახურებიან" ეს ჯენტლმენები საკუთარ ხალხს, საყოველთაოდ ცნობილია.

**ასეა თუ ისე, „ხავერდოვანი რევოლუციის" შედეგად პრეზიდენტის, ხალხის მსახურის ნაცვლად ბელადი მივიღეთ.**

ახლა რომ წაიკითხეთ, ამგვარი აზრი სააკაშვილის გაპრეზიდენტების პირველ ხანებში მასმედიაში თითქმის არ გაჟღერებულა. სახელისუფლო და ოპოზიციური პრესა ორივე ერთნაირად არიდებდა თავს შექმნილი ვითარების საღ ანალიზს. ერთი იმის გამო, რომ ეს ხელს არ აძლევდა ხელისუფლებას, მეორეს ეშინოდა ან ფიქრობდა, რომ „ჯერ ამის დრო არ დამდგარიყო".

ისიც ვიკითხოთ, იყო თუ არა 2003 წლის მოვლენები რევოლუცია. ამის გასარკვევად, გთხოვთ, კიდევ ერთხელ დავუბრუნდეთ რევოლუციის კლასიკურ განმარტებას. წაიკითხეთ? — ესე იგი, ნახტომისებური გადასვლა და თვისობრივად ახალი საკანონმდებლო, მმართველობითი სისტემური ცვლილებები.

იხ. მე-4 გვ.

**⊙ კულტურის ძეგლი**

# „იმედის მწვანე კუნძული“

**გაზაფხულმა ბაღებსა და პარკებს სიცოცხლე და ხალისი კვლავაც დაუბრუნა.** [illegible]

[illegible]



ოდესღაც ქართველ მეფეთა ხეხილის ბაღები და ზვრები [illegible]

[illegible]

ხან-მელიქ მელიქოვმა მიყიდა, მაგრამ ბაღის ახალი მფლობელი მალე გაკოტრდა და 1853 წელს ბაღი საჯარო აუქციონზე გაიყიდა. ის ქალაქის ხაზინამ 29500 რუსულ რუბლად შეიძინა.

XIX საუკუნის 80-იან წლებში ბაღით ქალაქის მესვეურები დაინტერესდნენ, საბოლოოდ კი 1888 წელს, ქალაქის სათათბიროს გადაწყვეტილებით, მუშთაიდის ბაღი ქალაქის საკუთრებად გამოცხადდა, ქალაქი თავად გაიღებდა მისი მოვლის, რემონტისა და გადასახადების ხარჯებს. ასევე დაადგინეს, რომ ბაღის ტერიტორიაზე მხოლოდ დროებითი ნაგებობების ჩადგმა შეიძლებოდა, არსებული შენობებისთვის რაიმეს მიმატება კი არანაირი სამშენებლო სამუშაოების დროს არ უნდა მომხდარიყო.

1893 წელს შედგენილ ბაღის გეგმაში შეტანილი სიმბოლოების ჩამონათვალი ასეთია: ინგლისური ბაღები, ძველი ხეხილის ბაღები, თუთის ხეების პლანტაციები, გაზონები, ყვავილნარები, საცდელი ბაღები, ბილიკები და მოედნები, ცოცხალ მცენარეთა ღობეები, სათბურები, ძირითადი შენობები და დროებითი ნაგებობები.

ამ გეგმის მიხედვით ადვილად წარმოსადგენია ბაღის ფართობი და მშვენება. მუშთაიდი თბილისელებისთვის დასვენებისა და გართობის საუკეთესო ადგილი იყო. აქ სიცოცხლე ჩქეფდა, სახალხო სეირნობები, კარნავალები, კონცერტები იმართებოდა. ქალაქის ცენტრიდან მოშორებულ ამ წალკოტში მთავარმართებლის მიერ სპეციალურად დანიშნული დილიჟანსი დადიოდა. ქალბატონებისთვის ბაღში შესვლა უფასო ყოფილა.

არსებობს ვერსია, რომ სწორედ მუშთაიდის ბაღის ღია რესტორანში პირველად ნახა ნიკო ფიროსმანმა აქტრისა მარგარიტა. იმ დროის უძველესი ნაგებობიდან მხოლოდ ორი გადარჩა,

[illegible] ბაღში ისევ ტრი-



საბავშვო რკინიგზა (50-იანი წლები).

ალებს XX საუკუნის 30-იან წლებში დადგმული პირველი კარუსელი, ისევ დადის „კუკუშკა“ საბავშვო რკინიგზაზე, რომელიც საბჭოთა კავშირში პირველი საბავშვო რკინიგზა იყო. (გაიხსნა 1935 წ.).

როგორ გასხვისდა ბაღის ტერიტორიები, როგორ გაჩნდა ბაღში ახალი ნაგებობანი, ამ და სხვა საკითხებზე ბაღის დირექტორს ირაკლი ბითაძეს გავესაუბრეთ.

**— თქვენ 1994 წლიდან დაინიშნეთ ბაღის დირექტორად, მას შემდეგ ბაღის გარკვეული ტერიტორიები გასხვისდა?**

— ჩემი მოსვლის დღიდან არც ერთი მილიმეტრი არ გასხვისებულა. რა ტერიტორიაც დამხვდა შემოღობილი ამ წითელი ხაზების მიხედვით (ბაღის რუკაზე მითითებს), ის ხაზები შენარჩუნებულია.

**— მაშ ვის მიერ და რა დანიშნულებით აშენდა საბავშვო რკინიგზის წრეში სამსართულიანი კორპუსი? სამშენებლო სამუშაოები დღემდე არ დამთავრებულა, ყველა ოთახი კი უკვე დაკავებულია. აქ ცხოვრობენ არა მარტო იძულებით გადაადგილებული პირები, არამედ საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან თბილისს შეხიზნული ადამიანები. ისინი დაახლოებით ერთი წლის წინათ შესახლდნენ კორპუსში და არც იციან, რა დანიშნულებით აიგო იგი. შესახლების ნებართვა არავისგან აუღიათ და როგორც მათგან შევიტყვე, ჯერჯერობით გამოსახლებითაც არავინ აწუხებთ.**

— მუშთაიდი სამ ნაწილად არის დაყოფილი, ჩვენ, ანუ ბაღი, რომელიც მუ-

ნიციპალიტეტს [illegible]

სხვათა შორის, ეს მშენებლობა რკინიგზის დეპარტამენტის ძველი ხელმძღვანელობის გაკიცხვის ერთ-ერთ მიზეზად იქცა. როგორც ვიცი, ბავშვთა რკინიგზის სადგურები პრივატიზებულია თავის შენობიანად და ტერიტორიანად, რაც აბსოლუტურად დაუშვებელია. რა დანიშნულებით აშენდა კორპუსი, არ ვიცი.

**— რამდენად კანონიერია ეს მშენებლობა?**

— ის, რა თქმა უნდა, უკანონო მშენებლობათა რიცხვს მიეკუთვნება. წინა ხელისუფლების დროსაც იყვნენ ადამიანები, ვინც ამ მშენებლობას ებრძოდა, ასევე ვებრძოდით ჩვენ და მწვანეთა პარტიაც. იმის გარდა, რომ მშენებლობა უკანონოა, აქ უნიკალური ხის ჯიშები განადგურდა, რაც დააფიქსირა როგორც მწვანეთა პარტიამ, ასევე გარემოს დაცვის სამინისტრომ.

**— როგორ მოხდა ბაღის ტერიტორიაზე რესტორანი „თავადური?“.**

— გაუთვითცნობიერებელი ადამიანი, საბავშვო რკინიგზის სადგურზე იფიქრებს, რომ მიწა გასხვისებულია ბაღის ტერიტორიიდან. თუმცა ეს ასე არ არის, მიწა გასხვისებული არ ყოფილა, ვიმეორებ, ეს მიწა რკინიგზის დეპარტამენტს ეკუთვნის, ასევეა რესტორანი „თავადური“. საბავშვო რკინიგზის ტერიტორია შედგებოდა ოთხი სადგურისგან: ძირითადი სადგური, „პიონერული“, „მხიარული“ და „მზიური“. სწორედ ერთ-ერთი სადგურის საძირკველზე დააშენეს რესტორანი „თავადური“, ანუ ეს რესტორანიც რკინიგზის ტერიტორიაზეა, რაც დაფიქსირებულია რუკაზეც.

**— ბოლო წლებში აგებული მინისტადიონი ვის ეკუთვნის?**

— სტადიონი ეკუთვნის მერიას, ეს ტერიტორია არ გასხვისებულა. უბრალოდ, ამ ადგილზე არსებული ძველი სტადიონი განახლდა (1947 წლის მუშთაიდის რუკაზე მიმანიშნებს — **მ. ჩ.**). ძველი, ასფალტისსაფარიანი სტადიონის მაგივრად, სახელმწიფომ და არა კერძო პირმა, ააშენა, განაახლა სტადიონი, ეს არის ოფიციალური სკოლა, რომელიც მერიის სპორტის დეპარტამენტს ეკუთვნის. 1930 წელს რაც იყო, იმ ფართობით მოვდივართ დღემდე. ბაღი კულტურის ძეგლია და ამ ტერიტორიიდან მიწის არც ერთი სანტიმეტრი არ გასხვისებულა და განკერძოებულა. ეს არის ოფიციალური ინფორმაცია და მისი გადამოწმება შესაბამის ინსტანციებში შეგიძლიათ.

**— ბაღს დედაქალაქის ბიუჯეტი აფინანსებს?**

— ეს ჩვენთვის ყველაზე მტკივნეული თემაა. დირექტორის თანამდებობაზე ჩემი დანიშვნის დღიდან თითქმის არანაირი დაფინანსება არ მიგვიღია, წარმოიდგინეთ, თორმეტი წლის განმავლობაში, კულტურის ამ ძეგლზე მხოლოდ 50 000 ლარი დაიხარჯა. ეს ისეთი მცირე თანხაა, რომ არაფერს ნიშნავს. ეს თანხა ყოველწლიურად



ბავშვთა რკინიგზის პირველი ორთქლმავალი (1935 წელი).

რომ გამოეყოთ, ბაღს სერიოზულად მოვუვლიდით და იგი ალბათ წალკოტად იქცეოდა.

**— ქვეყნის სათავეში ახალი მთავრობის მოსვლის შემდეგაც არაფერი შეცვლილა?**

— წინსვლა ნამდვილად არის, ჩვენი პროექტის მიხედვით, რომელიც მივაწოდეთ მერიას, გამოიყო გარკვეული თანხა — 280000 ლარი. ეს თანხა ყველაფერს ვერ გაწვდება, მაგრამ დასაწყისისთვის საკმარისია. უპირველესად, ბაღს ესაჭიროება ღობე, რადგანაც ის ყოველთვის ჰქონდა და მისი უქონლობის გამო აბსოლუტურად დაუცველია, თუმცა თუ მესერი იქნება, ეს იმას როდი ნიშნავს, რომ შემოსვლა ფასიანი გახდება. ყველა ნორმალური პარკის მსგავსად, მუშთაიდიც ღამღამობით უნდა იკეტებოდეს. ბაღი მეფის რუსეთის და კომუნისტების დროსაც კი იკეტებოდა, რაზეც მეტყველებს ჩვენს მიერ მოპოვებული ფოტო და სხვა უნიკალური მასალები. სხვათა შორის, იმ დროს ბაღში შესვლა ფასიანი ყოფილა. 1997 წელს ერთ-ერთმა ბიზნესმენმა რკინა გვაჩუქა და მაშინდელ მერიას ვთხოვე, მცირე თანხა გამოეყოთ, რათა ღობე გაგვეკეთებინა, ამას ვერ მივაღწიე. დღევანდელ მერიას კი დიდ მადლობას ვუხდი, რომ განიხილეს ჩვენი პროექტი, რის შედეგადაც მუშთაიდის რეაბილიტაციაზე ტენდერი გამოცხადდა. უპირველეს ყოვლისა, გაკეთდება ღობე და კომუნიკაციები, ანუ ახალი სარწყავი არხები და საკანალიზაციო-სანიაღვრე სისტემები. ბაღში არ მუშაობს სანიაღვრე, რის შედეგადაც ნიადაგი ირეცხება, ამიტომ საჭიროა ქვიშით მოშანდაკება. ასევე გამოსაცვლელია ელექტროსისტემები. გამოცხადებულ ტენდერში შესაძლებელია გაიმარჯვოს კერძო პირმა, რაც, ვფიქრობ, კანონის დაუხვეწაობის ბრალია. გამოდის, რომ კერძო პირმა შეიძლება მოუგოს ტენდერი სახელმწიფო ორგანიზაციას, თუ ასე მოხდება, ჩვენ სერიოზულ მოძრაობას დავიწყებთ. ვინმეს თუ ჰგონია, რომ კულტურის ამ ძეგლის დაუფლებას ამ გზით შეძლებას, ძალიან ცდება, რადგანაც ამას არც საზოგადოება და არც ჩვენი მთავრობა დაუშვებს.

**— ჰყავს თუ არა ბაღს დაცვა?**

— დიახ, ჩვენ კერძო დაცვის ფირმასთან გავაფორმეთ ოფიციალური ხელშეკრულება, ასევე გვეხმარება პატრული. დღის განმავლობაში ბაღში შემოდის ავტოპატრული. ამას გარდა, ქვეითი პატრული უნდა დაინიშნოს, ისინი მთელი დღის განმავლობაში გააკონტროლებენ ბაღს.

**— ამ ზაფხულისთვის თუ იგეგმება ბაღში რაიმე სიახლე, ახალი ატრაქციონების დადგმა?**

— ჩვენ 1996 წლიდან გვაქვს ურთიერთობა ერთ-ერთ იტალიურ ფირმასთან. იყო უამრავი წინადადება, მაგრამ ახალი ატრაქციონების შემოტანა ძალიან ძვირი ჯდება, ამიტომ ჯერჯერობით ეს არ მოხერხდება. ის თანხა, რაც ბაღის რეაბილიტაციისთვის გამოიყო, ერთი კარუსელის შესაძენადაც არ არის საკმარისი.

**— რას ეტყვით ბაღის დამსვენებლებს?**

— ხუთი შვილის მამა ვარ და მრავალშვილიანი ოჯახების პრობლემა ჩემთვის ძალზე ახლობელია. ჩვენ გამოვაცხადეთ, რომ შესაბამისი საბუთის წარდგენის შემთხვევაში — მრავალშვილიანების, ლტოლვილებისა და ომში დაღუპულთა ოჯახის წევრებისთვის კარუსელები უფასოა. თუმც წლეულს მნიშვნელოვან სიახლეებს ვერ შეგპირდებით, მაგრამ ძალიან იმედიანად ვართ, გამოყოფილი თანხით აუცილებლად გაკეთდება ახალი სკამები, ურნები, ღია სცენა გარემონტდება, ღობეც გაკეთდება, მოევლება მწვანე საფარსაც, ასე რომ, მობრძანდით, დაისვენეთ მუშთაიდის ბაღში.

**მაკა ჩიხლაძე.**

P. S. **იმედი ვიქონიოთ, რომ მუშთაიდი კერძო საკუთრებაში არასოდეს გადავა და კვლავ იმ მშვენიერ წალკოტად იქცევა, რომელიც ასე იზიდავდა და იზიდავს ყველა თაობის თბილისელს.**

**⊙ ახალი პოლიტიკური ლექსიკონი**

# REVOLUTION

(მესამე გვერდიდან)

ჩვენს შემთხვევაში, სამწუხაროდ, საზოგადოების მართვის სისტემაში არავითარი სიახლე (მით უფრო — პროგრესული) არ მომხდარა. ის ფაქტი, რომ ძველი „პროშევარდნაძისტული“ კადრები სააკაშვილის ერთგული კადრებით შეიცვალა, ახალს და პროგრესულს არაფერს ნიშნავს.

აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ არავითარი რევოლუცია არ ყოფილა. უბრალოდ, გაცილებით უფრო ნიჭიერმა რეჟისორმა, 1991 წლის სცენარის მიხედვით, დადგა ახალი სპექტაკლი მთავარი როლების ახალი შემსრულებლებით. შევარდნაძისეული „მოქალაქეთა კავშირის“ ერთმა ფრთამ დაამხო მეორე. ანუ, ეს იყო სასახლის გადატრიალება ხალხის მასების მონაწილეობით და სეირის მაყურებელთა თანხლებით. ასე ჩანს გარედან.

ბუნებრივია, ჩნდება კითხვა, მაშ რატომ ირქმევენ რევოლუციონერების არცთუ სახარბიელო სახელს სააკაშვილი და მისი გუნდი?

ისევ ხალხი უნდა გავიხსენოთ. ნებსით თუ უნებლიედ, მიხეილ სააკაშვილი მოქმედებდა და მოქმედებს ხალხის სახელით. მან საზოგადოება უნდა დაარწმუნოს, რომ სწორედ ხალხის ნების აღმსრულებელია. ამის თქმის უფლება რომ მოეპოვებინა, რევოლუციურად განწყობილი, მეტიც, თავგანწირვისთვის მზად მყოფი ხალხის წინამძღოლი უნდა გამხდარიყო. ჯორჯ სოროსის (მილიარდერისა და მთელს მსოფლიოში სახელგანთქმული გადატრიალებების დიდოსტატის) ფულით, რიჩარდ მაილსის (საქართველოში აშშ საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის) გეგმით, ამერიკის კონგრესის მხარდაჭერით და სააკაშვილის გუნდის ხელით ეს განხორციელდა კიდეც. ამ სცენარში, როგორც ყოველთვის ისტორიაში, ხალხი იყო „მასოვკა“, საზარბაზნე ხორცი. იყო, რა თქმა უნდა, ვარდებიც. არ ყოფილა სროლა და მსხვერპლი — ბედნიერი შემთხვევის გამოც და უმთავრესად იმის გამო, რომ ასეთი რამ სცენარში გათვალისწინებული არ ყოფილა.

რევოლუცია ხელისუფლებაში მოსულ გუნდს იმადაც ხიბლავს, რომ ამ ტერმინით ბევრი რამის გამართლება შეიძლება — ტერორის, რეპრესიების, სოციალური სიდუხჭირის, უსამართლობის, უზნეობის, დიქტატურისაც კი — რევოლუციის მონაპოვარს ხომ დაცვა უნდა! ხალხისვე საკეთილდღეოდ, რასაკვირველია.

ამასთან დაკავშირებით, გთხოვთ, ყურადღება მიაქციოთ ერთ სიმპტომატურ და ძალიან საშიშ ტენდენციას — ხელისუფლების მისწრაფებას რეპრესიული აპარატის გაძლიერებით ხალხის, მოქალაქეების დაშინება-დაშანტაჟებისაკენ. თანაც, როგორც ნამდვილ რევოლუციურ ხელისუფლებას შეეფერება, ამას აკეთებს ღიად, დემონსტრატიულად და, რაც მთავარია, „ხალხის სახელით და ხალხისვე საკეთილდღეოდ“. ანუ, ზუსტად ისევე, როგორც ეს თავის დროზე უკვე გააკეთეს ლენინის, ჰიტლერის, სადამ ჰუსეინის, ფიდელ კასტროს, აიათოლა ჰომეინის, მუამარ კადაფის ხელისუფლებებმა.

ამავე დროს ხელისუფლება ჯიუტად ცდილობს მოქალაქეების ყურადღების გადატანას ეკონომიკურიდან პოლიტიკურ საკითხებზე — მთავარი ის კი არ არის, რომ თქვენ, ხალხი, მშივრები ხართ და კუჭის ამოვსებას ვერც უახლოეს მომავალში ვერ მოახერხებთ, მთავარია, რომ გვყავს კარგად შეიარაღებული არმია, კარგად ჩაცმული პატიოსანი (!) პატრული, საქართველოში ჩამოვიდნენ ჯორჯ ბუში და კონდოლიზა რაისი, ჩვენ პირველები ვართ მთელ პოსტკომუნისტურ სივრცეში და თვით უკრაინაც კი ცდილობს მოგვბაძოს, ჩვენი რევოლუციით აღფრთოვანებულია მთელი პროგრესული კაცობრიობა, ჩვენს პრეზიდენტზე კი ჭკუას კარგავენ მსოფლიოს პოლიტიკოსი და არაპოლიტიკოსი ქალები...

**რევოლუცია ძალიან, ძალიან საშიში მოვლენაა — თვით ხავერდოვანი, ვარდების რევოლუციაც კი, რადგან იგი დიქტატურის მშობელი დედაა.**

**თეიმურაზ ქორიძე.**

# 1 ივნისი ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეა

***ნატალი წერს... და, წერს ბევრს. წერს ბავშვური გულწრფელობით აღსავსე პატარა ჩანახატებს, ლაღ და ხალისიან კომპოზიციებს... უფროსებისგან გაგონილ ყოფით პრობლემებსა თუ ყოველდღიურ საუბრებს ნატალი აღიქვამს თავისებურად და ცდილობს, გადმოსცეს მხატვრულად.***

***ნატალი ანთიძე თბილისის 172-ე საშუალო სკოლის VI კლასის მოსწავლეა, თუმცა მისი შემოქმედებითი სინორჩე მოსწავლეთა 58-ე კონფერენციაზე მიღებული პირველი ხარისხის დიპლომით უკვე დაფასებულია. ის მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის შემოქმედ მოსწავლეთა სტუდიის გამორჩეული წევრია და მისი ზოგიერთი ლიტერატურული ქმნილება მკითხველისთვის უკვე ნაცნობია.***

***ასე რომ, ახლაც თვალი გადაავლეთ მის სხარტ ჩანახატებს „მეზობელ ეზოში“, „მტრედები“, „200 გრამი სისხლი“.***

## მეზობელ ეზოში

გზაზე გადავდიოდი, ტროტუარზე ფეხი შევდგი თუ არა, ჩემი მეზობელი დავინახე. მე მას ჩვენს გვერდით ეზოში ხშირად ვხედავდი, იჯდა მოწყენილი ინვალიდის ეტლში და ნაღვლიანად უყურებდა თანატოლებს.

გავუღიმე, საპასუხო ღიმილიც შემომაგება.

— სად იყავი? — ვკითხე მე.

— ახალ სკოლაში, კლასელები გავიცანი. ხატვის და სიმღერის გაკვეთილები ძალიან მომეწონა. ჰიმნიც ვიმღერე და დროშაც ავწიე. მერე რა, რომ ფეხზე ვერ ვდგები.

მე გვერდით მივყვებოდი მის ეტლს.

## 200 გრამი სისხლი

საავადმყოფოში იოდისა და სპირტის სუნი იდგა. ნაცრისფრად შეღებილი კედლები ავის მომასწავებლად იყურებოდნენ. ხალხი უხილავ ბურუსში გახვეულიყო.

მეორე სართულზე, ლაბორატორიასთან ხალხი რიგში იდგა.

კაცი ფიქრებში წავიდა.

მისი რიგიც დადგა.

— რამდენი გრამი სისხლი აგიღოთ ბატონო?!

— 200 გრამი — იყო პასუხი.

ექთანმა ხელი მოხერხებულად მოათავსებინა და ადგილ-ადგილ გადაბმული ლახტი* გადაუჭირა, ცისფერი ვენა ნელ-ნელა ამოიბურცა. ექთანმა სისხლით სავსე შპრიცი ვენიდან ამოიღო, ქილაში გადაასხა და მაცივარში შეინახა. სანამ სახლში მიხვალთ, შოკოლადი იყიდეთ, თქვენთვის სასარგებლოა.

— შოკოლადი?! — კაცს ჩაეღიმა.

სახლში მშიერი ცოლ-შვილი ელოდა.

დაჭმუჭნული 10-ლარიანი ჯიბეში ჩაიდო.

— შოკოლადი?!...

## გაზაფხულის მოწყენილი დღე

გაზაფხულის დილაა. ჩიტები აღარ ჭიკჭიკებენ. დამეწყრილი სახლები ცარიელია.

ძაღლები აღარ ყეფენ.

მურა პატრონს ეძებს, მისი სახლიც დამეწყრილია, ტალახში ფეხები ეფლობა.

გუშინ გაიგო, რომ მისი პატრონი ცოცხალია.



მოხუცები დანგრეულ სახლებს უყურებენ და თვალები ცრემლებით ევსებათ.

## მტრედები

ბრძელი წვერი, ვერცხლისფერი თმა.

რიყრაყზე გამოდის.

ხის ფიცრულიდან მტრედები გამოჰყავს, ეფერება უსინათლო, თან ლოცულობს, სამაჩაბლოსა და აფხაზეთის ომის მონაწილე. თუ ჰკითხავთ, მტრედები რატომ ჰყავს, გიპასუხებს:

— მშვიდობა მიყვარს.

* **ლახტი — ხელზე გადასაჭერი რეზინა, რომელსაც ვენაში, ნემსის გაკეთების დროს იყენებენ.**

# ყვავილები ვაჟას საფლავზე

**სიკეთის ქმნას ყავლი არასოდეს გაუდის. საერთაშორისო ასოციაციაც „ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ (თავმჯდომარე — მაია კვეზერელი-კოპაძე, თანათავმჯდომარე — ნელი გურგენიძე) შესაძლებლობის ფარგლებში ქველმოქმედებას ხელს არ აკლებს. გადაწყდა, რომ განსაკუთრებული ყურადღება მაღალმთიანი სოფლების ბავშვებისთვის და სოციალურად დაუცველი მოზარდებისთვის მიექციათ. შემდეგ ასოციაციის წევრები ჩარგალში ჩავიდნენ. ამ სოფლის საბაზო 9-წლიანი სკოლის (სოფელში სულ 32 კომლი ცხოვრობს, სკოლაში 20 მოსწავლეა) მოსწავლეებს და მასწავლებლებს ტანსაცმელი, წიგნები და ტკბილეული ჩაუტანეს. სტუმრები მასპინძლებს მაშინ შეპირდნენ დედაქალაქს გასტუმრებთ და თბილისს კარგად გაგაცნობთო.**

დაპირება შესრულდა. ასოციაციამ ჩარგლის სკოლის მოსწავლეების დედაქალაქში ჩამოსვლა **ბავშვთა დაცვის დღეს** მიუძღვნა. ავტობუსი სოფელში გააგზავნა და მათი ჩამოყვანა-გამგზავრებაც თვითონვე უზრუნველყო.



ჩარგლელი ბავშვები პირველად იყვნენ თბილისში. 20 მოსწავლეს 3 მასწავლებელი ჩამოჰყვა: სკოლის ახალგაზრდა დირექტორი მელანო მჭედლური და პედაგოგები მართა ნაუბარაშვილი და თამარ ზურაბაშვილი. ღონისძიების პროგრამა ძალზე საინტერესოდ იყო შედგენილი, ეს იყო შეხვედრები ბავშვთა სახლებსა და თავშესაფრებში, სარეაბილიტაციო ცენტრებში...

ფშავიდან ჩამოყვანილი მოსწავლეები და მათი პედაგოგები მასპინძლებმა შემდეგ სამების ტაძარს ასტუმრეს, აქ მიიღეს ლოცვა-კურთხევა; დედაქალაქს მეტეხის პლატოდანაც გადაახედეს. ავიდნენ მთაწმინდაზე და ვაჟას ეზოში მოკრეფილი მინდვრის ყვავილები მის საფლავზე მიიტანეს. შემდეგ თბილისის „წიგნის VII საერთაშორისო ფესტივალის“ მონაწილეებიც გახდნენ, რომელიც საქართველოს სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის VI პავილიონში გაიმართა. მათ აქ



წიგნის დღესასწაულის მთავარი ორგანიზატორი, საგამომცემლო ცენტრის „საარის“ დირექტორი ლევან თითმერია მასპინძლობდა. ჩარგლიდან ჩამოსული ბავშვები დასაჩუქრდნენ „დილასა“ და „ნაკადულის“ გამოცემული წიგნებით, ალბომებით, ჟურნალებით.

ჩარგლელები შეხვდნენ ჟურნალ „კოტორას“, „არტანუჯის“, „ინტელექტის“, „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობების“ ხელმძღვანელებს, დაესწრნენ თოჯინების თეატრის წარმოდგენას, ჩარგლის სკოლის ოცივე მოსწავლისათვის დაუვიწყარი იქნება თბილისში საინტერესოდ გატარებული ერთი დღე.

ასოციაციამ ოცივე მოსწავლისა და ამ სკოლის ყველა მასწავლებლისთვის სკოლის დირექტორს მელანო მჭედლურს ახალთახალი ტანსაცმელი და მხატვარ გია სირბილაძის ფერწერული ტილო „ჩვენი სამყარო“ გადასცა.

**ნათელა ფაილოძე.**

# დიდი წყლული — მიუსაფარი ბავშვები

**საერთაშორისო ასოციაცია „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ თავისი მოღვაწეობის დასაწყისიდანვე განსაკუთრებულ გულისხმიერებას იჩენს ობოლი, მშობელთა მზრუნველობას მოკლებული და ქუჩაში დარჩენილი ბავშვებისადმი. მათი მდგომარეობის შემსუბუქებისა და გაუმჯობესებისთვის სხვადასხვა სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციასთან ერთად ბავშვთა სახლებსა და სარეაბილიტაციო ცენტრებში არაერთი აქცია მოუწყვიათ და მრავალი მნიშვნელოვანი პროექტი განუხორციელებიათ, მაგრამ ეს ძალზე მცირეა შექმნილი მძიმე სიტუაციის განმუხტვისა და იმ მწვავე პრობლემის მოსაგვარებლად, რასაც არასრულწლოვანთა მაწანწალობა, მეძავობა, ქურდობა და ტოქსიკომანია ჰქვია.**

ახლახან ასოციაციამ გაზეთ „მშვიდობა ყოველთასთან“ ერთად მოაწყო მრგვალი მაგიდა, რომლის მუშაობაში მონაწილეობდნენ განათლების და მეცნიერების სამინისტროს, თბილისის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის საქალაქო სამსახურის, სრულიად საქართველოს საპატრიარქოს, ბავშვთა სახლების, სარეაბილიტაციო ცენტრებისა და თავშესაფრების, შს რაიონული ინსპექციების, ქალაქ თბილისის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა წარმომადგენლები, ფსიქიატრები, ფსიქოლოგები, სოციოლოგები, პედაგოგები.

შეშფოთებით აღინიშნა, რომ თუ დროულად არ გადაწყდა დაუცველ ბავშვთა პრობლემები, დამნაშავისგან, რომელიც დღეს ქუჩაში ყალიბდება, ხვალ თავს ვეღარ დავიცავთ. საზოგადოებამ უნდა გააცნობიეროს, რომ ოჯახურ და სკოლის გარემოს მოკლებული, სწავლა-განათლებას ჩამოცილებული, ყოველგვარი ზრუნვის გარეშე დარჩენილი მოზარდები საშიში ფენაა ქვეყნის მომავლისთვის. გაუგებარი და დაუშვებელია ისიც, რომ არ არსებობს ზუსტი სტატისტიკა ამ ბავშვების რაოდენობის, ასაკის, სქესის, ჯანმრთელობის თუ სხვა მონაცემების შესახებ მთელი ქვეყნისა და ცალკეული რეგიონების მიხედვით.

სათანადო კოორდინაციის გარეშე, ასე დაქსაქსულად და თითქმის ქაოტურად, ამ მძიმე, მრავალწახნაგოვანი პრობლემის მოგვარება კი შეუძლებელია. ვერც ცალკეული ორგანიზაციების მოწყობილი ღონისძიებები გამოირჩევა განსაკუთრებული პერსპექტიულობით. შეხვედრის მონაწილეები გულისტკივილს გამოთქვამდნენ იმის გამო, რომ ზოგიერთი მეძავი და ლოთი მშობელი თავად უბიძგებს ბავშვს ქუჩისკენ და მცირეწლოვანი შვილის კმაყოფაზე ცხოვრობს, ამისათვის კი მათ პასუხი არ მოეთხოვებათ.

ქვეყნის საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების მიერ განხორციელებული ღონისძიებები ოჯახისა და საზოგადოების პასუხისმგებლობის ამაღლებისთვის, არასაკმარისი აღმოჩნდა. ვერ გამოიძებნა სახსრები და საშუალებები ბავშვთა სახლებსა და სარეაბილიტაციო ცენტრებში სრულწლოვანებას მიღწეული მოზარდების დასაქმებისა და საცხოვრებლით უზრუნველყოფისთვის. საზოგადოების თითოოროოლა ცნობილი წარმომადგენლის, ან ბიზნესმენის მიერ ერთჯერადი საქველმოქმედო აქციის ჩატარება ამინდს ვერ ქმნის, პრობლემა პრობლემად რჩება.

მრგვალი მაგიდის ზოგიერთი მონაწილის დამამშვიდებელი პოზიცია, რომ მალე გაიხსნება 70 ბავშვზე გათვლილი კეთილმოწყობილი სარეაბილიტაციო ცენტრი, რომელიც სრულყოფილად მოაგვარებს მაწანწალა ბავშვების პრობლემებს, დამსწრეთ არ გაიზიარეს, რადგან ეს საქმის მხოლოდ მცირედი პროცენტია. ამიტომაც მოგვმართა მრგვალი მაგიდის მონაწილეთა სახელით — საერთაშორისო ასოციაციამ „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“, რათა ჩვენი გაზეთის მეშვეობით ეთქვათ საქართველოს პრეზიდენტის, პარლამენტის თავმჯდომარის, პრემიერ-მინისტრის, შესაბამისი სამინისტროების, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის, რომ მათ გადაუდებლად ყურადღების ცენტრში უნდა დააყენონ ქუჩაში გამოსული, ხელგაწვდილი, მაწანწალა ბავშვების პრობლემა და შექმნან სპეციალური სახელმწიფო პროგრამა — „გადავარჩინოთ ქუჩაში ხელგაწვდილი ბავშვები“... პროგრამაში კი გათვალისწინებული უნდა იყოს მდგომარეობის გამოსწორების ცალკეული ეტაპები, განისაზღვროს კონკრეტულ უწყებათა და პირთა მოვალეობანი, მთელი საზოგადოების მონაწილეობა და პასუხისმგებლობა ამ მტკივნეული საკითხის გადასაჭრელად.

მრგვალი მაგიდის მონაწილენი ამ დასკვნამდე ერთსულოვნად მივიდნენ.

**ლელა ჟოლიკაშვილი.**

საიუბილეო საღამოების ექო

# გია ყანჩელის ხელახალი აღმოჩენა

**დიახ, ხელახალი, რადგანაც გია ყანჩელის „პირველი აღმოჩენა“ უკვე საკმაოდ შორეულ, 70-იან წლებში მოხდა, როდესაც იგი ზედიზედ ქმნიდა საკვირველ სიმფონიებს, რომლებმაც ახალი ფურცელი გადაშალეს არა მარტო ქართულ, არამედ მსოფლიო სიმფონიურ მუსიკაში.**



„ხელახალი აღმოჩენის“ შესახებ მოგვიანებით ვისაუბროთ, ამჯერად კი იმაზე, თუ რა განსაზღვრავს გ. ყანჩელის ადგილს ამ წარმოსახვით ვირტუალურ მუსიკალურ ოლიმპზე.

რა თქმა უნდა, ეს, უწინარესად, გახლავთ ღრმად თვითმყოფი სიმფონიური დრამატურგია, რომელიც დამყარებულია ორი პოლარული მხატვრულ-ემოციური სფეროს – თვითჩაღრმავებულ-ჭვრეტითი და ფეთქებად-ტრაგედიული დაპირისპირებაზე, როდესაც მსმენელი მონუსხულივით ადევნებს თვალს ამ წინ გადაშლილ ბგერით პანორამას. ასეთივე, ძირითადად, მისი განუმეორებელი სიმფონიები, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ეს პრინციპი მოქმედებს ყანჩელის სხვა ინსტრუმენტულ ქმნილებებში და თვით მის ოპერაში – „და არს მუსიკა“.

ძალზე ორიგინალური შემოქმედი, იგი დაუღალავად ხვეწს მუსიკალურ ფორმას, კომპოზიციას, ლამის ყოველ ტაქტს და თვით ბგერასაც კი. მისთვის უაღრესად დიდია ნებისმიერი ბგერითი ერთეულის ხვედრითი წონა და ამავე დროს, მნიშვნელოვანია გამომსახველი პაუზების, სიჩუმის მომენტების ფუნქციაც. სიმფონიების რაფინირებული ინტელექტუალური და გრძნობიერი სამყარო პარადოქსულადაა შეთავსებული მისი თეატრალური მუსიკის მჩქეფარე, „პლაკატურ“ ელვარებასთან, ემოციურად საოცრად ზუსტ კინომუსიკასთან, რომელიც ასე შეიყვარა ხალხმა.

ეჭვს არ იწვევს კომპოზიტორის მუსიკალური სტილის, მისი ინტონაციური და ჰარმონიული ენის ეროვნული ფესვები. მელოდიური საწყისი თითქოს გადაჭედილია [illegible] კომპლექსში, მაგრამ ადამიანური სმენა, რომელიც სუბიექტურად ისწრაფვის მელოდიური ინტონირებისადმი, აღიქვამს და „შიფრავს“ მუსიკის დაფარულ მელოდიურ სუბსტანციას, რაც აძლიერებს მის ემოციურ ზემოქმედებას მსმენელზე.

გ. ყანჩელის შემოქმედებითი გზა ჩვენს თვალწინ იშლება. პირველი ნაბიჯებიდანვე მან მიიქცია ყურადღება წმინდა საორკესტრო აზროვნებით, გემოვნებით, ფაქიზი შეგრძნებით, ფორმის ქმნადობის ოსტატობით. სწორედ ამ თვისებებმა, რომლებიც ნათლად გამოვლინდნენ 70-80-იანი წლების ნაწარმოებებში, განაპირობეს კომპოზიტორის ფართო აღიარება. უცხოეთში გამგზავრებამ და დამკვიდრებამ (ამჟამად ბელგიაში, ქ. ანტვერპენში) კომპოზიტორმა შექმნა მთელი რიგი ნაწარმოებები, რომლებიდანაც აქამდე საქართველოში მხოლოდ ორი საორკესტრო ნაწარმოები შესრულდა: Lament და Styx – ყანჩელის ყველაზე გრანდიოზული, [illegible] ორი ნაწარმოები.

„საზღვარგარეთული“ პერიოდის სხვა ნაწარმოებების შესახებ მხოლოდ ვგებულობდით [illegible] და ამ საავტორო კონცერტებში მოგვეცა, მოგვეცა, მოგვესმინა ისინი.

ამ საავტორო კონცერტში შესრულდა [illegible], რა თბილისური პრემიერა! ესენია „ღამის ლოცვანი“ საქსოფონისა და სიმებიანთა ჯგუფისთვის მაგნიტური ფირის თანხლებით, „Nachdem Ueinen“ („ცრემლების შემდეგ“) სოლო ჩელოსათვის, „სიო“ სიმებიანთა, ფორტეპიანოსა და დასარტყამ საკრავთათვის, „Magnum Jgnotum“ („დიადი უცნობი“ ე. ი. უცნობელებისათვის უცნობი ქართული ხალხური მუსიკა) 9 ჩასაბერი საკრავისა და კონტრაბასისათვის მაგნიტური ფირის თანხლებით, „ქარის მერე“ სოპრანოსა და ჩელოსათვის, „Abii ne viderem“ („წავედი, რათა არ მენახა“) ალტ-ფლეიტის, სიმებიანების, ფორტეპიანოსა და ბას-გიტარისთვის, „დაშლილი“ სოპრანოს, ჩელოს, ფორტეპიანოს, გიტარის, ბას-გიტარის, დასარტყამ და სიმებიან საკრავთათვის, „ვალსბოსტონი“ ფორტეპიანოსა და სიმებიანთათვის.

ამ ნაწარმოებთა ბრწყინვალე შემსრულებლები წარმოგვიდგინენ კონცერტებისთვის სპეციალურად შედგენილმა ორკესტრმა, მისი ხელმძღვანელი – დიდებული მუსიკოსი, ქართული მუსიკის მეგობარი ლევ მარკიზი (ნიდერლანდები), შესანიშნავი შემსრულებლები: ვიოლონჩელისტი დიმიტრი ფერშტმანი (ნიდერლანდები), რომელიც [illegible] (ნიდერლანდები) და სხვები.

რა შეიძლება ითქვას ამ კონცერტების შესახებ, რომლებიც აღვიქვით, როგორც „გია ყანჩელის ხელახალი აღმოჩენა“? იგიც, ცხადია, ფრიად შთამბეჭდავი, მხატვრულად საინტერესო იყო. კვლავ, როგორც ადრე, აღტაცებას იწვევს კომპოზიტორის ოსტატობა ფორმის თვალსაზრისით, საორკესტრო – ტემბრული ვარიირების ოსტატობა, მუსიკის მძლავრი ემოციური მუხტი.

უნდა ითქვას, ყველა შესრულებული ნაწარმოები ავტორმა [illegible] „მონოლოგი“ [illegible] დრამატურგიული მთლიანობა.

შესრულებულ ნაწარმოებთა შორის, უწინარესად გამოვყოფ „Abii ne viderem“-ს, რომელსაც [illegible] „Magnum Jgnotum“, რომელიც საავტორო პიესა [illegible] ჩართულია მაგნიტოფონური ჩანაწერი [illegible] „წმინდაო ღმერთო“.

მოგვეწონა აგრეთვე პიესა სოლო ჩელოსათვის „ცრემლების შემდეგ“ და სხვა ნაწარმოებები.

საერთოდ ყველაზე დასკვნით კონცერტზე, როდესაც შესრულდა „ვალს-ბოსტონი“ და „დაშლილი“, იმას, ვინც ელოდა [illegible] კომპოზიტორის კონცერტის მომხიბვლელი ატმოსფერო [illegible] შესრულება [illegible] შესანიშნავი ზეგავლენა ჰქონდა მსმენელებზე.

მადლობა გია ყანჩელს, მადლობა ლევ მარკიზს, ამ დაუვიწყარი კონცერტების ყველა მონაწილეს.

**გულბათ ტორაძე.**

## ხოდორკოვსკის და ლებედევს განაჩენი გამოუტანეს

**სამშაბათს მოსკოვის მეშჩანსკის სასამართლომ გამოაცხადა მიხეილ ხოდორკოვსკის და პლატონ ლებედევის საქმის განაჩენი. ისინი ბრალეულებად ცნეს და თითოეულს მიუსაჯეს 9 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა.**



კიდევ ერთ განსასჯელს, ხოდორკოვსკის კონტროლს დაქვემდებარებული ფირმა „ვოლნას“ ყოფილ ხელმძღვანელს ანდრეი კრაინოვს მიუსაჯეს ხუთი წლის ვადის პირობითი პატიმრობა.

სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ ხოდორკოვსკიმ და ლებედევმა უნდა გადაიხადონ 17 მილიარდ რუბლზე მეტი (600 მილიონი დოლარი), „მენატეპის“ ბანკის კონტროლქვეშ მყოფი ორი კომპანიის [illegible] ანგარიშში.

საბოლოო სიტყვაში ხოდორკოვსკიმ განაჩენს უწოდა „ბასმანის მართლმსაჯულების ძეგლი“.

„ეს არის ერთმნიშვნელოვნად პოლიტიკური საქმე, კანონმდებლობის შერჩევითი გამოყენების კლასიკური მაგალითი“, – განაცხადა [illegible].

„ასეთი მკაცრი განაჩენი [illegible] 1990-იან წლებში, [illegible]“, – თქვა პოლიტოლოგმა [illegible].

განაჩენის წაკითხვა თითქმის ორკვირიანი პერიოდის განმავლობაში მოსამართლეებმა წაიკითხეს ტექსტის 1000 ფურცელზე მეტი.

## ტაილანდში დასრულდა „მის მსოფლიო-2005“ კონკურსი

**ეს საპატიო ტიტული მოიპოვა კანადის წარმომადგენელმა ნატალია გლებოვამ. იგი დაიბადა რუსეთის ქალაქ ტუაპსეში, შემდეგ კი მშობლებთან ერთად საცხოვრებლად გადავიდა კანადაში. გოგონა 18 წლისაა. მისი სიმაღლეა 173 სმ., იწონის 54 კილოგრამს და აქვს იდეალური პარამეტრები – 89-60-89.**



მომდევნო ადგილები დაიკავეს პუერტორიკოელმა სინტია ოლავარიამ, დომინიკელთა რესპუბლიკის წარმომადგენელმა რენატა სონმა. მეოთხე იყო მექსიკელი ლაურა ელიზონდო, საპატიო ხუთეულში შევიდა ასევე ვენესუელელი მონიკა სპირიც.

გამარჯვებულმა მოიპოვა 250 ათას დოლარად ღირებული გვირგვინი. იგი გაამზადა იაპონიის „მიკიმოტოს“ საოქრომჭედლო ფირმამ, რომელიც ცნობილია თავისი მარგალიტის სამკაულებით. გვირგვინი დამზადებულია თეთრი ოქროსგან და იგი ფორმით მოგვაგონებს ფენიქსის ფრთას, რომელიც ქალის მარადიული სილამაზის და ძალის სიმბოლოა. გვირგვინი შემკულია 800 ბრილიანტით და 120 მარგალიტით.

სულ საპატიო წოდებისთვის იბრძოდა 81 ქალიშვილი.

## ნამყო

## ვიქტორ პეტელინი

# მიხეილ შოლოხოვის შეხვედრები იოსებ სტალინთან




ადგილობრივმა ამხანაგებმა, ამბობდა სტალინი, ვერ გარდაქმნეს კულაკობასთან ბრძოლის ფრონტი, ვერ გაუგიათ, რომ „ბოლო დროს შეიცვალა კლასობრივი მტრის იერსახე, „შეიცვალა კლასობრივი მტრის ტაქტიკა სოფლად“...

ახლა სტალინის ამ გამოსვლების შემდეგ ვითარება მკვეთრად გამწვავდა – ყველგან სამხარეო და ადგილობრივმა პარტიულმა მუშაკებმა დაინახეს „კლასობრივი მტრის ახალი სახე“ და დაჩქარებული ტემპით, როგორც ეს მიღებული იყო მთელი რევოლუციისშემდგომი პერიოდის მანძილზე, იწყეს კლასობრივი მტრების მხილება, რა ტანსაცმელშიც გნებავთ ისინი შემოსილიყვნენ.

წერილი მზადდებოდა საგულდაგულოდ, მთელი მსოფლიოსათვის, იმიტომ რომ იგი ასეთი სიმართლითა და ობიექტურად წარმოაჩენდა უახლოესი წარსულის უღიმღამო სურათს.

შოლოხოვი სტალინს სწერდა:

„სტანიცა ვეშენსკაია, 1933 წლის 4 აგვისტო.

ამხ. სტალინ!

ვეშენსკის რაიონმა, ჩრდილოეთ კავკასიის მხარის ბევრ სხვა რაიონთან ერთად, ვერ შეასრულა პურეულის დამზადების გეგმა... ამ რაიონში, ისევე, როგორც სხვა რაიონებში, ახლა შიმშილით იხოცებიან კოლმეურნეები: მოზრდილები და ბავშვები სივდებიან და იკვებებიან იმით, რასაც ადამიანი არ უნდა ჭამდეს – დაწყებული მძორით და დამთავრებული მუხის ქერქით, და ათასგვარი ჭაობის ძირ-ძურებით. ერთი სიტყვით, რაიონი თითქოს არაფრით გამოირჩევა ჩვენი მხარის დანარჩენი რაიონებისაგან. მაგრამ მიზეზები, რომელთა გამო მშრომელი მოსახლეობის 99 პროცენტი ასეთ საშინელ უბედურებაში ჩავარდა, რამდენადმე სხვა არის, ვიდრე ვთქვათ, ყუბანში.

წარსულ წლებში ვეშენსკის რაიონი მოწინავეთა შორის იყო მხარეში. 1930-31 წლების მანძილზე, უძნელეს პირობებში, წარმატებით ართმევდა თავს როგორც თესვას, ასევე პურის დამზადებას.

ვეშენსკის რაიონმა ვერ შეასრულა პურის დამზადების გეგმა და ვერ შეინახა ხორბალი ბეღლებში არა იმიტომ, რომ ვერ დაძლია კულაკთა საბოტაჟი და პარტორგანიზაციამ ვერ შეძლო მათ წინააღმდეგ ბრძოლის ბოლომდე მიყვანა, არამედ იმიტომ, რომ ცუდად საქმიანობს სამხარეო ხელმძღვანელობა. ამის დამტკიცებას ვეშენსკის რაიონის მაგალითით შევეცდები:

1931 წელს ვეშენსკის რაიონის კოლმეურნეობებმა მთლიანად შეასრულეს პურის დამზადების გეგმა – 21 ათასი ტონა. 1932 წლის გაზაფხულზე თესვას შეუდგნენ.შესრულდებოდა ხორბლის დამზადების გეგმა და მომარაგებული იქნებოდა თესლი. კოლმეურნეს ასეთ ორიენტაციას აძლევდნენ: „შარშან თქვენმა კოლმეურნეობამ დამამზადებელ პუნქტს ჩააბარა ათასი ტონა, ხოლო წლეულს, გეგმის შემცირებისას, ნაკლებს ჩააბარებს. დანარჩენი თქვენია! გაანაწილეთ შრომადღეებზე და განკარგეთ როგორც გნებავთ“.

თესვის გეგმა 26 მაისისათვის შესრულდა მთლიანად რაიონის მიხედვით. მაგრამ უნდა ითქვას, რომ მარცვალი დაითესა ნავარაუდევზე მნიშვნელოვნად ნაკლები, რადგან მარცვალს კოლმეურნეები იპარავდნენ თესვის დროს უშუალოდ სათესელებიდან.

ივნისის ბოლოს რაიკომის მდივანმა ლუგოვოიმ ორთვიანი შვებულება მიიღო ავადმყოფობის გამო. ამას დაემთხვა რაიაღმასკომის ძველი თავმჯდომარის წასვლა. რაიკომის ორგანიზაციულ-პარტიული განყოფილების გამგე ლიმარიოვი და რაიაღმასკომის ახალი თავმჯდომარე კარბოვსკი შეუდგნენ პურფურაჟის ბალანსის შედგენას, ამასთან, იყენებდნენ მოსავლიანობის განმსაზღვრელი რაიონული კომისიის მონაცემებს.

მოსავლიანობის განმსაზღვრელი რაიონული კომისია მეტწილად შედგებოდა რაიონში ახალი ადამიანებისგან, რომლებიც აბსოლუტურად არ იცნობდნენ არც რაიონის პირობებს, არც იმას, თუ როგორ ტარდება საგაზაფხულო თესვა.

კომისიის მონაცემებზე დაყრდნობით, რაიონული ხელმძღვანელობა, რომელმაც პურფურაჟის ბალანსი გააკეთა, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მთლიანი პროდუქცია რაიონის მიხედვით შეადგენს 82 ათას ტონას. ასეთი ვარაუდის უაზრობა თვალსაჩინოა უკვე შემდეგი ციფრების შეპირისპირებით: ცნობილია, რომ 1932 წლის მოსავალი 1931 წლის მოსავალზე კარგი არ ყოფილა, მაშასადამე, თუ საწყისად ავიღებთ ამ წლების თანაბარ მოსავლიანობას, მაშინ მთლიანი პროდუქციის მატება 1932 წელს უნდა ვიანგარიშოთ მხოლოდ სათესი ფართობის მატების ხარჯზე. რაიონის მიხედვით მთლიანი პროდუქცია 1931 წელს შეადგინა 43 165 ტონა, 1932 წელს დათესეს 1931 წელთან შედარებით 26 656 ჰექტარით მეტი, ახლა, თუ 26 656-ს 5 ცენტნერზე გადავამრავლებთ, მივიღებთ, რასაკვირველია, უხეშ, მაგრამ მაინც სინამდვილესთან ახლო მდგომ მთლიანი პროდუქციის მატების ნამდვილ გაანგარიშებას 1932 წლისათვის. საერთო ჯამში მთლიანი პროდუქცია 1932 წელს ოდნავ თუ აღემატებოდა 56 000-75 000 ტონას. იგი ხომ 82 ათას ტონად განსაზღვრეს. ანგარიშში შეცდნენ... მილიონნახევარი ფუთით. არათუ მხოლოდ ანგარიშში შეცდნენ, არამედ ფაცი-ფუცი შეთითხნეს „მოსავლიანობის განსაზღვრება“ დამატებით კიდევ პურფურაჟის ბალანსი რაიონის ხელმძღვანელებმა შემდეგნაირად შეადგინეს: პურის დამამზადებელ პუნქტებში – 22 ათასი ტონა, შრომადღეებზე გასაცემად – 18 696, პირუტყვის გამოსაკვებად – 17 ათასი ტონა, დანარჩენი სათესად და სხვადასხვა ფონდისთვის.

8 ივლისს რაიკომის საორგანიზაციო განყოფილების გამგე ლიმარიოვი და რაიაღმასკომის თავმჯდომარე კარბოვსკი სამხარეო კომიტეტში გამოიძახეს პურფურაჟის ბალანსის განსახილველად. ბალანსი განიხილეს ამხ. შებოლდაევის თანდასწრებით (ბ.პ. შებოლდაევი (1895-1937) – 1931-1934 წლებში საკ. კპ (ბ) ჩრდილოეთ კავკასიის სამხარეო კომიტეტის მდივანი (ვ.პ.), რომელმაც ვეშენსკის რაიონულ ხელმძღვანელობას ბრალად დასდო მოსავლიანობის ბოროტად შემცირება, ხოლო ბალანსს „კულაკური“ უწოდა. და აქვე წამოაყენა წინადადება: სამუშაოდან მოიხსნას ლიმარიოვი და გააგზავნოს ვეშენსკის რაიონში ავტორიტეტული კომისია, რომლის მოვალეობაში შედიოდა: დაედგინა დამატებითი მოსავლიანობა და თუ დადგინდებოდა მოსავლიანობის შემცირების ფაქტი – მოეხსნათ და გაესამართლებინათ რაიონული ხელმძღვანელობა.

ამხ. შებოლდაევმა ლიმარიოვს რაიონში ჩასვლა აუკრძალა – იგი თავისებურ „მძევლად“ დაიტოვა, ამ დროს კი ვეშენსკაიაში გაემგზავრა „ნამდვილი“ მოსავლიანობის დამდგენი სამხარეო კომისია. ამ კომისიაში შევიდა ორი: სამხარეო კომიტეტის მარცვლის სექტორის გამგე ამხ. ფეოდოროვი და „სელმაშის“ პარტკომის მდივანი ამხ. ოვჩენიკოვი (გ.თ. ოვჩენიკოვი (1893-1937) – ქარხანა „სელმაშის“ პარტკომის მდივანი, შემდეგ საკ. კ.პ. (ბ) როსტოვის საქალაქო კომიტეტის მდივანი – ვ.პ.).

თუ რის საფუძველზე დაადანაშაულა ამხ. შებოლდაევმა ვეშენსკაიას რაიკომი მოსავლიანობის შემცირებაში, არ ვიცი. მაგრამ ვფიქრობ, რომ ამხ. შებოლდაევს ამ მხრივ არანაირი სარწმუნო მონაცემები არ გააჩნდა, და რომ ამ საქმეში გადამწყვეტი როლი შეასრულა ამხ. პივოვაროვმა (ი.ნ. პივოვაროვი – სამხრეთ კავკასიის სამხარეო აღმასკომის თავმჯდომარე), რომელმაც ივნისის ბოლოს შემოიარა ვეშენსკის რაიონი, და ვეშენსკაიადან უკან რომ ბრუნდებოდა, ერთ-ერთი კოლმეურნეობის ყანებში ნახა სააღრეო მელიონოპუსი (თავთუხი, მაგარი ხორბალი). იგი მართლაც რომ მშვენიერი იყო 50 ფუთი ჰექტარზე. ამის შემხედვარე ამხ. პივოვაროვმა განაცხადა, ვეშენსკაიას რაიონში ხორბალი მოგვცემს არანაკლებ 10 ცენტნერს ჰექტარზე. სირცხვილი ვეშენსკელებს, ცუდ მოსავალზე რომ ცრემლებს ღვრიანო.

ამხ. პივოვაროვის ამ შემთხვევითმა თუ სინამდვილის შესაბამისმა განცხადებამ უდავოდ ამხ. შებოლაევს ტვინში ჩაუჭედა: ვეშენსკელები რაღაცას ეშმაკობენო.

გადავდივარ მოვლენათა თანდათანობით აღწერაზე. მაშ, ასე: 14 ივლისს ოვჩენიკოვი და ფეოდოროვი ვეშენსკაიაში ჩამოვიდნენ და ვეშენკოს რაიაღმასკომის მიწგანის გამგის კორეშკოვის თანხლებით გაემართნენ დონის მაცხენა მხარისაკენ, სადაც ყველაზე ცუდი მოსავლიანობა იყო, რათა თვალით განესაზღვრათ: „რამდენს მოგვცემს ჰექტარი?“

ვეშენსკაიას თითქმის 10 კილომეტრით გასცილდნენ. სტუმრები ნათეს ნაკვეთებისკენ იშვერენ ხელს და კორეშკოვს ეკითხებიან:

– შენი აზრით, რამდენს მოგვცემს ჰექტარზე ეს ხორბალი?

კორეშკოვი:

– არა უმეტეს სამი ცენტნერისა.

ფეოდოროვი:

– ჩემი აზრით, არანაკლებ ათ ცენტნერს!

კორეშკოვი:

– საიდან აქ ათი ცენტნერი?! ნახე: პური საგვიანოა, სავსეა ღიჭათი, თავთავიც მეჩხერია. ასეთი მოსავალი ამ მიწებზე მხოლოდ 1909 წელს მოუწევიათ. ეს ყუბანი ხომ არ გგონია?

5 კილომეტრი გაიარეს, კვლავაც განსაზღვრის ცდაში იყვნენ. ისევ სხვადასხვაგვარად აფასებდნენ... ასე რამდენჯერმე განმეორდა. გრეჩოვის კოლმეურნეობას მიუახლოვდნენ. აქ კი კორეშკოვსა და ფეოდოროვს შორის შეხლა-შემოხლა გაიმართა.

– რამდენს მოგვცემს ეს ჰექტარი? – ეკითხება ფეოდოროვი.

– ხუთ ცენტნერს, – პასუხობს კორეშკოვი.

– არა ხუთს, არამედ ცხრას ან ათს!

– თავთავიდან თავთავამდე აღარ ისმის ლამაზის ხმა, არა ათსს... – ჩაიღიღინა კორეშკოვმა.

ფეოდოროვმა პირდაპირ ასე მიუგო:

– თუ მანქანიდან შევხედავთ, თავათავი მართლაც მეჩხერი გეჩვენება, აი შენ ჩახტი მანქანიდან, შეხედე ახლოს მიდი, სულ მთლად თავთავებია!

**(გაგრძელება იქნება).**

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 96, 102, 118, 120, 122, 124, 127.**

## ნიდერლანდი ვერდიქტის გამოსატანად ემზადება

**თუ საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგებით ვიმსჯელებთ, ჰოლანდიელი ამომრჩეველი უარს ეტყვის ევროპის კონსტიტუციის პროექტს: ამ დოკუმენტის წინააღმდეგ ილაშქრებს ხმის უფლების მქონე ქვეყნის მცხოვრებთა დაახლოებით 60 პროცენტი.**

31 მაისს ნიდერლანდში დასრულდა წინასაარჩევნო კამპანია, რომელიც უძღვოდა ოთხშაბათისთვის დაგეგმილ რეფერენდუმს.

ამომრჩეველთა უმრავლესობა აცხადებს, რომ მათ პოზიციაზე არ მოახდენს გავლენას რეფერენდუმის შედეგები საფრანგეთში, რომლის მოსახლეობის 55 პროცენტმა უარყო კონსტიტუცია.

ჰოლანდიელები უკმაყოფილონი არიან ევროპის კავშირის სწრაფი გაფართოებით; ზოგიერთი მათგანი უჩივის კონტროლსდაუქვემდებარებელ იმიგრაციას, ეკონომიკური მაჩვენებლების გაუარესებას, რაც, მათი აზრით, უკავშირდება ევროს კურსს.

მრავალ ადგილობრივ მცხოვრებს მიაჩნია, რომ ევროპის [illegible] ხელმწიფოში“ [illegible] ჰოლანდიური [illegible] კაში, რომელიც ნებას რთავს „მსუბუქ“ [illegible] მოსე[illegible] ევთანაზიას.

ევროკავშირის წევრმა ყველა სახელმწიფომ უნდა [illegible] კონსტიტუციის [illegible] ან რეფერენდუმით, ან პარლამენტში კენჭისყრით.

მაგრამ, [illegible] არაფერი ნათქვამია იმის შესახებ, თუ რა ხდება და იღონონ, როცა ევროკავშირის თუნდაც ერთი წევრი უარყოფს ევროკონსტიტუციას. ირლანდიაში პროექტი მოსახლეობის სამსჯავროზე ორჯერ გამოიტანეს, თუმცა, საფრანგეთის ხელისუფლება აცხადებს, რომ იგი ამის გაკეთებას არ აპირებს.

თუ ნიდერლანდში გამართულ რეფერენდუმზე ჰოლანდიელები მიბაძავენ ფრანგების მაგალითს, ამან, შესაძლოა, სამუდამოდ დაასამაროს კონსტიტუციის პროექტი.

ჯერჯერობით კი ნიდერლანდის პრემიერ-მინისტრი იან პეტერ ბალკენენდე მოუწოდებს თანამემამულეებს, მოიწონონ კონსტიტუციის პროექტი საფრანგეთში რეფერენდუმის შედეგების მიუხედავად. „ჰოლანდიელმა ხალხმა ბრმად არ უნდა გადაიღოს ფრანგების მაგალითი, მან თვითონ უნდა გააკეთოს თავისი არჩევანი“, – თქვა ბალკენენდემ.

მიმომხილველები აღნიშნავენ, რომ [illegible]




## განცხადება

სს „პერლიტი“ იწვევს საზოგადოების აქციონერებს მორიგ საერთო კრებაზე, რომელიც გაიმართება 2005 წლის 20 ივნისს ქ. რუსთავში, მარინის არხი № 174-ში, დღის 15 საათზე.

**დღის წესრიგი:**

**1. სს „პერლიტის“ დირექტორის 2004 წლის სამეურნეო წლის ანგარიშის მოსმენა;**

**2. სს „პერლიტის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის 2004 წლის ანგარიშის მოსმენა;**

**3. ამ ანგარიშების დამტკიცება;**

**4. 2004 წლის აუდიტორული დასკვნის მოსმენა;**

**5. 2005 წლისთვის აუდიტის დანიშვნა;**

**6. ვადაგადაცილებული საგადასახადო დავალიანებათა რესტრუქტურიზაციის საკითხების განხილვა;**

**7. სს „პერლიტის“ საწესდებო კაპიტალის შემცირების შესახებ საკითხების განხილვა და წესდებაში შესაძლო ცვლილებების შეტანა;**

**8. სს „პერლიტის“ სამეთვალყურეო საბჭოს არჩევნების ჩატარება;**

**9. სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა შრომის ანაზღაურების შესახებ საკითხების განხილვა;**

**10. სხვა საკითხები;**

**11. წლიური ანგარიშის წარმოდგენა დირექტორებისა და სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიშთან ერთად.**

დღის წესრიგის საკითხებთან დაკავშირებით აქციონერებს შეუძლიათ განმარტებების მოთხოვნა დირექტორისა და სამეთვალყურეო საბჭოსგან როგორც კრებაზე, ასევე წერილობით. თუ წერილობით მოთხოვნა წარდგენილ იქნა 2005 წლის 10 ივნისამდე, მასზე გაიცემა პასუხი ან შევა დღის წესრიგის დამატებით პუნქტად.

კრებაზე მოწვეულნი არიან აქციონერები კრების სააღრიცხვო თარიღის 2005 წლის 18 მაისის მდგომარეობით. აქციონერებს კრებაზე მონაწილეობის უფლების შესამოწმებლად შეუძლიათ მიმართონ დამოუკიდებელ რეგისტრატორს შპს „შსე დელამენ“-ის მისამართია: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 153. შპს „აისიტი დელამენ“.

## განცხადება სს „ყაზბეგის“ აქციონერთა კრების მოწვევის შესახებ

სს „ყაზბეგის“ დირექცია იწვევს სს-ის აქციონერებს საზოგადოების მორიგ საერთო კრებაზე, რომელიც გაიმართება 2005 წლის 24 ივნისს 12 საათზე ქ. რუსთავში, მშვიდობის ქ. № 6-ში მდებარე სააქციო საზოგადოების სააქტო დარბაზში.

**დღის წესრიგი:**

**1. 2004 წლის წლიური ანგარიში:**

**ა) წლიური ანგარიშის წარმოდგენა დირექტორისა და სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიშთან ერთად;**

**ბ) მოგების განაწილების შესახებ გადაწყვეტილების მიღება.**

**2. დირექტორის ანგარიშის დამტკიცება;**

**3. სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიშის დამტკიცება;**

**4. 2005 წლის აუდიტის არჩევის შესახებ.**

დღის წესრიგის საკითხების გამო წერილობითი ინფორმაციის მიღება აქციონერებს შეუძლიათ სს-ის დირექტორატში. კრების მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად მოწვეულნი არიან:

ჩვეულებრივი აქციის მფლობელი აქციონერები (ან მათი წარმომადგენლები), თუ ისინი რეგისტრირებულნი არიან საზოგადოების აქციონერთა რეესტრში 2005 წლის 25 მაისის 18 საათის მდგომარეობით.

ქ. რუსთავი – 2005 წლის 25 მაისი.

საქართველოს რესპუბლიკა
№ 128. ოთხშაბათი, 1 ივნისი, 2005 წელი.

დუბნელები

# შვეიცარიული საათის სადარი სიზუსტით

## ქართველი ფიზიკოსები ჟენევაში მოპოვებულ დამსახურებულ გამარჯვებას ზეიმობენ

**ბატონი ჯემალი თბილისში ჩამოვიდა გამოჩენილი ფიზიკოს-ექსპერიმენტატორის, ცნობილი საზოგადო მოღვაწის, შესანიშნავი პიროვნების, აკადემიკოს ნოდარ ამაღლობელის წლისთავზე. ჩამოვიდა დუბნიდან, ქართველ ფიზიკოსთა ამ საიმედო, მკვიდრი, მეცნიერული მუშაობისთვის ჩინებულად აშენებული ბუდიდან. სხვათა შორის, განსვენებული ბატონი ნოდარის მრავალმხრივ სამოღვაწეო ასპარეზზე „მოსკოვქვეშა" დუბნასაც გამორჩეული ადგილი ეჭირა.**

**მცირე ანკეტა. ჯემალ ხუბუა, დაბადებული 1939 წელს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. ერთ-ერთი თვალსაჩინო ფიგურა დუბნელ ქართველთა და, საერთოდაც, დუბნელთა შორის: დუბნის ბირთვული კვლევების გაერთიანებული ინსტიტუტის ბირთვული პრობლემების ლაბორატორიის განყოფილების უფროსი, ამ ინსტიტუტში საქართველოს მთავრობის სრულუფლებიანი წარმომადგენლის მოადგილე (წარმომადგენელი – აკადემიკოსი ალბერტ თავხელიძე), ჟენევის ბირთვული კვლევების ევროპული ცენტრის (ცერნის) ექსპერიმენტ „ატლასში" საქართველოს ფიზიკოსთა ჯგუფის ლიდერი და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაღალი ენერგიების ფიზიკისა და ინფორმატიზაციის ინსტიტუტის სექტორის ხელმძღვანელი... ეგებ, მცირეს მაგიერ მოზრდილი ანკეტა გამოგვივიდა, მაგრამ ასეთია ეს „ათასსახიანი კაცი..."**



ერთ-ერთ „სახელ" ცერნში მიმდინარე ექსპერიმენტის „ატლასის" მონაწილე საქართველოს ფიზიკოსთა ჯგუფის ლიდერობა ვახსენეთ (ასეთი სტატუსი ოფიციალურად აქვს). მსმენოდა, რომ, ექსპერიმენტული ფიზიკის თვალსაზრისით, ეს გახლავთ მსოფლიო, გნებავთ, საერთაშორისო მნიშვნელობის პროექტი, რომლის რეალიზებაში წვლილის შეტანა ყველა ქვეყნისთვის სახელისა და ღირსების საქმეც არის. ჩვენს ფიზიკოსებს კი, თურმე, დიახაც რომ, ხელშესახები წვლილი შეაქვთ და ამის თაობაზე ვისთან, თუ არა ჯემალ ხუბუასთან იქნებოდა საუბარი უპრიანი! ოღონდ ჯერ სახელწოდება „ატლასი" გავშიფროთ, რომელიც ხატოვნად კი არაა შერქმეული (როგორც ზოგჯერ აკეთებენ ხოლმე), არამედ „რეალურ" აბრევიატურას წარმოადგენს: A Toroidal L HC Apparatu S (ტოროიდული LHC დანადგარი). აქვე LHC-ც გავხსნათ: „ლარჯ ჰადრონ კოლაიდერ" – დიდი ადრონული კოლაიდერი (ამჩქარებელი). ამრიგად, საბოლოოდ ამჩქარებელს მივადექით, რომელიც, ეტყობა, არნახული, ყველაზე გიგანტური იქნება აქამდე არსებულთა შორის...

**– ბატონო ჯემალ, ჩვენამდეც მოვიდა ხმები, რომ დასრულდა „ატლას"-ექსპერიმენტის სამუშაოთა გარკვეული, ერთობ მნიშვნელოვანი ეტაპი. შეიძლება მკითხველს ცოტა დაწვრილებით ვუამბოთ პროექტის შესახებ?**

– თქვენის ნებართვით, დუბნიდან დავიწყებ. საყოველთაოდ ცნობილია, რომ იქაური ბირთვული კვლევების გაერთიანებული ინსტიტუტი საერთაშორისო დაწესებულებაა, სადაც მხარდამხარ შრომობენ არა მარტო გაერთიანებაში შემავალი, არამედ სხვა ქვეყნების წარმომადგენლებიც. საქართველო სწორედ ერთ-ერთი წევრი ქვეყანა გახლავთ და როგორც ასეთი, თითქმის ყველა სამუშაოს მონაწილეა, რომლებიც კი ინსტიტუტის თემატური გეგმის ფარგლებში შესრულებულა დღიდან მისი დაარსებისა (ეს თარიღიც გავიხსენოთ – 1956 წლის 26 მარტი).

გამონაკლისი არც „ატლასი" ყოფილა. ჩვენი სპეციალისტები აქტიურად მონაწილეობენ ამ ექსპერიმენტში, რომელიც დაგეგმილია ჟენევაში, ცერნში მშენებარე ახალ LHC ამჩქარებელზე და რომელშიც დუბნის ინსტიტუტს ფართო ვალდებულებანი აქვს აღებული. დუბნის მხრიდან ყველა მეცნიერული კვლევისთვის პასუხს აკადემიკოსი ალექსეი სისაკიანი აგებს, „ატლასის" პროგრამისთვის – პროფესორი ნიკოლოზ რუსაკოვიჩი. ვალდებულებათა შორის ადრონული კალორიმეტრის ცენტრალური ნაწილის შექმნაც იყო. დანადგარის ამ ნაწილზე პასუხისმგებელი გახლდათ დუბნის ინსტიტუტის ბირთვული პრობლემების ლაბორატორიის მრავლობითი ადრონული პროცესების განყოფილება, რომლის უფროსიც თქვენი მონამორჩილია (ქვეპროექტის მეცნიერული ხელმძღვანელია – პროფესორი იულიან ბუდაგოვი).

ქართველი ფიზიკოსები სწორედ კალორიმეტრის აღნიშნული ნაწილის შექმნის უშუალო მონაწილენი იყვნენ. სამუშაოებში მონაწილეობა მიმდინარეობდა „დიდი სამკუთხედის" სქემით – ასე შეიძლება მოვნათლოთ თანამშრომლობა თბილისი-დუბნა-ცერნი. უკან დარჩა ბეჯითი შრომის 10 წელი; და აი, 2004 წლის 10 დეკემბერს ჟენევაში, ცერნში, მიწაში 100 მეტრის სიღრმეზე დასრულდა ატლას-დანადგარისთვის ადრონული კალორიმეტრის ცენტრალური ნაწილის აწყობა. „ატლასი" კი ერთ-ერთია ახალ ზემძლავრ LHC ამჩქარებელზე დაგეგმილი ოთხი ძირითადი ექსპერიმენტიდან.

10 წლის რუდუნებით შრომაო, ვთქვით. ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ საქართველო დუბნის ერთ-ერთი წევრი ქვეყანა (18-ს შორის) 1992 წლიდანაა, ხოლო კოლაბორაცია „ატლასის" წევრი ქვეყანა (34-ს შორის) – 1993 წლიდან. ოდნავ მოგვიანებით დაიწყო დანადგარ „ატლასის" შექმნა. ადრონული კალორიმეტრის ცენტრალური ნაწილი, რომელზეც, ვიმეორებ, პასუხს ჩვენი განყოფილება აგებდა, სრულიად უნიკალურია მახასიათებლების, პარამეტრების, პროექტული სიზუსტეების მიხედვით.

**– ხომ არ ჩამოთვლიდით ამ პარამეტრებსა თუ მახასიათებლებს?**

– ცილინდრული ფორმის (ფაქტობრივად, ბარელის) ადრონული კალორიმეტრი 64 მოდულისგან შედგება, რომელთაგან თითოეული 6 მეტრამდე სიგრძისა და 23 ტონამდე იწონის. ცილინდრის შიდა დიამეტრი 4,5 მეტრია, გარე – 8,5 მეტრი. ცენტრალური ნაწილის საერთო წონა 1300 ტონაა, მთელი დანადგარისა – 7000 ტონა. ასეთი გიგანტური სისტემის ყველა 64 სეგმენტი უნდა აწყობილიყო არანაკლებ 600 მიკრონის სიზუსტით. მთელი ეს სამუშაოები დუბნაში შესრულდა, ბირთვული პრობლემების ლაბორატორიის ტექნოლოგიურ მოედანზე, შემდეგ მოდულები ავტოტრანსპორტით ჩაიტანეს შვეიცარიაში და უკვე ადგილზე გააკონტროლეს მათი სიზუსტე. წარმოიდგინეთ, დაახლოებით 3000 კილომეტრი მანძილის გავლის შემდეგ, დუბნაში აწყობილი მოდულების ყველა პარამეტრი დასაშვებ საზღვრებში იყო დარჩენილი.

**– ბატონო ჯემალ, როგორც ჩანს, ჟენევაში თქვენი ხელმძღვანელობით იმხელა საქმე გაკეთებულა, რომ ჩვენს საზოგადოებრიობას უნდა გავაცნოთ მასში წვლილის შემტანი ყველა ქართველი ფიზიკოსის სახელი...**

– უშუალო მონაწილენი სხვადასხვა თაობის ჩვენი სწავლულები არიან, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტისა და მაღალი ენერგიების ფიზიკისა და ინფორმატიზაციის ინსტიტუტის წარმომადგენლები: ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატები ირაკლი მინაშვილი და ზაალ სალუქვაძე, სულ ახალგაზრდა მკვლევარები გიორგი არაბიძე და გია ყორიაული. რასაკვირველია, ფასდაუდებელია ბრწყინვალე უფროსთაობელების, აკადემიკოსების ალბერტ თავხელიძისა და ნოდარ ამაღლობელის დახმარება.

**– ამრიგად, სამშენებლო მარათონის ერთი ეტაპი დამთავრებულა. ასი მეტრის მიწის სიღრმეში კიდევაც დავეშვით და კიდევაც ჩავუშვით... მერე? როგორი იქნება „ატლასთან" თქვენი კავშირი ახლო თუ შორეულ მომავალში?**

– „ატლასის" ექსპერიმენტის ამოქმედება 2007 წელსაა განზრახული. ჩვენს გეგმებში შედის ამ ექსპერიმენტის ფიზიკური შედეგების დამუშავება. საერთოდ, ვაპირებთ „ატლასის" კოლაბორაციაში მონაწილეობის გაფართოებას.

ამთავითვე მიმდინარეობს მუშაობა მონაცემთა ანალიზის პროგრამული უზრუნველყოფისთვის, იშვიათი ფიზიკური პროცესების მოძიებისთვის. კვლევას ეწევიან როგორც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტის, ისე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაღალი ენერგიების ფიზიკისა და ინფორმატიზაციის ინსტიტუტის თანამშრომლები: ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორები იოსებ მანჯავიძე და თამარ ჯობავა, კანდიდატები ლეილა ჩიქოვანი და ნოდარ შუბითიძე.

საქართველოს სპეციალისტთა კიდევ ერთი ჯგუფი ჩაბმულია მიუონური სისტემის („ატლასის" დეტექტორის სხვა ნაწილის) შექმნაში: ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატები ედიშერ ცხადაძე, ალექსი ღონღაძე, გიორგი ღლონტი.

მათ სადაგი დღეები უდგათ. დანადგარის მოცემული ნაწილის აწყობის სამუშაოთა საბოლოო ფაზა ეს-ესაა დაიწყო. დარწმუნებული ვარ, რომ ისინიც ვადაზე ჩააბარებენ სამუშაოების კუთვნილ ნაწილს (ვადა 2006 წლის მიწურულია). მაღალი ენერგიების ფიზიკისა და ინფორმატიზაციის ინსტიტუტის თანამშრომელი, დოქტორი ნუგზარ გრიგალაშვილი შიდა დეტექტორის შექმნის სამუშაოში მონაწილეობს (მუშაობა მთელი „ატლას"-დანადგარის გაშვებისას უნდა დამთავრდეს, 2007 წლისთვის). შარშანდელი წლიდან „ატლასის" სამუშაოებში ჩაერთო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასთან არსებული საინჟინრო ცენტრი პროფესორ ალექსანდრე შარმაზანაშვილის ხელმძღვანელობით. ქართველ ინჟინრებს მოეკითხებათ კომპიუტერული მოდელებისა და დეტექტორის ციფრული პროტოტიპების განვითარება, იდენტიფიკაცია და კონფლიქტების შეთავსება, როგორც დეტექტორის შიგნით, ასევე მომცველ გარემოსთან, მიწისქვეშ ას მეტრ სიღრმეზე, შახტში.



**– საქართველო პატარა ქვეყანაა, მაგრამ არაერთ დარგში იყო დიდი მეცნიერების „მწარმოებელი" – მრავალ და მრავალ წელს. ახლა ჩვენს ქვეყანაში მეცნიერებას ძალიან უჭირს. რა ვქნათ, ვიფიქროთ, რომ ფუნდამენტური კვლევები ფუფუნებაა და მხოლოდ დიდი სახელმწიფოების ხვედრი უნდა იყოს? როგორია მეცნიერების მძიმე მდგომარეობიდან გამოსვლის თქვენი ხედვა?**

– როგორც მგონია, საქართველოს კვლავ აქვს მაღალი სამეცნიერო პოტენციალი და ჰყავს მკვლევარები, რომლებიც ჩაბმულნი არიან პრაქტიკულად ყველა აქტუალურ ექსპერიმენტში, როგორც ფიზიკაში, ისე სხვა დარგებში. ჩვენთან მეცნიერთა განაწილების გეოგრაფია თითქმის მოიცავს ცივილიზებული მსოფლიოს რუკას. უთუოდ უნდა ვეცადოთ ასეთი მდგომარეობის შენარჩუნებას, მაგრამ კადრების როტაციაზეც ღირს ფიქრი.

გადინებამ როტაციას უნდა დაუთმოს ადგილი. ახალგაზრდა, კვალიფიციური კადრები უნდა დაბრუნდნენ და უცხო გამოცდილება უშუალოდ თავიანთ ქვეყანაში გამოიყენონ, შემდგომ კი მკვლევართა და მეცნიერთა შემდეგი თაობის აღზრდაზეც იზრუნონ. ამისთვის კი თუნდაც მინიმალური შესაძლებლობები და პირობები უნდა შევუქმნათ შინ. სწავლულები არ არიან ჭირვეული ხალხი, ცოტასაც იკმარებენ, ოღონდ ეს „ცოტა" უნდა არსებობდეს, ახლანდელ დონეზე მაინც ჩვენი მეცნიერების შესანარჩუნებლად.

დღეს ჩვენი ფიზიკოსები, მსოფლიოს წამყვანი მეცნიერული სახელმწიფოების – რუსეთის, აშშ-ის, საფრანგეთის, გერმანიისა და სხვათა ფიზიკოსებთან ერთად, ჟენევაში მოპოვებულ ძნელ, დამსახურებულ გამარჯვებას ზეიმობენ და გვჯერა, რომ ასეთი გამარჯვებები კვლავაც ჩვენი თანმდევი იქნება, ოღონდ... საამისოდ დუბნაშიც უნდა დავრჩეთ და ჟენევაშიც. არადა, ორივესთან დაგვიგროვდა საწევრო ვალები, მიუხედავად მათგან არაერთგზის გაწეული შეღავათისა, არაერთხელ დათმობაზე წასვლისა... საპასუხისმგებლო, მნიშვნელოვანი სამუშაოების ესოდენ მაღალ დონეზე განმახორციელებელი ქართველი ფიზიკოსებისთვის, სახელმწიფოს მხრიდან უდიდესი დახმარება იქნება დუბნისა და ჟენევის საერთაშორისო ცენტრების წინაშე აღებულ ვალდებულებათა შესრულება – ფინანსურისა, პირველ რიგში...

**ჩემმა რესპონდენტმა საუბარი ასეთი თავშეკავებული ტონით დაასრულა, მაჟორული ტონის მაგიერ (რაც, რასაკვირველია, შეეფერებოდა ცერნში ჩვენი ფიზიკოსების დიდ მიღწევას)...**

**თამაზ ეზანოიძე.**



**სურათებზე: 2004 წლის 10 დეკემბერი. ექსპერიმენტ „ატლასის" ადრონული კალორიმეტრის ცენტრალური ნაწილის აგება დასრულებულია. მიმღები კომისია შესრულებული სამუშაოთი კმაყოფილია, წინა პლანზე მარცხნიდან მესამე: პროფესორი ჯემალ ხუბუა (საქართველო), გვერდით აღნიშნული სამუშაოების კოორდინატორი პროფესორი მარციო ნესი (შვეიცარია), აშშ-ის წარმომადგენელი ჯიმ პრაუდფუტი და ინჟინერთა ჯგუფის ხელმძღვანელი ანა ჰენრიკე (პორტუგალია); 2002 წლის 3 ივლისი. ბოლო 64-ე სეგმენტი (მოდული) ადრონული კალორიმეტრისა, რომელიც დუბნაში აიგო ქართველ სპეციალისტთა აქტიური მონაწილეობით, უკვე ცერნშია (ქ. ჟენევა). მოცემული პროექტის ხელმძღვანელები: რუპერტ ლაიტნერი (ჩეხეთი), პიტერ იენი (შვეიცარია) – მთელი „ატლას"-პროექტის ხელმძღვანელი, ჯემალ ხუბუა (საქართველო), ალექსეი სისაკიანი (ქ. დუბნის ინსტიტუტის ვიცე-დირექტორი), როჯერ კეშმორი (ინგლისი) – ცერნის ფიზიკური პროგრამების ხელმძღვანელი, დირექტორის მოადგილე, იულიან ბუდაგოვი (დუბნა), მარტიო ნესი (შვეიცარია), პროექტის ტექნიკური კოორდინატორი; 2005 წლის 6 იანვარი. ქ. ჟენევაში, ბირთვული კვლევის ევროპულ ცენტრში, დედამიწის ზედაპირიდან 100 მ სიღრმეზე. დასრულდა ექსპერიმენტ „ატლასის" ადრონული კალორიმეტრის ცენტრალური ნაწილის აგება. სურათზე საერთო ხედი.**

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
„საქართველოს რკინიგზა"

**ბრძანება**

2005 წ. 19 მაისი ქ. თბილისი № 221

**რკინიგზით მგზავრთა გადაყვანის სეზონური ტარიფების შემოღების შესახებ**

შპს „საქართველოს რკინიგზის" დირექტორთა საბჭოს 2005 წლის 15 მარტის № 31/66 და 4 მაისის № 32/67 დადგენილების შესაბამისად, ა/წ 21 ივნისიდან 21 სექტემბრამდე სამგზავრო მატარებელზე სეზონური ტარიფების შემოღების და შესაძლო კორუფციული გარიგების მაქსიმალურად აღმოფხვრის მიზნით

**ვბრძანებ**

1. საზაფხულო სეზონზე, 2005 წლის 21 ივნისიდან 21 სექტემბრამდე შემოღებულ იქნეს სეზონური სამგზავრო ტარიფები, თანდართული ცხრილების მიხედვით.

2. I და II კლასის საწოლადგილიან ვაგონებში, მგზავრობის საფასურის გადახდასთან ერთად, მგზავრისათვის სავალდებულოა თეთრეულის საფასურის გადახდა (2 ლარი), ხოლო III კლასის ვაგონებში – მგზავრის სურვილის მიხედვით.

3. გაუქმდეს კომერციული დირექტორის 2005 წლის 27 იანვრის № კდ-54 განკარგულების შესაბამისად 31 იანვარს № კდ-67, № კდ-68, № კდ-70 და 1 თებერვლის № კდ-69-ით დამტკიცებული სატარიფო ცხრილები. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს კომერციულ დირექტორს (რ. გიორგაძე).

**გენერალური დირექტორი დ. ონოფრიშვილი.**







**შპს „ფოთის საზღვაო ნავსადგური" აცხადებს საერთაშორისო ტენდერს „ფოთის საზღვაო ნავსადგურის №9-10 ტერმინალების გრძელვადიანი იჯარით გაცემის" შესახებ**

**„№ 9-10 ტერმინალების გრძელვადიანი იჯარით გაცემა"**

წინამდებარე საერთაშორისო კონკურსი (შემდგომში „ტენდერი") წარმოადგენს ფოთის ნავსადგურის რესტრუქტურიზების სტრატეგიის განხორციელების ერთ-ერთ ეტაპს.

ტენდერის არსი მდგომარეობს ნავსადგურის № 9-10 ტერმინალების მოდერნიზებისა და მათზე თანამედროვე მენეჯმენტის მეთოდების დანერგვის გზით ტვირთბრუნვის გადიდებასა და ზრდის ტემპების უზრუნველყოფაში.

ამ მიზნით სატენდერო კომისია იღებს სატენდერო განაცხადებს № 9-10 ტერმინალებზე საიჯარო კონტრაქტის გაფორმების უფლების მოსაპოვებლად ნებისმიერი ქვეყნის კომპანიის ან კონსორციუმისგან.

საიჯარო კონტრაქტის მოქმედების ვადა შეადგენს 25 წელს.

სატენდერო მოთხოვნით გათვალისწინებულია სავალდებულო ინვესტიციების განხორციელება იჯარის მოქმედების მთლიანი პერიოდის განმავლობაში.

სატენდერო კომისია განახორციელებს შეფასებას ორ ეტაპად. ყველა დაინტერესებულმა პრეტენდენტმა ერთდროულად უნდა წარმოადგინოს საკვალიფიკაციო მასალები და სატენდერო წინადადება. წინადადება შეიცავს როგორც ტექნიკურ, ასევე ფინანსურ წინადადებებს, რომლებიც ისევე როგორც საკვალიფიკაციო დოკუმენტი, წარმოდგენილი უნდა იყოს ცალ-ცალკე დალუქულ პაკეტებში.

ტენდერში მონაწილეობის გარანტიაა 300 000 აშშ დოლარი.

სატენდერო დოკუმენტაციის მიღებისა და ტენდერში შემდგომში მონაწილეობისთვის რეგისტრაციის ღირებულება შეადგენს 5000 აშშ დოლარს.

პრეტენდენტის წინადადების შეფასების კრიტერიუმი იქნება სატენდერო დოკუმენტაციის პირობების დაკმაყოფილება.

პირობები და მოთხოვნები განსაზღვრულია სატენდერო დოკუმენტაციაში, რომლებიც შედგება შემდეგი სამი ნაწილისგან:

**A. ტენდერის პროცედურები – ინსტრუქცია პრეტენდენტისათვის;**
**B. კონტრაქტის პროექტი;**
**C. სატენდერო მოთხოვნები.**

ტენდერი ჩატარდება შემდეგი განრიგით:

| | | |
|---|---|---|
| ობიექტის დათვალიერება | - | 2005 წლის 9 აგვისტო 12:00 სთ-ზე ადგილობრივი დროით |
| წინასატენდერო კონფერენცია | - | 2005 წლის 9 აგვისტო 14:00 სთ-ზე ადგილობრივი დროით |
| სატენდერო კომისიაში შეკითხვების წარმოდგენის ბოლო ვადა | - | 2005 წლის 22 აგვისტო |
| სატენდერო წინადადებების წარდგენის ბოლო ვადა | - | 2005 წლის 30 აგვისტოს 17:00-სთ-მდე ადგილობრივი დროით |
| სატენდერო წინადადებების გახსნა | - | 2005 წლის 31 აგვისტოს 12:00 სთ ადგილობრივი დროით |
| ტენდერის შედეგების გამოცხადება | - | 2005 წლის 30 სექტემბრამდე |

ყველა მსურველს, რომელიც შეიძენს სატენდერო დოკუმენტაციას, სატენდერო დოკუმენტაციით დაშვებული ინფორმაცია შეუძლია მიიღოს **ფოთის საზღვაო ნავსადგურის ადმინისტრაციაში ყოველ დღე (დასვენების და უქმე დღეების გარდა) ადგილობრივი დროით 10-დან 17 საათამდე.**

საკონტაქტო პირები:

1. ქ-ნი **მაია თევზაძე** (დირექტორი კომერციულ და ინვესტიციების საკითხებში);
2. ქ-ნი **სუზანა კვაჭანტირაძე** (დირექტორი სამართლებრივ საკითხებში);
3. ბ-ნი **ვახტანგ მარშანია** (გენერალური დირექტორის აპარატის უფროსი).

**მისამართი: საქართველო, ფოთი 4401, დ. აღმაშენებლის ქ. 52.**
**ტელ/ ფაქსი +995 393 70146**

**ელ. ფოსტა: administration@potiseaport.com**

**სატენდერო კომისიის თამჯდომარე, ეკონომიკური განვითარების მინისტრის პირველი მოადგილე**
**კახა სეხნიაშვილი.**

ბედი მდევარი

# მოხალისე

**კოტე მესხის ქუჩის მზრუნველი ხელით მოვლილ ერთ ეზოში ჩემი ყურადღება მიიქციეს ღუნღულა მტრედებმა. ნეტავი, ვისია-მეთქი, კითხვა ცოტა ხმამაღლა გამომივიდა. მაშინვე გამომეხმაურა უცნობი ქალბატონი, ჩემი მამამთილის, გიორგი გიორგობიანისააო.**

**როგორ მეცნო ეს გვარ-სახელი!**

– დიახ, ეს სწორედ ის გიორგი გიორგობიანია, ახალგაზრდებს რომ ამოუდგა მხარში და შვილთან ერთად მოხალისედ იბრძოდა აფხაზეთში, – ღიმილით მიპასუხა ციური გველესიანმა. მისმა ნაამბობმა გამიასკეცა ამ ადამიანის გაცნობის სურვილი.

აგერ ისიც, სამოცდამეცამეტე წელში გადამდგარი თხელი, სიმპათიური მამაკაცი. – თუ საჭირო გახდება, კვლავაც წავალო, – მეუბნება, – ჩემი უფროსი შვილი დათო აფხაზეთში „ავლაბნელებთან" ერთად იბრძოდა. მე რა-



და გამაჩერებდა შინ? ჰოდა, იმ გაგანია ომის დროს ჩავედი აფხაზეთში. რაც იქ ჩემმა თვალებმა ნახა... ჯოჯოხეთია მოსაგონებლად. ბატალიონს ჩემი უბნელი ვაჟკაცი მიხო მორჩილაძე მეთაურობდა. სწორედ იმისგან გავიგე, რომ თბილისში მოხალისეებს აგროვებდნენ. გამოვცხადდი ვერის ბაღში, ამხედ-დამხედეს და... უარი მტკიცეს. გული ყელში მომებჯინა. ასე ნუ მიყურებთ, - რამდენიმეს კი წამოგიკიდებთ-მეთქი. გაეღიმათ და მიხოსთან წარმადგინეს. ხელი მაგრად ჩამომართვა, ოცეულს გაბარებო, მითხრა. კი გიცნობდით, გოგი ბატონო, მაგრამ ასე კარგად არაო...

ასე მოვხვდი აფხაზეთში.

ერთ დღეს ბრძანება მივიღეთ, ბრძოლით უნდა აგვეღო ბესლახუბა და ტყვარჩელისკენ დავძრულიყავით. იქ მოწინააღმდეგე ტყვია-წამალს ამზადებდა და ეს გზა უნდა მოგვესპო. ბრძოლის ჟინით ანთებულებს ახალი ბრძანება მოგვივიდა – უკან დაბრუნდითო!

– ვისგან იყო ასეთი ბრძანება?

– რა ვიცი, ზემოდან, ჩემნაირ რიგითებს ვინ რას გვეკითხებოდა. გამოგვიყვანეს ძველ პოზიციაზე. იქ ერთი უშველებელი ტანკი გვყავდა, კოშკურა ჰქონდა დაზიანებული. იმ ღამეს ჩვენს ბიჭებს არ დაუსვენიათ, ბევრი იწვალეს და ტანკი მოაწესრიგეს. ინათა თუ არა, აფხაზები შეტევაზე გადმოვიდნენ. მათ ძლიერი ტექნიკა ჰქონდათ და ტყვიები წვიმასავით წამოვიდა. გამარჯვებაში დარწმუნებულნი რომ იყვნენ, დასცხეს, მარა, რა დასცხეს ჩვენმა ბიჭებმა... იმათ „ბმპ-ს" ცეცხლი წაეკიდა და ჰაერში ავარდა, შიგ მყოფნი, ყველანი ჩაიწვნენ...

რას აკეთებდნენ, იცით, აფხაზები? ვაგონებში აწყობდნენ ასაფეთქებელ ნივთიერებებს, მერე ამ ვაგონებს გამოაგორებდნენ და აფეთქებდნენ. ერთ ღამეს ჩვენ ქუთაისის ბატალიონმა შეგვცვალა და პოზიცია დავტოვეთ. მაგრად წვიმდა, თავსხმა მოდიოდა. კარგად მახსოვს, შუაღამე იყო. უცებ, საშინელი აფეთქების ხმა გაისმა. ძალიან დიდი მსხვერპლი მოჰყვა ამ აფეთქებას. გარშემო სახლები სულ დაინგრა. მტერს მაშინვე საპასუხო დარტყმა მივაყენეთ და სულ გადავბუგეთ მათი პოზიცია.

მოწინააღმდეგემ დესანტი გადმოსხა. აფხაზებთან ერთად ჩეჩნები და რუსებიც იყვნენ. ამ დესანტის განადგურებაშიც ვმონაწილეობდი. ბატალიონის უფროსმა მიხო მორჩილაძემ ძლიერი კონტუზია მიიღო, მეც ისე, რა... და მაინც ადგილიდან არ დავძრულვარ, იქვე ვიმკურნალე და ბოლომდე იქ დავრჩი.

მერე... ერთი თბილისელი, ჩემი უბნელი, ძალიან კარგი ვაჟკაცი თენგიზ მამულაშვილი, ჩვენი „ტაბურეტკა" დაიღუპა. კვდებოდა და მაინც ფეხზე იდგა, მტერმა დაცემული არ უნდა მნახოსო...

ბატონ გიორგის ბავშვივით აუწყლიანდა თვალები, თითქოს ისევ იმ ცხედართან იდგა...

ცოტა ხანს იყუჩა, მერე კი ისევ მწარე მოგონებებს მიუბრუნდა:

– რა დამავიწყებს თემურ მჭედლიშვილს, სოსო ქუჩიშვილს, ელდარ ქისტაურს, ლევან მჭედლიძეს, გია წივილაშვილს, რომან კვენეტაძეს, კახა აბულაძეს, ავთო სააკოვს, ლამაზ ბიჭს – ჭაბუა ამირეჯიბის ვაჟს ირაკლის, მამუკა მაისურაძეს, ვასილ ლომსაძეს, ნუგზარ ჯიქიას, თემურ ქარუხნიშვილს – მეავტომატეებს, მზვერავებს, სნაიპერებს... ყველას სახე კარგად მახსოვს. ხშირად სიზმარში ვხედავ მათ და ვესაუბრები როგორც ცოცხლებს, ვეფერები, ვესიყვარულები... გამეღვიძება და... ადრე ჩვენთან იყვნენ საშა იოსელიანი და ერთიც მაისურაძე (სახელი არ მახსოვს) ტელევიზიიდან, გადაიღეს ჩვენი ნაწილი, ჩემი ინტერვიუც ჩაიწერეს. უჩვენებიათ პირველ არხზე. აფსუს, რა ბიჭები იყვნენ!

– რა განათლება გაქვთ, ბატონო გოგი?

– საშუალო სკოლა დავამთავრე, ელექტრიკოსი ვარ. ახლა 73-ე წელიწადში გადავდექი, მაგრამ უსაქმოდ ვერ ვჩერდები – ვუვლი მტრედებს, ორიოდე ქათამი და კურდღელიც მყავს. თავს ვიქცევ, რა... ძალიან მიყვარს ლიტერატურა, განსაკუთრებით პოეზია – აკაკი, ილია, ვაჟა, გალაკტიონი, ანა კალანდაძე... ახლახან შევიძინე თინათინ მღვდლიაშვილის წიგნი, გულის ძირში რომ გაგივლის, ისეთი ლექსები აქვს.

თავად ბატონ გიორგის მოერიდა თუ... არ ვიცი, მე კი გაგიმხელთ: მას ხშირად შეხვდებით ტფილისის ეკლესიის ახლოს – უანგაროდ და სიყვარულით უვლის და ასუფთავებს ღვთის სახლის ეზო-მიდამოს.

... მტრედები ღუღუნით მიმაცილებენ. გულში ლოცვასავით ვამბობ: ღმერთმა თქვენისთანა ადამიანები უმრავლოს საქართველოს, ბატონო გიორგი გიორგობიანო!

**ლალა გორდაძე.**

**სურათზე: გიორგი გიორგობიანი (მარცხნივ), სოფელი კოლხიდა, 1992 წელი.**

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ენერგომანქანამშენის"
სალიკვიდაციო კომისია აცხადებს აუქციონს

**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ენერგომანქანამშენის" ბალანსზე რიცხული ქონების 75 პროცენტით ფასდაკლებით რეალიზაციის მიზნით.**

აუქციონზე მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, რომელთა ქონებაშიც საქართველოს სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს წილი 25 პროცენტზე ნაკლებია.

ინფორმაცია ობიექტის შესახებ: მისამართი: **თბილისი, ორხევი, ტელ. 899 50-95-82.**

შპს „ენერგომანქანამშენის" ბალანსზე რიცხული ქონება (საწარმოო კორპუსი, ტექნოლოგიური მანქანა-დანადგარები და სხვა). დაწვრილებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ენერგომანქანამშენის" სალიკვიდაციო კომისიასთან.

ობიექტის გასაყიდი ფასია 43 300 (ორმოცდასამი ათას სამასი) ლარი, მათ შორის დაკავებული მიწის ფართობი 23 613 კვ. მ.

გადახდილი თანხა ჩაირიცხება, „თბილუნივერსალბანკის" შპს „ენერგომანქანამშენის" ანგარიშსწორების ანგარიშზე № 3608080082.

„ბეს" სიდიდე შეადგენს გასაყიდი ღირებულების 10 პროცენტს (4330 ლარს).

აუცქიონი გაიმართება ამ განცხადების გამოქვეყნებიდან 10 (ათი) დღის შემდეგ, პირველ სამუშაო დღეს.

აუქციონში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ განაცხადი, „ბეს" შეტანის ქვითარი, თან უნდა იქონიონ პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, იურიდიულმა პირებმა დამატებით უნდა წარმოადგინონ სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლები.

აუქციონში მონაწილეობაზე განცხადების მიღება იწარმოებს ამ განცხადების პრესაში გამოქვეყნებიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში 10-დან 17 საათამდე აღნიშნულ მისამართზე.

**სალიკვიდაციო კომისია.**

თბილისის ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის კულტურისა და ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტი
აცხადებს კონკურსს
შემდეგი თანამდებობის დასაკავებლად:

**პროგრამის ლიდერი, პროფესორი სრული დატვირთვით**

**კონკურსი ცხადდება კულტურის ფაკულტეტის ყველა სპეციალობაზე:**

- კულტუროლოგია – საერთაშორისო კულტურული ურთიერთობები;
- საერთაშორისო კულტურული ტურიზმი;
- ბიბლიოთეკათმცოდნე, საინფორმაციო ტექნოლოგიების მენეჯერი;
- ხელოვნებათმცოდნე – ჟურნალისტი;
- ხელოვნებათმცოდნე-ექსპერტი;
- ხელოვნებათმცოდნე – იმპრესარიო;
- ინგლისური ენა და კულტურა;
- გერმანული ენა და კულტურა.

კონკურსში მონაწილე პირებმა არაუგვიანეს 2005 წლის 1 ივლისისა საკონკურსო კომისიაში უნდა წარმოადგინონ განაცხადი და შესაბამისი დოკუმენტაცია.

**დამატებითი ინფორმაცია კონკურსის შესახებ განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე: www.catsu.edu.ge**

**უნივერსიტეტის ადმინისტრაცია.**

**15 ივლისს ჩატარდება ს/ს „თბილმარგარინმრეწვის" აქციონერთა რიგგარეშე კრება.**

**დღის წესრიგი:** სამომავლო მიზნები და ამოცანები.

**მისამართი:** მოსკოვის პროსპექტი 9ა.

**შპს „პეგასი" გაცნობებთ, რომ ტირაჟიან ლატარია „TV-ლოტოში" თამაშდება სხვადასხვა მარკის განუბაჟებელი ავტომანქანები, რაც შეთანხმებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან, ჩვენს მიერ წარდგენილი ლატარიის გათამაშების რეგლამენტის პირობების თანახმად.**

**გისურვებთ წარმატებას.**

**„TV-ლოტო".**

სს „გამოფენების ცენტრის" აქციონერთა საყურადღებოდ

**სს „გამოფენების ცენტრი" იწვევს აქციონერებს მორიგ საერთო კრებაზე, რომელიც გაიმართება 2005 წლის 20 ივნისს 12 00 საათზე საზოგადოების იურიდიულ მისამართზე: ქ. თბილისი, წერეთლის გამზ. 118, ადმინისტრაციული შენობა.**

**დღის წესრიგი:**

1. წლიური შედეგების განხილვა, დირექტორისა და სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიშის დამტკიცება;
2. მოგების განაწილების შესახებ გადაწყვეტილების მიღება;
3. აუდიტორის არჩევა;
4. სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ანაზღაურების საკითხის გადაწყვეტა.

სს „გამოფენების ცენტრის" დირექტორისა და სამეთვალყურეო საბჭოს რეკომენდაცია იქნება, საერთო კრებაზე დამტკიცდეს წარმოდგენილი წლიური ანგარიში და საზოგადოების აუდიტორი არჩეულ იქნას აუდიტორული ფირმა შპს „მელიტა"-დან.

აქციონერებს კრების ჩატარებამდე 10 დღის განმავლობაში შეუძლიათ შეამოწმონ კრებაში მონაწილეობის უფლება მისამართზე: **თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. № 55 – შპს „კაპიტალ-რეგისტრი", ტელ: 23-03-84, დილის 11 საათიდან 17 საათამდე.** აქციონერებს დეტალური ინფორმაცია დღის წესრიგში არსებულ საკითხებთან დაკავშირებით შეუძლიათ მიიღონ საზოგადოების იურიდიულ მისამართზე, დირექციაში.

კრების სააღრიცხვო თარიღი არის **2005 წლის 19 მაისი.**

გთხოვთ, კრებაზე დასწრებისას თან იქონიოთ პირადობის დამადასტურებელი საბუთები.

**სს „გამოფენების ცენტრის" დირექცია.**

უნივერსიადა–2005

# ქალთა კალათბურთს საფრთხე ემუქრება

**თბილისის სპორტულ ბაზებზე გრძელდება საქართველოს უნივერსიადის პროგრამით გათვალისწინებული ორთაბრძოლები. ვაკის საფარიკაო დარბაზში თავი მოიყვარეს სხვადასხვა ქალაქის უმაღლესი სასწავლებლების. მუშკეტერებმა.** განსაკუთრებით იყოჩაღეს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის სტუდენტებმა. ორ სახეობაში ყველა პირველი ადგილი მათ დაიკავეს. დაშნაში ანა აბრამიშვილმა და სერგო ხატიაშვილმა გაიმარჯვეს, რაპირაში ტოლი არ ჰყავდათ ნატო კობიაშვილსა და გიორგი გრიგოლიას. ხმლით ფარიკაობაში უძლიერესი იყო ირაკლი ზამბახიძე (სტუ).

ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში 80-მდე ფალავანი ეცილებოდა ერთმანეთს პირველობას. დაძაბული ორთაბრძოლების შემდეგ კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ: რევაზ ლაშხი (55 კგ, სპორტის აკადემია), ბექა რაქვიაშვილი (60, თსუ), გიორგი ჯავახია (66, სტუ), დავით კობერიძე (74, სტუ), დავით ტყეშელაშვილი (84, ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი), გივი მორჩილაძე (96, სტუ), ოთარ ბოლქვაძე (120, სპორტის აკადემია).

კალათბურთში ქალთა ოთხი გუნდი ასპარეზობდა. უნივერსიადის ჩემპიონობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდმა მოიპოვა. მომდევნო ადგილები ასე განაწილდა: 2. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, 3. სპორტის აკადემია, 4. გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

საქართველოს სტუდენტური სპორტის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა გივი მძელურმა გვითხრა, რომ შარშანდელ უნივერსიადასთან შედარებით წლეულს ქალთა კალათბურთში მონაწილეთა რაოდენობა ორი გუნდით შემცირდა. ეტყობა, უმაღლესი სასწავლებლების ხელმძღვანელები სპორტის ამ სახეობას სათანადო ყურადღებას არ აქცევენ. თუ ასე გაგრძელდა, ჩვენთან ქალთა კალათბურთს დიდი დღე არ უწერია.







**ნათია სამხარაძე,**
**ხუთუნა სეზისკვერაძე.**
**სურათებზე: „უნივერსიადა-2005"-ის ორთაბრძოლათა ამსახველი ეპიზოდები.**
**რობერტ ბაგოიანის ფოტო.**

სეოკში

# ჩემპიონები ბერძნებმაც დაგვიფასეს

**გუშინ საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს საპატიო მისიით ეწვია ჩვენს ქვეყანაში საბერძნეთის ელჩი ქალბატონი კონსტანტინა მავროსკელიდუ. სტუმარს მიესალმნენ სეოკის საპატიო პრეზიდენტი ჯანო ბაგრატიონი და ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პირველი ვიცე-პრეზიდენტი ლერი ხაბელოვი.**

ელადელმა დიპლომატმა მადლობა გადაუხადა მასპინძლებს გულთბილი დახვედრისთვის. ილაპარაკა ჩვენი და ბერძენი ხალხის მრავალსაუკუნოვან მეგობრობაზე. ამასთანავე აღნიშნა, რომ ათენის ოლიმპიურ თამაშებში ქართველმა ათლეტებმა ღირსეულად იასპარეზეს. ამის დასტურია ოლიმპიადაზე მოპოვებული ორი ოქროს და ამდენივე ვერცხლის მედალი. ქალბატონმა კონსტანტინამ დამსწრეთ გააცნო ათენის მერის – ქალბატონ დორა ბაკოიანის გადაწყვეტილება ოლიმპიური ჩემპიონების – ზურაბ ზვიადაურისა და გიორგი ასანიძისთვის ათენის საპატიო მოქალაქის წოდების მინიჭების შესახებ. მანვე ორივე სპორტსმენს სათანადო რწმუნების სიგელები გადასცა.

**გიორგი გაგუა.**
**სურათზე: ზურაბ ზვიადაური, კონსტანტინა მავროსკელიდუ და გიორგი ასანიძე.**
**ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.**



დარბაზბურთი



# „იბერიამ" მესამედ გაიმარჯვა

**შარშან დარბაზბურთელთა (ფუტსალი) საქართველოს XI ეროვნულ ჩემპიონატში 7 კლუბი ჩაება. ორწრიანი შეხვედრების შემდეგ ფინალში ერთმანეთს დაუპირისპირდნენ ქვეყნის ჩემპიონი „იბერია-2003" და თავდაცვის სამინისტროს „სარანგი". პირველ მატჩში არმიელებმა 7:4 გაიმარჯვეს. განმეორებითი ორთაბრძოლა ჩემპიონებმა 10:3 მოიგეს. მესამე დამატებით პაექრობაში „იბერიამ" 4:1 აჯობა „სარანგს" და გარდამავალი თასი მოიპოვა.**

ჩემპიონატში მესამე ადგილი თბილისის „იმედმა" დაიკავა. საუკეთესო ბომბარდირის სახელი ლევან ათანელაშვილმა („სარანგი") დაიმსახურა, რომელმაც 104-ჯერ აიღო მეტოქეთა კარი. საუკეთესო მეკარისთვის დაწესებული პრიზი ჯაბა ჯამბურიას („იბერია") ხვდა.

**შალვა ჩიხლაძე.**

ჭიდაობა

# ერევნის ხალიჩაზე

**სომხეთის დედაქალაქი 3 დღეს მასპინძლობდა თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა საერთაშორისო ტურნირს, რომელიც ნაადრევად დაღუპული ფალავნის – მხითარ ელბაქიანის ხსოვნას მიეძღვნა.** მემორიალში ლევან თედიაშვილის სახელობის ოლიმპიური მზადების ცენტრის ნაკრები (მწვრთნელები – თენგიზ ლამბაშიძე, ელგუჯა ქობესაშვილი) გამოდიოდა. ჩვენმა ჭაბუკებმა შესანიშნავად იასპარეზეს. კოკა კოტორაშვილმა, გიორგი მეტრეველმა, შავლეგ ჩიტაშვილმა, დაჩი ქერაშვილმა და გიორგი ნიკურაძემ ოქროს მედლები მოიპოვეს. ვერცხლის მედალი თამაზ მგელაძეს ხვდა. მესამე ადგილებზე ზაზა ჯიქიძე, ზურაბ მეტრეველი, ზურაბ კოტორაშვილი, გიორგი წიკლაური, ლევან კობტაშვილი და ზაზა თურმანიძე გავიდნენ.

**შოთა ბოკერია.**

ჭადრაკი ოთხშაბათობით

# კომპოზიციის რაინდი



**ქართული საეტიუდო სკოლის ფუძემდებელი, საერთაშორისო არბიტრი საჭადრაკო კომპოზიციაში (1960), ეტიუდების შედგენაში საბჭოთა კავშირის ჩემპიონი (1973-74), საერთაშორისო დიდოსტატი (1980) გია ნადარეიშვილი (1921-1990) პროფესიით ექიმი გახლდათ. 1938 წლიდან გარდაცვალებამდე გამოაქვეყნა 400-მდე ეტიუდი, ამათგან 75 პრიზებით დაჯილდოვდა, მათ შორის 40 – პირველით.**

**გია ნადარეიშვილი 10-ზე მეტი წიგნის და პირველი ქართული საეტიუდო კრებულის ავტორია (1952); ნაშრომებს შორის ყველაზე პოპულარულია „ეტიუდი დიდოსტატების თვალით" (1982). მის ხელოვნებას იცნობენ და აფასებენ. საგულისხმოა, რომ ბატონ გიას მეგობრული და შემოქმედებითი ურთიერთობა აკავშირებდა ლეგენდარულ მიხეილ ბოტვინიკთან.**

**ნადარეიშვილის ეტიუდები გამოირჩევა ლამაზი და გაბედული მანევრებით, ეფექტური ფინალით, რაც ესთეტიკური სიამოვნების მომგვრელია.**

**თამაზ შენგელია.**

**გია ნადარეიშვილი**
1986 წ.



**ორმაგი ქიში ეb2! და გამოუვალი შამათი.**

**1. ეd3 მფb2 2. კd5! a1ლ 3. ეb3+ მფa2 4. მფc2! ლd4 5. ეb2+! მფa3 6. ეa2X 5. ... მფa1 6. ეa2 (b2)X**

სპორტულ ორბიტაზე

## „ოქროს ბუცი" გაიყვეს



**ევროპის ეროვნული ჩემპიონატების ყველა ბომბარდირისთვის სანუკვარ პრიზზე ბევრი ფეხბურთელი აცხადებდა პრეტენზიას, მაგრამ მისი მინიჭების დროს გატანილი გოლების რაოდენობასთან ერთად ითვალისწინებენ თავად ჩემპიონატის კოეფიციენტსაც, 2-პუნქტიანი კოეფიციენტი კი მხოლოდ ევროპის ხუთ წამყვან ქვეყანას აქვს მინიჭებული. გატანილი გოლებიც ამ კოეფიციენტზე მრავლდება და საბოლოო შედეგი ხდება ლაურეატის გამოვლენის ამოსავალი.**

სწორედ ამის გათვალისწინებით „ოქროს ბუცი" 31 გოლის გამტანს „ტრაბზონსპორის" მოთამაშე ფატიხ ტეკეს კი არ მიენიჭა, ვისაც საბოლოოდ 46,5 ქულა დაუგროვდა, 25-25 გატანილი ბურთით და საბოლოო 50-50 ქულით ის „შუაზე გაუყვეს" ინგლისის „ასრენალის" ბომბარდირს ტიერი ანრისა და ესპანეთის „ვილიარეალის" თავდამსხმელს დიეგო ფორლანს.

ტიერი ანრიმ, ეს საპატიო ნადავლი ზედიზედ მეორედ მოიპოვა, 26 წლის ფორლანმა კი კვირას, ესპანეთის ჩემპიონატზე, როცა „ვილიარეალმა" დიდი ანგარიშით – 4:1 – დაამარცხა „ლევანტე", ორი გოლი გაიტანა და ლონდონელ კოლეგას წამოეწია.

24-24 ბურთით და 48 ქულით მე-3-5 ადგილები გაინაწილეს კრისტიანო ლუკარელიმ (იტალია „ლავერნო"), სამუელ ეტეომ („ბარსელონა") და მარეკ მინდალმა (გერმანია, „ნიურნბერგი").

## ჩინგიზხანსაც კი უყვარდაო...

**ეს მონღოლი მხედრები, რეიტერის სააგენტოს ფოტოკორესპონდენტმა რომ გადაიღო, ცხენბურთს თამაშობენ, ეს ცხენოსნობასთან დაკავშირებული უძველესი თამაშია. ამბობენ, რომ ჩინგიზხანსაც კი უყვარდა და ეს თამაში თავისი მეომრების წვრთნის პროგრამაშიც კი ჰქონდა შეტანილიო. უდიდეს დამპყრობელს მიაჩნდა, რომ ცხენბურთი ეხმარება მხედრებს ექსტრემალურ სიტუაციაში ცხენის მართვაში.**

ცხენბურთი უკვე დიდი ხანია ცნობილია მთელ მსოფლიოში, ხოლო მისი მონღოლური ვარიანტი ახლახან აღორძინდა. 1998 წელს გერმანელმა ბიზნესმენმა კრისტოფ გორკემ, ისტორიული რომანების კითხვამ „მონღოლეთი" რომ „დაავადდა", ამ უძველესი თამაშის აღორძინების მიზნით იმოგზაურა აღმოსავლეთ აზიურ ქვეყანაში. ახლა კი მონღოლეთის დედაქალაქიდან – ულან-ბატორიდან 310 კილომეტრის მოშორებით, ქალაქ სარკორინთან, ორხონის ველზე გაიმართა შეჯიბრება ამ უძველეს თამაშში – ცხენბურთში. ეს ფოტოსურათიც მაშინაა გადაღებული.



## NIKE-ს ულტიმატუმი



**ინგლისური „მანჩესტერ იუნაიტედის" ერთ-ერთმა მთავარმა სპონსორმა – კომპანიამ NIKE-მა გადაწყვიტა, გადახედოს ამ კლუბთან თავისი ხელშეკრულების პირობებს, თუ კი ეს პოპულარული გუნდი მომავალ სეზონში უმნიშვნელოვანესი პრიზების გარეშე დარჩება. ეს ინფორმაცია აცნობეს კლუბის გენერალურ მენეჯერს სერ ალეკს ფერგიუსონს.**

„მანჩესტერ იუნაიტედის" და კომპანიის NIKE-ს სპონსორული შეთანხმება კი, ძალაში 2002 წლის აგვისტოში რომ შევიდა 13 წლის გაანგარიშებით, 303 მილიონ გირვანქა სტერლინგს ითვალისწინებს. თუმცა „მანჩესტერ იუნაიტედის" ახალმა მფლობელმა მალკოლმ გლეიზერმა უკვე მიანიშნა, რომ ახალი მოთამაშეების შესაძენად კლუბს მხოლოდ 25 მილიონი გირვანქის დახარჯვა შეუძლია. ეს კი საფრთხეს უქმნის ფერგიუსონის სურვილს, შეიძინოს იტალიური „იუვენტუსის" მეკარე ჯანლუიჯი ბუფონი. მას კი თითქმის 35 მილიონ გირვანქად აფასებენ.

ისიც გახდა ცნობილი, რომ გუნდიდან წასვლას აპირებს წამყვანი ფორვარდი, ჰოლანდიელი რუდ ვან ნისტელროი.

## ალბომში

### ყველას რაიმე აქვს სახსოვარი



წითელწყაროს სამეჯლისო ცეკვის სტუდიის წევრები: (მარცხნიდან) ელზა ლაპიაშვილი, ლალი გონაშვილი, რუსუდან გონაშვილი, ქეთინო ლაპიაშვილი, მარიკა პოპიაშვილი.
1984 წელი.

მოგვაწოდა ლალი გონაშვილმა.

## გიხაროდეს!

### ნუკრიანელებს ბექა და თომაც მიემატნენ



წითნაღის რაიონის სოფელ ნუკრიანში ბესო ბახტურიძის ოჯახში დღეს ზეიმია! ბესო ბიზნესმენია, მისი მეუღლე მარიკა ჯახუა რუსთავის სააქციო საზოგადოება „აზოტში“ მუშაობს. მარიკა ჩემი ძმისშვილია, ჩემს ოჯახში გაზრდილი, მისი ოჯახის წარმატება ჩემი სიხარულია! ბესოს და მარიკას პირველი შვილი სალომე ჰყავთ, ახლა კი ბახტურიძეების ახალგაზრდა ოჯახს ტყუპი ბიჭები შეეძინა. მარიკამ თბილისის დავით ქორიძის სახელობის მე-4 სამშობიარო სახლში იმშობიარა.

მადლობა „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციასაც ჩემი გაზრდილი ძმისშვილის ოჯახის სიხარულის გაზიარებისათვის.

ბაბუა გიგი ჯახუა,
რუსთავი.

ჩვენი ტელეფონები: 93-34-04; 99-73-24.

## ცოტაც გავიღიმოთ...



— მოწმევ, კარგად იცნობთ განსასჯელს?
— დიახ. ერთად ვმუშაობდით ბანკში.
— ეს როდის იყო?
— ამ ორი თვის წინათ. დაახლოებით დილის ოთხ საათზე.

* * *

— არა, ძმაო, ამ ზაფხულს ავიღებ შვებულებას და უკაცრიელ კუნძულზე წავალ. ხუთი წელია, იქ არ ვყოფილვარ!
— მერე შენს ცოლს მოეწონება ასეთი იდეა?
— მოეწონება რომელია! ალბათ უკვე მოწყინდა კიდეც იქ ამ დროის მანძილზე ყოფნა.

* * *

— რა ღირს თქვენთან ერთი ფურცლის ასლის გადაღება?
— 45 ლარი.
— რატომ ასე ძვირი?
— ხელით არის სამუშაო და იმიტომ — ასლგადამღები გაფუჭდა.

* * *

— ზინა, გამომყევი ცოლად!
— მუდამ ასეა, — მეუბნება, ზინა, გამომყევიო, დილით კი გამოფხიზლდები და გადაიფიქრებ.
— არა, ზინა.
— არ გადაიფიქრებ?
— არ გამოვფხიზლდები.

* * *

ტიპი პარკში სეირნობს. უცებ ესმის გოგოს წამოძახილი:
— ვაჰ, ამათი დედაც...
მივიდა ტიპი. ხედავს, გოგო სკამზე ზის. თვითონაც მიუჯდა.
— რად იგინები?
— აბა, რა ვქნა, ჩემი შარვალი ასლარიანია.
— მერე რა, ჩემი შარვალი ასოც ლარად ვიყიდე, მაგრამ კი არ ვიგინები.
— ფასი რა შუაშია, მერხი ახალი შეღებილი ყოფილა.
— ვაჰ, ამათი დედა...

## ლარის კურსი

31 მაისიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტების შემდეგი კურსები

| | | |
|---|---|---|
| ინგლ. გირვ. სტერ. | 1 | 3.3262 ლ. |
| აშშ დოლარი | 1 | 1.8300 ლ. |
| ევრო | 1 | 2.2665 ლ. |
| რუსული რუბლი | 1 | 0.0650 ლ. |
| აზერბაიჯ. მან. | 1000 | 0.3836 ლ. |
| სომხური დრამი | 100 | 0.4101 ლ. |
| უკრაინული გრივ. | 10 | 3.6394 ლ. |

## ისარგებლეთ ცხელი ხაზით!

საპატრულო სამსახური — 022;
გენერალური პროკურატურა — 99-74-10;
შინაგან საქმეთა სამინისტრო — 93-53-50;
საგარეო საქმეთა სამინისტრო — 28-47-47;
ფინანსთა სამინისტრო — 22-17-80; 22-09-24;
იუსტიციის სამინისტრო — 75-82-21;
ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო — 38-47-98;
სოფლის მეურნეობის სამინისტრო — 98-57-81;
ჯანდაცვის სამინისტრო — 94-34-98;
შსს სანებართვო განყოფილება — 98-57-01;
კონტროლის პალატის გენერალური ინსპექცია — 95-30-81; 96-71-78;
თავდაცვის სამინისტროს გენერალური ინსპექცია — 23-56-73;
საქართველოს სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექცია — 39-52-47;
თბილისის სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექცია — 37-78-70;
შხამიანი ქვეწარმავლების გაუვნებელყოფის სამსახური — 22-61-48; 22-33-53;
ერთიანი საპენსიო ფონდი — 69-65-93; 69-65-94.
კატასტროფების ცენტრი, გადაუდებელი და სასწრაფო დახმარება, რეანიმობილის მომსახურება — 24 საათი; პაციენტის გადაყვანა რეგიონული სტაციონარებიდან თბილისის კლინიკებში — 51-77-37.

## მოვლენის წინ

# ხელმოცარულ "საჩუქრის" სიურპრიზები



**საერთაშორისო ფესტივალი „საჩუქარი“ უკვე ცხრა წლისაა, მაშასადამე იგი ცოცხლობს! თუმცა გზა, რომელიც მან გამოიარა, მუდამ წინააღმდეგობებით იყო სავსე და არც წლევანდელი წელია გამონაკლისი. ჯერჯერობით ფესტივალის ანგარიშზე არც ერთი თეთრი არ არის გადარიცხული არც მერიიდან, არც კულტურის სამინისტროდან, ფესტივალი კი იწყება...**

— თუ იცით რა ჯდება ჩეხოვის ფესტივალი მოსკოვში? — ჰკითხა ჟურნალისტებს „საჩუქრის“ სამხატვრო ხელმძღვანელმა ქეთი დოლიძემ ფესტივალის გახსნისადმი მიძღვნილ პრესკონფერენციაზე და პასუხიც თავადვე გასცა — 87 მილიონი დოლარი. ეს მან იმის გამო აღნიშნა, რომ საქართველოს ორკვირიანი „საჩუქარი“ ბევრად მცირე თანხა უჯდება და ესეც თურმე ძნელი მოსაპოვებელია. პატარა თანხა კი იმიტომ ჯდება, რომ ფესტივალს მეგობრები ჰყავს და უმეტესი მათგანი თავისივე სახსრებით ჩამოდის და კიდევ: ალბათ „საჩუქარი“ ერთადერთი ფესტივალია, რომლის მონაწილეებსაც ჰონორარი არ ეძლევათ.

ყველაფრის მიუხედავად მიხეილ თუმანიშვილის სახელობის ხელოვნების მე-9 საერთაშორისო ფესტივალი „საჩუქარი“ 5 ივნისს იხსნება თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში. სტუმარი — მოსკოვური „მოსსოვეტის თეატრი“ წარმოადგენს ა. ჩეხოვის განთქმულ „თოლიას“, რომელიც დადგა ცნობილმა რეჟისორმა ანდრეი კონჩალოვსკიმ. სპექტაკლის დაწყებამდე გაიმართება ფესტივალის საზეიმო გახსნის ცერემონიალი. ტრადიციული პრიზი „ხელოვნებაში სრულყოფისათვის“ გადაეცემათ ცნობილ რეჟისორებს ლილი იოსელიანს და ანდრეი კონჩალოვსკის. „თოლიას“ მეორე დღესაც გაითამაშებენ მსახიობები: ი. როზანოვა, ა. გრიშინი, ა. ადონსკი, ი. ვისოცკაია, ვ. გორიუშინი და სხვები.

ფესტივალის ორკვირიანი პროგრამა საკმაოდ დახუნძლულია საინტერესო და მრავალფეროვანი მოვლენებით.

სტუმართა შორის არის ბრაზილიური ბალეტი. ისინი ორ წარმოდგენას ითამაშებენ — დიდებისთვის და პატარებისთვის. მათ საშუალება ექნებათ საქველმოქმედო სპექტაკლები გამართონ საბავშვო სახლებშიც. კაუნასის სახელმწიფო დრამატული თეატრი თბილისელებს უჩვენებს მინისპექტაკლს „იუდას ღალატს“ ეგიდიუს სტანსიკასის მონაწილეობით.

„მოსსოვეტის“ გარდა მოსკოვის თეატრალურ სამყაროს წარმოადგენენ თეატრი „დრამატული ხელოვნების სკოლა“ ანატოლი ვასილიევის ორი სპექტაკლით („პუშკინის დილა“ და „K“...), თეატრ-სტუდია „ტაბაკერკა“ ოლეგ ტაბაკოვის ხელმძღვანელობით გვიჩვენებს უილიამ ფოლკნერის „ვიდრე ვკვდებოდი“ (რეჟისორი მინდაუგას კარბაუსკასი). საპროდიუსერო ცენტრი „კლასიკური პროექტი“ გაგვაცნობს ჩეხოვის კომედიების „დათვის“ და „ქორწინების“ მიხედვით ვლადიმერ სალიუკის მიერ განხორციელებულ კომედიას „სუსტ არსებათა დუელს“. მასში მონაწილეობენ ეკატერინა ვასილიევა, ევგენი კინდინოვი, მიხეილ ვინოგრადოვი და არისტარხ ლივანოვი.

ამერიკული თეატრი მონოსპექტაკლით „კლერმანი“ წარსდგება თბილისელთა წინაშე. მისი ავტორი და შემსრულებელია ძვირადღირებული ხელოვანი რონალდ რანდი. სპექტაკლი გვიამბობს XX საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი თეატრალური პერსონის — ჰაროლდ კლერმანის ცხოვრებაზე.

საფესტივალო აფიშას ამშვენებს საყოველთაოდ ცნობილი რეჟისორისა და პედაგოგის ჰილარი ვუდის სახელი, კიევპეჩორის ლავრის სასულიერო გუნდი, პოლონელი კინორეჟისორის პ. შულკინის ფილმი „მეფე უბუ“ (მთ. როლში იან პეშეკი).

საქართველოს თეატრებიდან ფესტივალში მონაწილეობენ კინომსახიობთა, თავისუფალი, სამეფო უბნის, გორის გიორგი ერისთავის სახელობის თეატრები, ვაკის სარდაფი, აგრეთვე მხატვარი თინა კლდიაშვილი.

— მიხარია, რომ წელიწადში ერთხელ დიდ მიხეილ თუმანიშვილს ვიხსენებთ, იგი ყოველთვის მომხრე იყო „საჩუქრისა“, თუმცა არ დასცალდა, — აღნიშნა საერთაშორისო ფესტივალთან დაკავშირებულ საკითხებზე საუბრისას ქეთი დოლიძემ. აქვე დრამატურგმა რეზო კლდიაშვილმა „საჩუქარს“ საჩუქრით უპასუხა და ჩამოარიგა თავისი ახლადგამოცემული სამენოვანი პიესა „ზარატუსტრას ჟამი“.

რუსუდან მუხიგულაშვილი.

## როგორ ვისვენებთ?

# პირველი კომპლექსური სამოგზაურო ცენტრი თბილისში



**სულ უფრო მშვენდება და საქმიანი ხდება ჩვენი დედაქალაქის რუსთაველის პროსპექტი. № 19 შენობის პირველ სართულზე სს „საქართველოს ბანკმა“ შვილეულ კომპანია „ბისიაისთან“, ტურისტულ სააგენტო SKV. GE-თან და FedEx-თან ერთად გახსნა პირველი კომპლექსური სამოგზაურო ცენტრი, სადაც კლიენტები მიიღებენ უმაღლესი ხარისხის მომსახურებას პროფესიონალი ტურისტული აგენტებისა და კონსულტანტებისაგან.**

საქმე ის გახლავთ, რომ ეს კომპლექსური ტურისტული ცენტრი ბევრად განსხვავდება ჩვეულებრივი ტურისტული ფირმებისაგან.

სს „საქართველოს ბანკის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა შოთა მაჭავარიანმა გვითხრა, რომ ამ ცენტრით კლიენტებს შესაძლებლობა ექნებათ გაცვალონ ვალუტა, შეიძინონ ჯანმრთელობისა და მოგზაურობის დაზღვევის პოლისები, მიიღონ და გააგზავნონ ფოსტა FedEx-ის მეშვეობით, დაგეგმონ საქმიანი ვიზიტი ან ოჯახური მოგზაურობა „საქართველოს ბანკის“ უპროცენტო სამოგზაურო სესხების მეშვეობით. აქვე შეგიძლიათ სასტუმროების და ავიაბილეთების დაჯავშნა, ღირსშესანიშნაობების დათვალიერების ორგანიზება, ვიზასთან დაკავშირებული საკითხების გადაჭრა, საქმიანი შეხვედრების ორგანიზება და სხვა.

პროექტის დირექტორმა ზვიად ფოჩხუამ და თქვა, რომ „ეს არის პირველი და ერთადერთი პროექტი საქართველოში, რომელიც კომპლექსურ მომსახურებას სთავაზობს საქმიან ადამიანებს და ტურისტებს. ჩვენი ოფისის საქმიანობა ამარტივებს მოგზაურობასთან და ტურიზმთან დაკავშირებულ ყველა პროცედურას. ეს შესაძლებელი გახდა იმ სხვადასხვა მომსახურების შეჯერებით, რომელსაც ჩვენი პარტნიორები გვთავაზობენ, კერძოდ ამ პროექტის სულისჩამდგმელები სს „საქართველოს ბანკი“, „ბისიაი“ და FedEx გახლავთ. ჩვენს კლიენტებს მაღალხარისხოვან მომსახურებას ვთავაზობთ კვირაში შვიდი დღის განმავლობაში. ცენტრში მოსულ მოგზაურობით დაინტერესებულ ადამიანებს დაეხმარება კონსულტანტების გამოცდილი გუნდი, რომელსაც კარგად ესმის თანამედროვე საქმიანი მოგზაურობის მოთხოვნები და თქვენი ინდივიდუალური მოთხოვნილებები“.



„საქართველოს ბანკის“ გენერალური დირექტორი ლადო გურგენიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და თქვა, რომ მოხარულია ასეთ ნოვატორულ პროექტში მონაწილეობით, დასძინა, რომ იმედია თბილისში შექმნილი პირველი ტურისტული ცენტრი მალე ყველაზე პოპულარული გახდება იმ ტურისტებისა და მოგზაურთათვის, რომლებსაც სურთ სწრაფი, მაღალხარისხიანი და პროფესიონალური მომსახურება.

ჟურნალისტები კიდევ ერთი სასიამოვნო ფაქტის მოწმენი გავხდით, სს „საქართველოს ბანკმა“ საქართველოს ოლიმპიურ ჩემპიონებს, ცნობილ სპორტსმენებს საჩუქრად გადასცა VISA GOLD ბარათები და SKV. GE ბარათები 10-პროცენტიანი ფასდაკლებით.

წითელი ლენტი გაჭრა SKV. GE-ს

ლალი ქინქლაძე.

## ამინდი დღეს

| 1 ივნისი | ☼ | ) |
|---|---|---|
| თბილისი | 29⁰ | 18⁰ |
| ბათუმი | 28⁰ | 19⁰ |
| თელავი | 28⁰ | 16⁰ |
| სოხუმი | 27⁰ | 18⁰ |
| ქუთაისი | 30⁰ | 20⁰ |

## ხსოვნა

### როლანდ ხეთაგაშვილი

კიდევ ერთი მსხვერპლი... კიდევ ერთი ლამაზი სიცოცხლე წავიდა ლიახვის ხეობიდან. მშობლიურ მიწაზე საკუთარი ქვეყნის საგუშაგოზე მყოფი 25 წლის პოლიციელი როლანდ ხეთაგაშვილი ავტომატის ტყვიებით დაცხრილეს შეიარაღებულმა ოსმა ბანდიტებმა სოფელ ქურთაში.

ოჯახმა დაკარგა მარჩენალი, ორმა მცირეწლოვანმა ბავშვმა — მოსიყვარულე მამა, ქვეყანამ — უშიშარი ვაჟკაცი, კარგი ადამიანი, სამაგალითო მუშაკი. 2 ივნისს სვერელები უკანასკნელ გზაზე გააცილებენ სიკეთითა და სიყვარულით სავსე საამაყო შვილს, უღალატო მეგობარს.

მშვიდობით, ჩვენო ლამაზო და საყვარელო როლანდ.

ოჯახი, მეგობრები.



თითოეული ესკიმოსი ბიჭუნა ცხოვრებაში ერთხელ ხდება „პირველი მონადირული გმირობის“ დღესასწაულის მონაწილე. ჩვეულებრივ, იგი აღინიშნება, როცა გმირი 4-6 წლის ხდება, მან უნდა მოკლას ბუზი.

* * *

კოლუმბიაში ბევრი მძღოლი ამჯობინებს, რომ საათი მარჯვენა ხელის მაჯაზე ატაროს, რათა მოძრაობისას, „საცობის“ შემთხვევაში, ფანჯრიდან გაყოფილი მარცხენა ხელიდან საათი ქურდებმა არ წაგლიჯონ.

* * *

ავსტრალიის ქალაქ მელბრუნს ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის სახელი ჰქვია.

* * *

ნაყინი ადამიანებმა პირველად იგემეს 62 წელს ჩვენს წელთაღრიცხვამდე.. ნერონმა მოწვეული სტუმრები გააკვირვა ორიგინალური ჩაროზით — სტუმრებს მიართვეს ხილის წვენსა და თაფლში არეული თოვლი, რომელიც იმპერატორის ბრძანებით რომში მთებიდან ჩამოიტანეს.

## ქართველები უცხოეთში

# მათ მოუთმენლად ელიან



**ეს პატარა, მშვენიერი ქალბატონი ნინო წერეთელია. იგი შორეულ ირლანდიაში, დუბლინში დაიბადა, სადაც მისი მშობლები ექვსი წლის წინათ საცხოვრებლად გადავიდნენ.** გუცა მაზანაშვილი და დავით წერეთელი ცდილობენ შვილები ქართულად აღზარდონ. ამიტომაც პატარა ნინომ ენა ქართულად ამოიდგა. უკვე ზეპირად იცის „დედა ენა“, იცის, რომ საქართველო ძალიან ლამაზია და ნუნუ ბებია — ცნობილი ექიმი და როლანდი პაპა, ღვაწლმოსილი ინჟინერი, საქართველოს დედაქალაქ თბილისში ცხოვრობენ.

— კიდევ მიამბეთ რამე საქართველოზე! — ირლანდიაში სტუმრად ჩასულ ბებიას და პაპას სთხოვდა პატარა ნინო. შვილიშვილს მონატრებული ბებია-პაპაც უშურველად უყვებოდნენ ყველაფერს სამშობლოზე.

წერეთლების ოჯახს შვიდი თვის წინათ კიდევ ერთი პატარა — მარიამი შეემატა.

ბავშვები საქართველოში სტუმრობისთვის ემზადებიან. ნინო ლექსებს სწავლობს, მალე სანუკვარი ოცნება აუხდება, სამშობლოში ჩამოვა, სადაც მოუთმენლად ელიან.

მარადი ანასაშვილი.

## ჰიდრომეტეოროლოგია

# ამინდი ივნისში



**კლიმატური მონაცემებით ივნისი მაისთან შედარებით საშუალოდ 2-4⁰-ით თბილია. ჰაერის საშუალო ტემპერატურა ამ თვეში ქვეყნის დაბლობსა და ბარში +17, +22, მთიან რაიონებში +15, +20 გრადუსს შორის მერყეობს, მაღალმთიან ზონაში მისი მნიშვნელობა +10, +14⁰-ის ფარგლებშია.**

ჰაერის აბსოლუტური მაქსიმალური ტემპერატურა საქართველოს დაბლობსა და ბარში +35, +41⁰-ს, მთიან რაიონებში +32, +36⁰, მაღალმთიან ზონაში +25, +30⁰, (დასავლეთ საქართველოში ზოგან +33⁰-ს) აღწევს.

ჰაერის აბსოლუტური მინიმალური ტემპერატურა სანაპირო ზოლსა და კოლხეთის დაბლობზე +10, +6⁰-მდე, ქართლის ვაკეზე, კახეთსა და დასავლეთ საქართველოს მთიან რაიონებში +6, +2⁰-მდე იცვლება, აღმოსავლეთ საქართველოს მთიან რაიონებში მისი მნიშვნელობა 4⁰ სითბოდან 2⁰ ყინვამდე, მაღალმთიან ზონაში კი 0, -5⁰ ყინვამდე იკლებს.

ივნისში დასავლეთ საქართველოში ყველაზე მეტი ნალექი მოდის აჭარის სანაპირო ზოლსა და სამეგრელოს ქედის სამხრეთ ფერდობზე — 160-180 მმ, ტერიტორიის დანარჩენ ნაწილზე მისი მნიშვნელობა 80-140 მმ-ს შეადგენს. აღმოსავლეთ საქართველოში ყველაზე მცირე ნალექებით გამოირჩევა ქართლი, სადაც ნალექების რაოდენობა საშუალოდ 50-80 მმ-ს შეადგენს. აღმოსავლეთ კავკასიონის მაღალმთიან ზონაში მისი მნიშვნელობა საშუალოდ 150-170 მმ-მდე მერყეობს, დანარჩენ რაიონებში კი 80-დან 150 მმ-მდეა.

ივნისი, ისევე როგორც მაისი, აღმოსავლეთ საქართველოში ნალექების და სეტყვიანობის მაქსიმუმით ხასიათდება.

ამინდის გრძელვადიანი პროგნოზის მიხედვით ჰაერის თვის საშუალო ტემპერატურა წლეულს ივნისში ქვეყნის დაბლობში, ბარში და მთიან რაიონებში მოსალოდნელია +15, +20⁰. მაღალმთიან ზონაში +9, +11⁰, რაც 1⁰-ით დაბალია საშუალო მრავალწლიურ მნიშვნელობაზე და მასთან ახლოსაა.

თვის ცალკეულ პერიოდებში შესაძლებელია ტემპერატურის დაკლება შავი ზღვის სანაპირო რაიონებში, კოლხეთის დაბლობზე და ქვემო ქართლში ღამით +13, +8⁰-მდე, შიდა ქართლსა, კახეთში და მთიან რაიონებში +10, +5⁰-მდე, მაღალმთიან რაიონებში +2, +1⁰-მდე. თვის ცალკეულ დღეებში — ტემპერატურის მომატება დღისით დასავლეთ საქართველოს დაბლობში, კახეთსა და ქვეყნის მთიან რაიონებში +26, +31⁰-მდე, ქართლში +29, +32⁰-მდე, მაღალმთიან რაიონებში +15, +18⁰-მდე.

ნალექების რაოდენობა ქვეყნის ტერიტორიის უმეტეს ნაწილზე მოსალოდნელია საშუალო მრავალწლიურ რაოდენობაზე მეტი და მასთან ახლოს.

სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ზრდა-განვითარებისათვის სითბო საკმაო იქნება. მოსალოდნელი ნალექების გათვალისწინებით შესაძლოა ბოსტნეულს მორწყვა დასჭირდეს.

არსებული ჰიდრომეტეოროლოგიური მონაცემებისა და ამინდის გრძელვადიანი პროგნოზის გათვალისწინებით, წლეულს ივნისში საქართველოს მდინარეთა წყლიანობა მოსალოდნელია ნორმაზე მეტი და მასთან ახლოს.

საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიისა და გარემოს მონიტორინგის სამსახური.

შპს „საქართველოს რკინიგზისა“ და საქართველოს რკინიგზელთა პროფკავშირის ხელმძღვანელობა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ადამიანთა რესურსების მართვისა და განვითარების სამსახურის უფროსის გიორგი ჭარაქაშვილის ძმა
ლევან ჭარაქაშვილი
და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

კოტე ხაჩიძე ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა
ალექსანდრე (საშა) ქურასბედიანი
და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მეუღლე მაია კობიაშვილი, შვილები ვახო, ანა, ვანო ქურასბედიანები და ახლო ნათესავები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
ალექსანდრე (საშა) ივანეს ძე ქურასბედიანი
პანაშვიდი 1 VI, 17 სთ. გამოსვენება 2 VI, 14 სთ. მისამართი კახეთის გზატკეცილი 36/3 II შესასვლელი, III სართული.

საქართველოს უზენაესი სასამართლო თანაუგრძნობს ცირა ბიჩინაშვილს მამის
მიხეილ ბიჩინაშვილის
გარდაცვალების გამო.

მეუღლე ნინო ქიმოსტელი, შვილები სოსო, ლია ხაჩიაშვილები, რძალი ნათია ბატიაშვილი ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
გუგული ხაჩიაშვილი
დაკრძალვა 2 VI, 14 სთ. დედოფლისწყაროს რაიონის სოფ. წითელწყაროში, თავისუფლების ქუჩა.

დედოფლისწყაროს რაიონის გამგეობა და რაიონის საკრებულო თანაგრძნობას უცხადებენ დედოფლისწყაროს რაიონის გამგებელს სოსო ხაჩიაშვილს მამის
გუგული ხაჩიაშვილის
გარდაცვალების გამო.

ახლო მეგობრები გურამ ბერუჩაშვილი, დავით გურგენიძე, ნონა მაჩაბელი, თამაზ სარალიძე, ნოშრევან სიგუა, რევაზ ტყემალაძე, მიხეილ ჩაჩანიძე ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ ჯუანშერ (ჯუნა) მხეიძეს გარდაეცვალა მეუღლე
ნინელი ზრუიძე-მხეიძისა.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის“ სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

დამფუძნებლები — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები
გამომცემელი — „თანადგომა-1“
დირექტორი თენგიზ კალანდაძე.

მთავარი რედაქტორი რუსლან რუსია.
მორიგე რედაქტორი ოთარ ტურაბელიძე.

ინდექსი 66434,
მისამართი: 0108, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14.
ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება - ტელ: 93-28-13.

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. წერილებში მოყვანილი ფაქტების უტყუარობაზე პასუხს აგებენ ავტორები, რომელთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.